სასკოლო მზაობის პროგრამა

აქტივობათა კრებული

ნაწილი I

(საპილოტე ვერსია)

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი.
სექტემბერი, 2015 წელი.

სასკოლო მზაობის პროგრამა, ისევე როგორც აქტივობების კრებული, მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით.

ავტორთა ჯგუფი

თამარ ბაქრაძე, ოლღა მუსხელიშვილი,
ეთერ ღვინერია, თამარ გაბისონია

კონსულტანტები

ნინო ლაბარტყავა
ია აფთარაშვილი

რედაქტორი

თინათინ ცერაძე

ილუსტრატორი

ია გიგოშვილი

შინაარსი

წინასიტყვაობა 4

თემა: "ყველაფერი ჩემ შესახებ" (ო. მუსხელიშვილი) 7

თემა: "მცენარეები" (ო. მუსხელიშვილი) 36

თემა: "ბაზარი /მაღაზია" (თ. ბაქრაძე) 48

თემა: „ჩემი უბანი“ (ე. ღვინერია) 101

თემა: „როგორ ქმნიან ნივთებს” (თ. ბაქრაძე) 113

წინასიტყვაობა

აქტივობათა კრებული სასკოლო მზაობის პროგრამის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. იგი ეყრდნობა სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სტანდარტსა და აღმზრდელის სახელმძღვანელოს. მისი მიზანია, დაეხმაროს სასკოლო მზაობის პროგრამაში ჩართულ აღმზრდელებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვაში, რათა მათ შეძლონ ბავშვების სრულფასოვანი და მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა სასკოლო მზაობის პროგრამის საგანმანათლებლო პრინციპებზე დაყრდნობით.

აქტივობათა კრებული შეიქმნა სკოლამდელი განათლების ექსპერტთა მიერ, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური მხარდაჭერით.

შესავალი

აქტივობათა კრებულში წარმოდგენილია 16 თემა, რომლებიც 30 კვირაზეა გათვლილი. თითოეული თემა კვირის/კვირების განმავლობაში გრძელდება. კვირის ყოველი დღე მოიცავს შემდეგ ღონისძიებებსა და საქმიანობებს:

- ბავშვების მიღება, პირველი შეხვედრა წრეში;
- კვლევისა და აღმოჩენის დრო (თემატური აქტივობები);
- წიგნის დრო;
- მოძრავი თამაშები;
- საქმიანობები მცირე ჯგუფებში;
- მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება;
- მეორე შეხვედრა წრეში, მომზადება სახლში წასასვლელად.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობასა და ღონისძიებას აქვს თავისი კონკრეტული მიზანი და ორგანიზების ფორმა, კერძოდ:

დილის შეხვედრა წრეში მთელ ჯგუფთან ერთად ტარდება. შეხვედრის მიზანია ბავშვების მოტივაციის გაძლიერება, მათ შორის ფუნქციების განაწილება (იხ. *აღმზრდელის სახელმძღვანელო, თავი 9. პირველი შეხვედრა წრეში).*

კვლევისა და აღმოჩენის დრო - ამ მონაკვეთში დაგეგმილი აქტივობები/საქმიანობები მცირე ჯგუფებში ან მთელ ჯგუფთან ერთად ტარდება. კვლევისა და აღმოჩენების დროს ბავშვები ეცნობიან ახალ თემას და მონაწილეობენ თემატურ საქმიანობებში, რომელთა მეშვეობითაც შეისწავლიან სხვადასხვა საკითხს. ძირითადი საქმიანობები ოთხი სახისაა. ესენია: აქტივობა, თამაშები (როლური და წესებიანი) და

პროექტი. საქმიანობათა დაწვრილებით აღწერას იხილავთ აღმზრდელის სახელმძღვანელოში *(იხ. აღმზრდელის სახელმძღვანელო, თავი 8. საქმიანობები).* აღსანიშნავია, რომ კვლევისა და აღმოჩენების დროს ბავშვები თავად ირჩევენ, აღმზრდელის მიერ შემოთავაზებულ საქმიანობაში ჩაერთონ თუ დამოუკიდებლად შეარჩიონ საქმიანობა აქტივობათა სხვა ცენტრებში.

წიგნის დრო - ამ მონაკვეთში დაგეგმილი საქმიანობები/აქტივობები მთელ ჯგუფთან ერთად ტარდება. მათი მიზანია სკოლამდელთა წიგნიერების კომპეტენციებისა და კითხვისთვის საჭირო წინარე უნარების განვითარება.

მოძრავი თამაშები - ტრადიციულად, ტარდება მთელ ჯგუფთან ერთად ეზოში. განსაკუთრებული უამინდობის შემთხვევაში მათი ორგანიზება შესაძლებელია სპორტულ/მუსიკალურ დარბაზშიც (იხ. *აღმზრდელის სახელმძღვანელო, თავი 11 - ეზოს მოძრავი თამაშები).* მოძრავი თამაშების მიზანია ბავშვების განტვირთვა და მათი მოტორული უნარების განვითარების ხელშეწყობა.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში - ამ დროს ბავშვები პატარა ჯგუფებში ასრულებენ სხვადასხვა აქტივობას. მცირე ჯგუფებში მუშაობა აღმზრდელებს აძლევს საუკეთესო საშუალებას, რომ დააკვირდნენ ბავშვებს, ჩაერთონ მათთან ინტერაქციაში, დაამყარონ ინდივიდუალური კომუნიკაცია, განსაზღვრონ სკოლამდელთა ინტერესები, ძლიერი მხარეები და საჭიროებები. მცირე ჯგუფებში მუშაობისას აღმზრდელები აქტიურად ეხმარებიან ბავშვებს სწავლასა და სხვადასხვა უნარის განვითარებაში (იხ. *აღმზრდელის სახელმძღვანელო, თავი 12 - საქმიანობები მცირე ჯგუფებში*).

მუსიკა/ცეკვა/რიტმიკა - ამ დროს ბავშვები ეცნობიან საშემსრულებლო ხელოვნების ელემენტებს.

წრეში შემაჯამებელი შეხვედრა -ამ დროს ბავშვები შეაჯამებენ სასწავლო სააღმზრდელო დღეს და საქმიანობებს.

აქტივობათა კრებულში თითოეული კვირისთვის წარმოდგენილია ცხრილები. მათში დღეების მიხედვითაა გაწერილი ის აქტივობები/საქმიანობები, რომელთა განხორციელება რეკომენდებულია თემის ფარგლებში. თითოეულ ცხრილს თან ერთვის საქმიანობათა აღწერები, საჭიროების შემთხვევაში კი მოყვანილია თვალსაჩინოებები და იმ სარეკომენდაციო ლექსებისა და მოთხრობების ტექსტები, რომელთა მოძიებაც აღმზრდელს შეიძლება გაუჭირდეს თანამედროვე გამოცემებში. ზოგიერთი საქმიანობისთვის დამატებით მითითებულია ასევე ელექტრონული ბმულები ვიდეოფილმებსა თუ მუსიკალურ ჩანაწერებზე, რომელთა გამოყენება სასურველია ბავშვებთან მუშაობის დროს (თუკი ჯგუფში არსებობს შესაბამისი ტექნიკა). წარმოდგენილი აქტივობები მიზნად ისახავს საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული სწავლისა და განვითარების სფეროებსა და ქვესფეროებში მისაღწევი შედეგების გაუმჯობესებას. *ხაზგასასმელია, რომ მითითებული რესურსები და აქტივობები სარეკომენდაციო ხასიათისაა - აღმზრდელს ნებისმიერ დროს შეუძლია ჩაანაცვლოს ისინი მისთვის უფრო ხელსაყრელი რესურსებითა და აქტივობებით, თუკი მათი გამოყენება თემას უფრო განავრცობს და გაამრავალფეროვნებს.*

დაგეგმილ აქტივობებს შორის შევხვდებით სხვადასხვა სახის მცირე ექსკურსიებს, როგორებიცაა, მაგ., „ვიზიტი სამედიცინო პუნქტში“, „ვიზიტი სკოლაში“ და ა.შ. ასეთი ვიზიტები ძალზე მნიშვნელოვანია

იმისათვის, რათა ბავშვმა სრულყოფილად დაინახოს წარმოსახული და აღწერილი პროცესი და შეძლოს რეალობის შედარება საკუთარ მოლოდინებთან (ამგვარი ექსკურსიების ჩატარება, ცხადია, რეკომენდებულია მხოლოდ სათანადო შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში).

სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობათა დაგეგმვა უფრო ეფექტიანი იქნება, თუკი აღმზრდელები, აქტივობათა კრებულის გარდა, იხელმძღვანელებენ სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სტანდარტით და მასზე დაყრდნობით დააკვირდებიან კონკრეტულ ბავშვსა თუ მთელ ჯგუფს. ვინაიდან ბავშვები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, აღმზრდელმა წარმოდგენილი გეგმები და საქმიანობები ბავშვების ინტერესებსა და საჭიროებებს უნდა მოარგოს.

წარმოდგენილი ცხრილები სამუშაო დოკუმენტია აღმზრდელთათვის. პირველ სვეტში, კვირის დღის ქვემოთ, მინიშნებულია სიტყვა „ინდივიდუალიზება“, ხოლო მის ქვემოთ ცარიელი უჯრაა. ცარიელი ადგილი გამიზნულია იმგვარი სიტუაციებისთვის, როდესაც, კონკრეტული ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განსხვავებული მიდგომის გამოყენება ან რაიმე დამატებითი რესურსის მოძიება/შექმნა. მაგალითად, აღნიშნულ სვეტში აღმზრდელს შეუძლია ჩაწეროს: „აპლიკაციების შექმნისას ლუკას გამოჭრაში უნდა დავეხმარო“. ამგვარი ჩანაწერების მეშვეობით აღმზრდელი შეძლებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უკეთ დაგეგმვას, მის ორიენტირებას თითოეული ბავშვის ჩართვაზე.

საქმიანობათა თუ აქტივობათა დაგეგმვისას ძალზე მნიშვნელოვანია აღმზრდელისა და თანაშემწის თანამშრომლობა. მათ შეუძლიათ ერთობლივად მოიძიონ საკითხავი ლიტერატურა, მოამზადონ საჭირო რესურსები და, ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, შეცვალონ ან შექმნან აქტივობები.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია მშობლებისა და მზრუნველების თანამონაწილეობა, მათი ინფორმირება სასკოლო მზაობის ჯგუფში მიმდინარე საქმიანობებისა თუ ღონისძიებების შესახებ და ჩართვა სხვადასხვა თემატურ საქმიანობაში.

ვიმედოვნებთ, რომ სასკოლო მზაობის პროგრამის აქტივობათა კრებული, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სტანდარტსა და აღმზრდელის სახელმძღვანელოსთან (გზამკვლევთან) ერთად, საჭირო დახმარებას გაუწევს სასკოლო მზაობის აღმზრდელებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვასა და ახალი იდეების შემუშავებაში.

პირველი კვირა

თემა: ,,ყველაფერი ჩემ შესახებ" (I კვირა)

თემის ხანგრძლივობა - ორი კვირა

პირველი ორი კვირა ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია როგორც ბავშვისათვის, ისე აღმზრდელისათვის. ამ დღეებში ბავშვი თანდათან ეცნობა მისთვის ახალ გარემოს, ადამიანებს, ამყარებს ურთიერთობას ჯგუფის სხვა წევრებთან, უყალიბდება დამოკიდებულება ჯგუფისადმი და ჯგუფში მიმდინარე პროცესებისადმი. ბავშვის სასწავლო უნარების ფორმირებისა და სრულფასოვანი განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს დამოკიდებულება დადებითი იყოს. ამ განწყობის შექმნა აღმზრდელების უპირველეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე მშობლებთან დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას და მათ ჩართვას სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში, რაც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სააღმზრდელო პროცესში თანამშრომლობის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს შექმნას, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს ბავშვის ახალ გარემოსთან შეგუების პროცესს.

პირველი ორი კვირის განმავლობაში აღმზრდელი ეცნობა ბავშვებს, მათ თავისებურებებს, შეისწავლის ბავშვების ცოდნასა და უნარებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. დაკვირვების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დაეხმარება აღმზრდელს, რომ დაგეგმოს მომდევნო კვირების აქტივობები და შესაძლებლობების ფარგლებში განახორციელოს ბავშვებზე ორიენტირებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი.

აღმზრდელს ბავშვებზე დაკვირვება შეუძლია აწარმოოს მათი განვითარების ამსახველ შედეგებზე დაყრდნობით (აღნიშნული შედეგები აღწერილია სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სტანდარტში). გასათვალისწინებელია შემდეგი: აღმზრდელი უნდა აკვირდებოდეს და სწავლობდეს ბავშვს არა მხოლოდ სწავლის დაწყების პირველ ეტაპზე, არამედ მთელი სასწავლო სააღმზრდელო ციკლის განმავლობაში. ამის მეშვეობით აღმზრდელს ექნება სრული ინფორმაცია ბავშვის განვითარების დინამიკის, ასევე სააღმზრდელო პროცესის ხარისხის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, პირველი ორი კვირის საქმიანობების უპირველესი მიზანია სკოლამდელთა დახმარება ახალ გარემოსთან შეგუების პროცესში. აქედან გამომდინარე, სასკოლო მზაობის სააღმზრდელო პროცესის საწყის ეტაპზე აღმზრდელი ბავშვებისათვის გეგმავს ისეთ აქტივობებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლამდელთა ადაპტაციის პროცესს, გააცნობს მათ შენობას, მიმდებარე ეზოს ან ტერიტორიას, დაეხმარება თვითგამოხატვაში, სხვა ბავშვების გაცნობასა და მათთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარებაში, ჯგუფში მოქმედებისა და თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანი უნარების ფორმირებასა და სხვა საქმიანობებში.

პირველი თემა აღმზრდელებს სთავაზობს ისეთ სახის საქმიანობებს, როგორებიცაა: საინტეგრაციო თამაშები, კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული აქტივობები და პროექტები, რომელთა აღწერა და ნიმუშები წარმოდგენილია წინამდებარე კრებულში.

ორშაბათი (პირველი დღე)

პირველ დღეს აღმზრდელი ცდილობს განსაკუთრებულად საზეიმო განწყობის შექმნას. ბავშვებს ისე უნდა მოეწონოთ ჯგუფი, რომ სიხარულით მოვიდნენ მეორე დღესაც. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზოგიერთ ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს მშობელთან განშორება და ატირდეს. ამგვარ სიტუაციაში მშობელს უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ დარჩეს ჯგუფში გარკვეული დროის განმავლობაში და ჩაერთოს მიმდინარე აქტივობებში მანამდე, სანამ ბავშვი თავად არ დათანხმდება მშობლის გარეშე დარჩენას ცოტა ხნით მაინც. მნიშვნელოვანია, რომ წასვლამდე მშობელი დაემშვიდობოს ბავშვს და აუხსნას, თუ როდის მოაკითხავს.

ოთახი პირველი დღისათვის საზეიმოდ უნდა მოვრთოთ ბუშტების, საინტერესო წიგნებისა და ბაღში არსებული სხვა სათანადო რესურსების გამოყენებით.

თითოეულ ბავშვს სასურველია მივესალმოთ ინდივიდუალურად, სახელით და ვუთხრათ, რომ ძალიან გვიხარია მისი მოსვლა ჯგუფში. თუ სახელები გვავიწყდება ან ჯერ არ ვიცით, წინასწარ გავაფრთხილოთ მშობელი, რომ დაგვეხმაროს ბავშვისთვის შეუმჩნევლად (მაგალითად, ფრაზით: „აი, ნინო მასწავლებელო, ანა მოგიყვანეთ!“). მნიშვნელოვანია, ბავშვმა იგრძნოს, რომ მას სიხარულით ელოდებიან ჯგუფში. ერთმანეთს გავაცნოთ ის ბავშვები, რომლებიც პირველნი მოვიდნენ, დაველაპარაკოთ მათთვის საინტერესო საკითხებზე. შესაძლებელია, ბავშვებმა თავად მოისურვონ რაღაცის გაზიარება მანამდე, სანამ ჯგუფი შეგროვდება. ყურადღებით მოვუსმინოთ მათ.

პირველი წრე: დავსხდეთ წრიულად. მივესალმოთ ყველას კიდევ ერთხელ - ამჯერად ყველას ერთად და ვუთხრათ, რომ ჯერ გავიცნობთ ერთმანეთს, მერე კი ყველანი ერთად დავათვალიერებთ ჩვენს ახალ ოთახს და ვნახავთ, სად რა არის. ვეუბნებით ბავშვებს ჩვენს სახელსა და თანაშემწის სახელს, რომელიც ბავშვებთან ერთად ზის წრეში. ისიც ესალმება ბავშვებს და ეუბნება: „მე მთელი დღე თქვენთან ერთად ვიქნები, ვითამაშებ, ვიმღერებ; თუ რამე დაგჭირდებათ - დახმარება, საპირფარეშოში გასვლა ან სხვა ნებისმიერი რამ, მაშინვე მითხარით“. შემდეგ ვამბობთ: ,,მოდით, გავიგოთ ერთმანეთის სახელები - მე დავითვლი სამამდე და სამზე თქვენ ძალიან ხმამაღლა უნდა დაიძახოთ თქვენი სახელი. აბა, ერთი, ორი, სამი!“. ყველანი ერთდროულად ამბობენ საკუთარ სახელებს. ვაგრძელებთ: „მშვენიერია! დაიმახსოვრეთ ერთმანეთის სახელები? არა? მაშინ მოდით, სხვანაირად ვსინჯოთ: რიგრიგობით ჩამოართვით ხელი თქვენგან მარჯვნივ მჯდომს და გაეცანით ერთმანეთს“. საჭიროების შემთხვევაში ხმამაღლა ვამბობთ ბავშვებთან ერთად, რომელია მარჯვენა მხარე. როცა წრე შეიკვრება, ვამბობთ: „მოდით, გადავცეთ ერთმანეთს ეს პატარა ბურთი. ვისაც ბურთი ექნება ხელში, იტყვის თავის სახელს და დაასახელებს, რა უყვარს. ჩვენ კი ყურადღებით მოვისმენთ და ვეცდებით, რომ დავიმახსოვროთ“. თავდაპირველად გადავცემთ ბურთს თანაშემწეს, რომელიც ამბობს: „მე მქვია ნია და მიყვარს ძაღლები“. შემდეგ თანაშემწე გადასცემს ბურთს მისგან ხელმარჯვნივ მჯდომს, რომელიც ამბობს თავის სახელს და ასახელებს საყვარელ საგანს/საქმიანობას. როცა ბურთი ერთ წრეს ”შემოივლის”, ვცვლით წესს - ვაძლევთ ბურთს მეზობელს და ვამბობთ: „მე ვიცი, რომ შენ ხარ ნია და გიყვარს ძაღლები. კიდევ რა გიყვარს?“, ნია ამბობს: „მე კიდევ მიყვარს ნაყინი“, შემდეგ კი მიმართავს თავის მეზობელს იმავე კითხვით:„ვიცი, რომ გქვია ... „ და ა.შ.

როცა ბურთი მეორე წრეს შემოივლის, ვამბობთ: „ჩვენ უკვე ცოტა რამ ვიცით ერთმანეთის შესახებ, თანდათანობით ერთმანეთს უკეთ გავიცნობთ, ახლა კი ვიცეკვოთ!“.

ვრთავთ მხიარულ მუსიკას, ვაწყვილებთ ბავშვებს (მივცეთ საშუალება, თვითონ აირჩიონ მეწყვილე, საჭიროების შემთხვევაში კი დავეხმაროთ მის შერჩევაში); წყვილებმა კიდევ ერთხელ უნდა უთხრან ერთმანეთს სახელები, შემდეგ კი თითოეულ წყვილს ვაძლევთ ბუშტს. დაწყვილებულმა ბავშვებმა უნდა იცეკვონ ისე, რომ ბუშტი არ დაუვარდეთ. ბუშტების დაჭერა მოცეკვავეებს შეუძლიათ მუცლებით, მუხლებით ან ზურგებით - ისე, როგორც მოუხერხდებათ (ხელების გამოყენება ნებადართული არ არის). ცეკვის დასრულების შემდეგ ვამბობთ: „ახლა კი წავიდეთ, დავათვალიეროთ ჩვენი ოთახი და, საერთოდ, ყველაფერი ჩვენ ირგვლივ, რაც დაგაინტერესებთ. მოდით, გავაკეთოთ "მატარებელი“.

ბავშვები დგებიან ერთმანეთის უკან, წინ მდგომს წელზე ან მხრებზე ადებენ ხელს, თანაშემწე მწკრივის თავში დგება - ის "ორთქლმავალია", აღმზრდელი - "ბოლო ვაგონი". ასე იწყება გარემოს გაცნობა. პირველი "გაჩერება" ეწყობა ტუალეტთან. აქ "მატარებელი" შეიძლება დაიშალოს, რათა ყველამ კარგად ნახოს, სად რა არის - სად უნდა დაიბანონ ხელი, სად არის საპონი, პირსახოცები და ა.შ. მომდევნო "გაჩერებების" ადგილი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის მოწყობილი შენობა. მთავარია, ბავშვებმა კარგად დაათვალიერონ ყველაფერი, არ დარჩეს ადგილი, სადაც: „არ დავდივართ“, „შესვლა არ შეიძლება“ და ა.შ. ბავშვები უნდა დარწმუნდნენ, რომ იქ, სადაც „არ დავდივართ“, არ იმალება არანაირი საფრთხე, უბრალოდ, იქ სხვა ბავშვები არიან ან უფროსები საქმიანობენ და მათ ხელი არ უნდა შევუშალოთ.

მოვიაროთ ეზო, დავათვალიეროთ და ვითამაშოთ სახალისო თამაშები. თამაშების არჩევანი ჩვენზეა, მაგრამ ყურადღებით დავაკვირდეთ, მონაწილეობს თუ არა ყველა ბავშვი ხალისით. თუ რომელიმე ბავშვი არ ერთვება თამაშში, მოვიფიქროთ რამე განსაკუთრებული. მაგალითად, ვუთხრათ, რომ ის იქნება დღის განმავლობაში აღმზრდელის დამხმარე და დაეხმარება მას სხვადასხვა აქტივობაში. თამაშებში ჩავრთოთ ის მშობლებიც, რომლებიც ჩვენთან ერთად არიან.

ოთახში დაბრუნებისას დავიბანოთ ხელები. ვამბობთ: „აბა, თუ გახსოვთ, სად ვიბანთ ხელებს?“. ბავშვებმა უნდა გვიჩვენონ, იციან თუ არა ხელის დაბანა. პროცესი უფრო სახალისო რომ გავხადოთ, შეიძლება შევარჩიოთ სხვადასხვა ფერის ან თხევადი საპონი. ვუჩვენოთ ბავშვებს, როგორ ვიბანთ ხელს; დავიმახსოვროთ (ჩავინიშნოთ), რომელმა ბავშვმა არ იცის კარგად ხელის დაბანა, ვის სჭირდება დახმარება საპირფარეშოთი სარგებლობისას.

ოთახში დავათვალიეროთ სათამაშოები, წიგნები და სამუშაო მასალები. ამისთვის დავყოთ ბავშვები ჯგუფებად და გავანაწილოთ ცენტრებში, შემდგომ კი მივცეთ ადგილების გაცვლის საშუალება. პირველი დღისთვის შესაძლოა მოეწყოს ხელოვნების, როლური თამაშების და ბუნებრივი მასალების ცენტრები. მივცეთ ბავშვებს დრო, რომ ითამაშონ სათამაშოებით და დაათვალიერონ წიგნები. მერე მოვიწვიოთ ჯგუფურ აქტივობაზე, რომელიც ამ დღეს განსაკუთრებით სახალისო და დასამახსოვრებელი უნდა იყოს. შევთავაზოთ ბავშვებს ისეთი რამ, რაც მათ სახლში არ უკეთებიათ, მაგალითად, თითის საღებავებით ხატვა. სახატავად მივცეთ ბავშვებს დიდი ფორმატის ქაღალდი, რომელზედაც ყველანი ერთად ან მცირე ჯგუფებში შექმნიან მხიარულ ნახატს (ნახატებს); მივცეთ

ბავშვებს საშუალება, შეურიონ ფერები ერთმანეთს, შექმნან აბსტრაქტული ნამუშევარი.

ცალკე გავაკეთოთ ერთი პლაკატი, რომელზეც ყველა ბავშვი გააკეთებს ხელის ანაბეჭდს მის მიერ არჩეული ფერით. მივაწეროთ ანაბეჭდებს ბავშვების სახელები და გავაკრათ კედელზე.

შემაჯამებელი შეხვედრა წრეში: ვთხოვთ ბავშვებს, კიდევ ერთხელ, რიგითობის დაცვით, ხელით შეეხონ მათგან მარჯვნივ მჯდომ თანაჯგუფელს და თქვან მისი სახელი: წრეში მყოფი თითოეული ბავშვი, ეხება მისგან მარჯვნივ მჯდომს და ამბობს მეზობლის სახელს (მაგ., „შენ ხარ გიორგი!“), ამის შემდეგ მეზობელი ეხება მისგან მარჯვნივ მჯდომს, ამბობს მის სახელს და ა.შ. დასასრულ, ბავშვებს ვეკითხებით, რა მოეწონათ დღეს ჯგუფში. ვთხოვთ, არ დაიგვიანონ ხვალ, რადგან კიდევ ბევრი საინტერესო რამ ელოდებათ. ვიმღეროთ ერთად და დავემშვიდობოთ ხვალამდე. ბავშვებს ვუთხრათ, რომ მათი მოსვლა ხვალ თვითონ უნდა აღნიშნონ ფურცელზე. გავაფრთხილოთ მშობლები, რომ სასწავლო მიზნებით დაგვჭირდება მათი საოჯახო ფოტოსურათები, რომლებსაც ჩვენს ოთახში შევინახავთ.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მეორე დღე (სამშაბათი)	აღმზრდელი ეგებება ბავშვებს და ეხმარება ჯგუფში მოსვლის აღნიშვნაში ზაფხულის შთაბეჭდილებები, ემოციების გაზიარება **აქტივობა:** სამახსოვრო დღეები აქტივობები ნახატებით	**აქტივობა:** ცენტრების გაცნობა **აქტივობა:** ზაფხულის საუკეთესო დღე **აქტივობა:** ჩემი ოჯახი **როლური თამაში:** „სახლობანა“ **აქტივობა:** ამინდის კალენდარი	ვკითხულობთ წიგნს „ტოპო-ტიპი ბაღში მიდის“	გადახტომები მე არა!	ზაფხული და შემოდგომა; წესების, ნიშნების გაცნობა; შემოდგომის ნიშნები; შაში	შევქმნათ საკუთარი სიმღერა; სიმღერა „კარუსელი“ გივი ჭიჭინაძის ლექსი „ჩვენი ბაღი“	შევაჯამოთ დღე. ვკითხოთ ბავშვებს, რა მოეწონათ ყველაზე უფრო და რისი გაკეთება უნდათ ხვალ? ვთხოვოთ, ხვალ მოიტანონ ოჯახის წევრების ფოტოები, რათა გაგვაცნონ თავისი ოჯახი.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
დღის მასალები, რესურსები	მოსვლის დაფიქსირებისათვის გამზადებული მასალები	ცენტრების სტანდარტული რესურსები; ამინდის კალენდრისთვის გამზადებული მასალები	წიგნი „ტოპო-ტიპი ბაღში მიდის“	ცარცი	შაში; ძველი ჟურნალები, მაკრატლები, წებო, ხელოვნების ცენტრის მასალები, დიდი ფორმატის ქაღალდი.	სიმღერის ჩანაწერი	
მესამე დღე (ოთხშაბათი) ინდივიდუალიზება	სახალისო მისალმება: ვიმღეროთ წინა დღეს შექმნილი სიმღერა, საჭიროების შემთხვევაში შევიტანოთ მასში ცვლილებები ამინდის კალენდრის შევსება	**აქტივობა:** ჩემი სახლი **აქტივობა:** ჩემი სახელის პირველი ასო; **როლური თამაში:** ზაფხულის თავგადასავლები; ჩვენი შვილი მიდის ბაღში;	შ. ამირანაშვილის ლექსი „აბა, როგორ ვნახავდი“	მოახვედრე ბურთი! წელიწადის ოთხი დრო.	ვიხსენებთ, რომ შემოდგომაა და ოქტომბერი. დღეს არის ოქტომბრის (ბაღში მოსვლის) მესამე დღე. ამის შემდეგ კი გადავდივართ აქტივობაზე - 1. რომელია მესამე? 2. დავაჯგუფოთ სამ-სამად.	სიმღერა: „ბასტიბუბუ“ – (მერე რაო, რა მოხდაო)	შევაჯამოთ, გამოვკითხოთ, რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ დღის განმავლობაში? ვსხედვართ წრეზე, ყველამ გასცეს პასუხი კითხვას: „რომელია შენგან მესამე ბავშვი?“ (პირველი, მეორე)? მარჯვნივ თუ მარცხნივ?
მასალები, რესურსები	სახლიდან მოტანილი საოჯახო ფოტოები	ხელოვნების ცენტრის მასალები, თოჯინები, სათამაშო ჭურჭელი, - როლური თამაშების ცენტრის მასალები.	შ. ამირანაშვილის ლექსი „აბა, როგორ ვნახავდი“	ბურთი, კალათა.	პატარა საგნები დასათვლელად, ფერადი მუყაოსგან გაკეთებული სხვადასხვა სახის გეომეტრიული ფიგურები; ნიჟარები.	აუდიო / ვიდეომასალა	შესაბამისი ფოტოები ან ნახატები

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მეოთხე დღე (ხუთშაბათი) ინდივიდუალიზება	სახალისო მისალმება; რატომ უნდა დავიცვათ წესები;	**როლური თამაში:** რთველი (ან ნებისმიერი სხვა მოსავლის დაბინავება); **აქტივობა:** ხატვა - „ზაფხულის ან შემოდგომის ამინდი".	მურმან ლეგანიძის ლექსი ,,შემოდგომა.''	გზაჯვარედინი.	1. ფაზლი: შემოდგომა 2. სამუშაო ფურცელი - გოგრები. ბავშვები აფერადებენ რთველის ნახატებს	სიმღერა „აქაც მე ვარ"	შევაჯამოთ, რატომ ყოფილა საჭირო წესები? ჩვენ უნდა დავიცვათ წესები, რათა დავეხმაროთ ერთმანეთს და არ ვიჩხუბოთ. მოდით, იფიქრეთ, გვჭირდება თუ არა წესები ჯგუფში და როგორი უნდა იყოს ეს წესები?
მასალები/ რესურსები		ლოტო, ხელოვნების ცენტრის მასალები, გირჩები და რკოები	მურმან ლეგანიძის ლექსი ,,შემოდგომა.''	სათამაშო ან თვითნაკეთი შუქნიშანი, ცარცი, მანქანები	4-5-ნაწილიანი ფაზლი „შემოდგომა"; სამუშაო ფურცლები, გოგრის თესლი	აუდიო/ვიდეო მასალა	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მეხუთე დღე (პარასკევი)	ჯგუფის წესები.	**პროექტი** - ჩემი ჯგუფი: 1.შემოდგომის ნაკეთობები; **როლური თამაში:** ჩემი შვილის დაბადების დღე; **წესებიანი თამაში:** კამათლებიანი სამაგიდო თამაში „მოძრაობის წესები“/	ასტრიდ ლინდგრენის წიგნი „ სახურავის ბინადარი კარლსონი“ I თავი.	თამაში: „ვისი სული გსურთ?“	რაოდენობების შედარება გეომეტრიული ფიგურების დაჯგუფება დახარისხება და დათვლა	ვუსმენთ ვივალდის „შემოდგომას“ და ვხატავთ ან ვმოძრაობთ (ვცეკვავთ)	შეჯამება: ვკითხოთ, როგორი ამინდი იყო გუშინ? როგორია დღეს? გადაამოწმონ კალენდართან გუშინდელი ამინდი; ვთხოვოთ, მომდევნო დასვენების დღეებში დაიმახსოვრონ შაბათისა და კვირის ამინდი, რომ ორშაბათს შევიტანოთ ამინდის კალენდარში.
მასალები/ რესურსები		ხელოვნების ცენტრის მასალები, ბუნებრივი მასალები, თოჯინები, სათამაშო ჭურჭელი და ავეჯი და ა.შ.; სამაგიდო თამაში „მოძრაობის წესები“.	„სახურავის ბინადარი კარლსონი“	ცარცი, შუქნიშანი, პოლიციელის ჯოხი, მანქანები	სხვადასხვა ზომის საგნების ნაკრებები; გეომეტრიული ფიგურების ნაკრები, ჩურჩხელას (ნიგვზიანისა და თხილიანის) ნახატები განსხვავებული რაოდენობებით; საზამთროსა და ნესვის ნახატები ფურცლებზე	აუდიოჩანაწერი	

საქმიანობათა ინსტრუქციები

დილის შეხვედრა წრეში

1 **ბავშვები აღნიშნავენ ბაღში მოსვლას:** მივესალმოთ ყველა ბავშვს და ვუჩვენოთ, როგორ უნდა აღნიშნონ თავიანთი მოსვლა ჯგუფში. ამისთვის წინასწარ უნდა დავამზადოთ მასალა - სხვადასხვა საგნის/ნივთის სურათები. ეს შეიძლება იყოს: მდელო, ზღვა, მატარებელი ან ფოთლებიანი ხე.

(ფერადი მუყაოსგან გავაკეთოთ ხის ვარჯი და ტოტები, გამოვჭრათ ფოთლები. ფოთლის ერთ მხარეს დავაწეროთ ბავშვის სახელი, მეორე მხარეს კი მივაკრათ წებოვან ლენტზე დამაგრებული ბავშვის ფოტო. ამავე პრინციპით შესაძლებელია ზღვის, მდელოს, მატარებლის დახატვაც. ყვავილების, თევზების, ფოთლების, მატარებლის ვაგონების ფანჯრების ერთ მხარეს უნდა დავაწეროთ ბავშვების სახელები, მეორე მხარეს კი მივაკრათ მათი ფოტოები, დამაგრებული წებოვან ლენტზე. მოსვლისას ბავშვმა უნდა მოძებნოს ყვავილი თავისი სახელით და დაამაგროს "მდელოზე", ან „თევზი" თავისი სახელით დაამაგროს „ზღვაზე", ან საკუთარი ფოტო „ჩასვას მატარებელში". შეგვიძლია მოვიფიქროთ მოსვლის აღნიშვნის სხვა სახალისო ვარიანტებიც).

2 **ზაფხულის შთაბეჭდილებების გაზიარება:** ვთხოვოთ ბავშვებს დასახელონ, სად გაატარეს ზაფხული და რა დაამახსოვრდათ ყველაზე უკეთ. ვუჩვენოთ ნახატები ან ილუსტრაციები, რომლებიც უკავშირდება ზაფხულის თემას (მაგ., სოფლის პეიზაჟი; ზღვის, მთის კურორტები; ასევე სამოგზაურო ტრანსპორტი- თვითმფრინავი, მანქანა, მატარებელი, ავტობუსი, სამარშრუტო ტაქსი, სხვ.). აღმზრდელები და ბავშვები ისაუბრებენ ზაფხულის შთაბეჭდილებებზე (იხ. ილუსტრაცია #1, 2).

3 **აქტივობები ნახატებით:** ბავშვები ათვალიერებენ ნახატებს და ასახელებენ, რომელი ნახატი ჰგავს იმ ადგილს, სადაც მათ გაატარეს ზაფხულის არდადეგები ან მოაგონებს იმ საქმიანობას, რომელსაც ისინი არდადეგების პერიოდში ასრულებდნენ. სასურველია, გვქონდეს ქალაქის ფოტოც იმ შემთხვევისთვის, თუკი რომელიმე ბავშვს ქალაქგარეთ არ დაუსვენია.

4 **სამახსოვრო დღეები:** დავაწყვილოთ ბავშვები. მეწყვილეებმა ერთმანეთს უნდა უამბონ ზაფხულის არდადეგების ერთი სამახსოვრო დღის შესახებ. სურვილის შემთხვევაში მეწყვილეები უზიარებენ ჯგუფს ერთმანეთის შთაბეჭდილებებს.

5 **სახალისო მისალმების მაგალითი:** აწეული ხელით ვესალმებით ერთმანეთს და ვამბობთ: „ვესალმები ყველას, ვისაც სახლში ჰყავს შინაური ცხოველი: კატა, ძაღლი, ზაზუნა, კატა, თუთიყუში!". ამა თუ იმ ცხოველის დასახელების შემდეგ სალმით გვპასუხობენ ის ბავშვები, რომლებსაც ოჯახში ჰყავთ დასახელებული შინაური ცხოველი. შემდეგ ვამბობთ: „ვესალმებით ყველას,- ვისაც უყვარს ნაყინი!" და ა. შ. მთავარია, არავინ არ გამოგვრჩეს - ჯგუფში არ უნდა დარჩეს ბავშვი, რომელსაც არ მივესალმებით.

6 **ჩემი ოჯახის ფოტოები:** დავაწყვილოთ ბავშვები, შევთავაზოთ (წახალისების ფორმით), რომ თავიანთ მეწყვილეებს უჩვენონ სახლიდან მოტანილი საოჯახო ფოტოები; აუხსნან, ვინ ვინ არის და უამ-

ბონ, კიდევ ვინ ჰყავთ ოჯახში. გასაუბრების შემდეგ ყველამ უნდა წარადგინოს თავისი მეწყვილის ოჯახი. თუ ბავშვები ვერ მოიტანენ ფოტოებს, შეგვიძლია გამოვიყენოთ მათ მიერ წინა დღეს შექმნილი ნახატები ან ვუჩვენოთ რაიმე ფოტო, რომელზეც გამოსახული არიან ერთი ოჯახის სამი თაობის წარმომადგენლები (იხ. ილუსტრაცია #3). ვმსჯელობთ სურათზე და მასზე დაყრდნობით ვეკითხებით ბავშვებს მათი ოჯახის წევრების შესახებ.

7 **ნათესავები:** ვისაუბროთ ოჯახურ/ნათესაურ კავშირებზე, მაგალითად: „შენი ბებია ვინ არის მამაშენისთვის? დედაშენისთვის? პაპაშენისთვის/ბაბუაშენისთვის? შენი ძმისთვის?“, სხვ. ვკითხოთ ბავშვებს, ვის ჰქვია ბებიის, პაპის/ბაბუის, მამიდის ან დეიდის სახელი და ა.შ.

8 **ამინდის კალენდრის შევსება:** ამინდის კალენდარში აღვნიშნავთ იმდღევანდელ ამინდს. ვიხსენებთ, როგორი ამინდი იყო გუშინ. ვარკვევთ, რა არის გუშინ, დღეს, ხვალ (იხ. აღმზრდელის სახელმძღვანელო, თავი 18. ბუნება და ფიზიკური სამყარო).

9 **წესების ნიშნების გაცნობა**: წამოვიწყოთ საუბარი წესებისა და მათი დაცვის შესახებ (რატომ უნდა დავიცვათ წესები? რა არის წესები? რატომ გვაქვს წესად, რომ ქუჩაში ან ბუნებაში ნაგავი არ დავყაროთ? სად უნდა გადავყაროთ ნაგავი? კიდევ თუ ვიცით წესები, რომლებსაც ვიცავთ სახლში, ეზოში ან ქუჩაში ყოფნისას?, სხვ.). ბავშვებს განვუმარტავთ წესების რაობას და მათ მნიშვნელობას; ვუჩვენებთ ნიშნებს, რომლებიც გარკვეულ წესებზე მიგვითითებს (მაგ., ნაგვის ყუთის გამოსახულება ნიშნავს, რომ ნაგავი იქვე მდგარ ნაგვის კონტეინერში უნდა მოვათავსოთ და ა.შ.) (იხ. ილუსტრაცია #4); ვთხოვთ გაიხსენონ, რა ნიშნები შეხვედრიათ. შემდეგ ბავშვებს ვუჩვენებთ ბარათებს სხვადასხვა სახის ნიშნების გამოსახულებით და წავახალისებთ, რომ გამოიცნონ გამოსახული ნიშნის შესაბამისი წესი. წესები ეხმარება ადამიანებს აირიდონ შესაძლო საფრთხე.

10 **ჯგუფის წესები:** აღმზრდელი შესთავაზებს ბავშვებს, რომ ერთობლივად განსაზღვრონ ჯგუფში ქცევის წესები *(იხ. აღმზრდელის სახელმძღვანელო, თავი 2, ჯგუფის ერთობა)*. მაგ., ერთ-ერთი წესი შეიძლება იყოს ცენტრებში არსებული ნივთების მოფრთხილება და მათი სათანადო ადგილზე დაბინავება გამოყენების შემდეგ. ჩავიწეროთ ეს წესები და დავპირდეთ ბავშვებს, რომ ორშაბათისთვის ამ ჩანაწერს ლამაზად გავაფორმებთ. ვკითხოთ ბავშვებს, რატომ მოაფიქრდათ სწორედ ეს წესები, რაში დაგვეხმარება მათი დაცვა და რა მოხდება, თუკი არ დავიცავთ. ხაზი გავუსვათ ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას.

აქტივობები

1 **ცენტრების გაცნობა:** ამ დღისთვის ოთახში უკვე მოწყობილი უნდა იყოს რამდენიმე ცენტრი. ავუხსნათ ბავშვებს, რას წარმოადგენს ცენტრები, რა არის მათი ფუნქცია; დავათვალიერებინოთ, როგორ არის ისინი მოწყობილი; გავაცნოთ, სად რა მასალა და სათამაშოები აწყვია; ვუთხრათ, რომ თამაშის დასრულების შემდეგ ყველაფერი ისევ თავის ადგილზე დააბრუნონ. შევთანხმდეთ ცენტრებში განაწილების წესზე.

2 **ზაფხულის საუკეთესო მოგონება და შემოდგომაზე სახლში დაბრუნება;** შევთავაზოთ ბავშვებს, გვიამბონ ზაფხულის ერთი დღის შესახებ; მივცეთ საშუალება, რომ დახატონ შთაბეჭდილება ან შექმნან/ააშენონ

(პლასტილინის ან ფერადი ქაღალდების გამოყენებით) მათთვის სამახსოვრო დღის ამსახველი ნივთი/საგანი, პიროვნება ან სიტუაცია. მაგ., მეგობართან ერთად კარგად ითამაშეს ან მდინარეში იცურავეს. სურვილის შემთხვევაში ბავშვებს შეუძლიათ წარადგინონ ნამუშევარი ჯგუფში; შეგვიძლია ასევე გამოვფინოთ ნახატები ან ნივთები, რომლებიც ბავშვებმა შექმნეს ზაფხულის შთაბეჭდილებების საფუძველზე.

3 **ჩემი სახლი:** შევთავაზოთ ბავშვებს, გაგვაცნონ თავიანთი სახლები. მივცეთ საშუალება, რომ დახატონ, ააშენონ ან შექმნან ისინი ნებისმიერი მასალის გამოყენებით, შემდგომ კი წარადგინონ ჯგუფში და თქვან თავიანთი მისამართი (თუ იციან).

4. **ამინდის კალენდარი:** დავკიდოთ კედელზე ამინდის კალენდრისთვის გამზადებული ფურცელი. ბავშვებთან ერთად გავერკვეთ, როგორ უნდა ვიმუშაოთ და აღვნიშნოთ ამ კალენდარზე იმდღევანდელი ამინდი (იხ. აღმზრდელის სახელმძღვანელო. თავი 18. ბუნება და ფიზიკური სამყარო).

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
	1 ~~ხვალ~~ ~~დღეს~~ ~~გუშინ~~	2 ~~ხვალ~~ ~~დღეს~~ ~~გუშინ~~	3 ~~ხვალ~~ ~~დღეს~~ ~~გუშინ~~	4 ~~ხვალ~~ ~~დღეს~~ ~~გუშინ~~	5 ~~ხვალ~~ ~~2 დღის წინ~~	6 ~~2 დღის მერე~~ ~~გუშინ~~
7 ~~ხვალ~~ ~~დღეს~~ ~~გუშინ~~	8 ~~ხვალ~~ ~~დღეს~~ ~~გუშინ~~	9 ~~ხვალ~~ ~~დღეს~~ ~~გუშინ~~	10 ~~ხვალ~~ ~~დღეს~~ **გუშინ**	11 ~~ხვალ~~ **დღეს**	12 **ხვალ**	13 **2 დღეში**
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

5. **ჩემი ოჯახი:** შევთავაზოთ ბავშვებს, დახატონ სურათი „ჩემი ოჯახი“ ან გააკეთონ ამავე სახელწოდების კოლაჟი (ფოტოების გამოყენებით). ოჯახის წევრების გარდა, ბავშვებმა შეიძლება მოინდომონ სახლის, საყვარელი ცხოველების ან სათამაშოების გამოსახვაც. შექმნილ ნამუშევრებს ბავშვები წარუდგენენ ჯგუფს ან მეწყვილეს.

6. **ჩემი სახელის პირველი ასო:** ბავშვები „კითხულობენ“ თავიანთ სახელებს, რომლებიც ერთ პლაკატზეა დაწერილი. თითოეული მათგანი ეცნობა „თავის“ ასოს - ესაა ასო, რომლითაც იწყება მისი სახელი. შევთავაზოთ ბავშვებს, რომ მონახონ ის ჯგუფელები, რომელთა სახელებიც იმავე ასოთი იწყება. ერთმანეთის მონახვა შევთავაზოთ იმ ბავშვებსაც, რომელთა სახელების პირველი ასო არავისთან არ განმეორდა.

   შეგვიძლია წინასწარ მოვამზადოთ ცხრილი. ცხრილის თითოეულ სვეტში მითითებული გვექნება ის ასოები, რომლებითაც იწყება ჩვენი ჯგუფის ბავშვების სახელები. ვთხოვოთ ბავშვებს, რომ თითოეულმა მათგანმა მონახოს ცხრილში თავისი სახელის პირველი ასო და ორმაგი წებოვანი ლენტით მიამაგროს თავისი სიმბოლო. ამის შემდეგ დავეხმაროთ ბავშვებს, რომ გვიპასუხონ შეკითხვებზე: ,,რომელ ასოზე იწყება ყველაზე ბევრი ბავშვის სახელი?'', „ყველაზე ცოტა?“ და ა.შ.

7. **ხატვა - „ზაფხულის ან შემოდგომის ამინდი“:** შევთავაზოთ ბავშვებს, დახატონ ნახატი, რომელზეც გამოსახული იქნება ზაფხულის ან შემოდგომის ამინდი. მივცეთ ბავშვებს საშუალება, რომ თვითონ აირჩიონ სახატავი მასალები და სურათის სიუჟეტი.

8. **შემოდგომის ნიშნები:** გავიდეთ ეზოში და დავაკვირდეთ შემოდგომის ნიშნებს. ვისაუბროთ, რა ცვლილებებს ვამჩნევთ ბუნებაში. თუ ჩვენი ეზო გვაძლევს ამის შესაძლებლობას, შევაგროვოთ ბუნებრივი მასალები: ყვითელი და წითელი ფოთლები, გირჩები, წიწვები, რკოები, ხის ტოტები (განსაკუთრებით, უჩვეულო ფორმების მქონე) და ა.შ.

წესებიანი/მოძრავი თამაშები:

1. **წელიწადის ოთხი დრო:** მოვაძებნინოთ ბავშვებს წელიწადის დროების ამსახველი სიმბოლოები, რომლებსაც თამაშის დაწყებამდე დავმალავთ. სიმბოლოების შექმნა შეგვიძლია ბავშვებთან ერთად (მაგ., შემოდგომა: ყურძენი; გაზაფხული: მერცხალი; ზაფხული: მზე; ზამთარი: თოვლის ფიფქი და ა.შ.). დამალული საგნების მოძებნისას შესაძლებელია ბავშვებს მივაწოდოთ მინიშნებები: ”ცივა - თბილა” (როცა ბავშვი უახლოვდება იმ ადგილს, სადაც საგანია დამალული, ვამბობთ „თბილა” / „დათბა“, როცა შორდება - „აცივდა“).

2. **გადახტომები:** შევთავაზოთ ბავშვებს თამაში, რომლის დროსაც ხტუნვა (გადახტომა) იქნება საჭირო. მაგალითად, გავავლოთ ცარცით ორი პარალელური ხაზი - ეს იქნება „მდინარე“. „მდინარეს“ ბავშვები ისე უნდა გადაახტნენ, რომ შიგ არ ჩაცვივდნენ (ანუ არ უნდა ჩახტნენ ხაზებს შორის). თავდაპირველად ხაზები („ნაპირები“) ახლოს უნდა იყოს ერთმანეთთან, მერე, როცა შევაფასებთ ბავშვების შესაძლებლობებს, შეგვიძლია გადავახტეთ უფრო განიერ „მდინარეს“.

3. **მე არა**: მოთამაშეები დგანან წრიულად, წამყვანი დგას წრის ცენტრში. ერთ-ერთი ბავშვი ამბობს რომელიმე მოთამაშის სახელს. წამყვანმა უნდა მოძებნოს ეს მოთამაშე და ხელით შეეხოს. დასახელებულმა ბავშვმა უნდა მოასწროს სხვა მოთამაშის სახელის დაძახება მანამდე, სანამ მას შეეხებიან, წამყვანი ეძებს ახლად დასახელებულ მოთამაშეს. ის, ვინც ვერ მოასწრებს სხვა მოთამაშის სახელის დაძახებას, თავად ხდება წამყვანი.

4. **მოახვედრე ბურთი:** დავაყენოთ კალათბურთის ფარი (მცირე სიმაღლეზე), *ან* დავდოთ მოშორებით ყუთი/კალათა, *ან*, უბრალოდ, დავდოთ რგოლი. დავიყოთ გუნდებად. ბავშვებმა რიგრიგობით უნდა ჩააგდონ ბურთი კალათში.

5. **ვისი სული გსურთ?:** გუნდები დგებიან ერთმანეთის პირისპირ ორ მწკრივად, 3-4 მეტრის დაშორებით. მოთამაშეები მაგრად ჩაკიდებენ ერთმანეთს ხელს. ერთი გუნდი ყვირის: ,,ვისი სული გსურთ?'', მეორე გუნდიდან უნდა დაასახელონ პირველი გუნდის ერთ-ერთი მოთამაშე (მაგალითად, „მარინასი!“). დასახელებული ბავშვი გამოიქცევა მოწინააღმდეგეთა გუნდისკენ და შეეცდება მწკრივის გარღვევას. თუკი ამას მოახერხებს, შეუძლია თავის გუნდში წამოიყვანოს მოწინააღმდეგე გუნდის ერთ-ერთი მოთამაშე, მაგრამ თუ მწკრივს ვერ გაარღვევს, თავად დარჩება მოწინააღმდეგე გუნდში.

6. **გზაჯვარედინი:** ვუამბოთ ბავშვებს შუქნიშნის შესახებ (რა დანიშნულება აქვს, ვის ეხმარება, როგორ აწესრიგებს ტრანსპორტის მოძრაობას; რა მოხდებოდა, შუქნიშანი, რომ არ იყოს; რამდენი ფერი აქვს, რას აღნიშნავს თითოეული ფერი და სხვ.). შემდეგ შევთავაზოთ აქტივობა: ეზოში მოვაწყოთ გზაჯვარედინი - დავხაზოთ ცარცით გზა, დავაყენოთ „პოლიციელი“ ან/და შუქნიშანი. შუქნიშნის გაკეთება შეგვიძლია მუყაოსა და ფერადი ქაღალდისგან. ბავშვებს შეუძლიათ აიღონ სათამაშო მანქანები ან თვითონ გახდნენ ”მანქანები”. ამის მერე უნდა გავერკვეთ, როგორ უნდა იმოძრაონ მანქანებმა თუ ფეხით მოსიარულეებმა გზაჯვარედინზე და რატომ უნდა იმოძრაონ სწორედ ასე. პირველად ვიმოძრაოთ შუქნიშნისა და წესების დაცვის გარეშე, დავრწმუნდეთ, რომ ეს იწვევს „ავარიებს“ და „უბედურ შემთხვევებს“. მერე შევიმუშავოთ მოძრაობის წესები და ქუჩაზე გადასვლის წესი. დავაყენოთ შუქნიშანი ან „პოლიციელი“, რომელიც დაარეგულირებს მოძრაობას. დავრწმუნდეთ, რომ წესების დაცვით მოძრაობა უსაფრთხო ხდება. კიდევ ერთხელ ვიკითხოთ: -„რისთვის არის მოგონილი ეს წესები? რა ხდება, როცა ვარღვევთ მოძრაობის წესებს?“.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში:

1. **ზაფხული და შემოდგომა:** მოვიმარაგოთ ჟურნალები ბუნების ამსახველი ფოტოებით. ვთხოვოთ ბავშვებს, რომ იპოვონ და ამოჭრან ზაფხულთან და შემოდგომასთან დაკავშირებული ნახატები ან ფოტოები (დავაკვირდეთ, როგორ ფლობენ მაკრატელს); ვკითხოთ, როგორ მიხვდნენ, რომ სურათზე ზაფხულია/შემოდგომაა? რა განსხვავებაა წელიწადის ამ ორ დროს შორის? ბავშვები დიდი ფორმატის ფურცელზე დააწებებენ ამოჭრილ სურათებს და ლამაზად გააფორმებენ. ამის შემდეგ დავასათაუროთ ნამუშევრები - დავაწეროთ „ზაფხული“ და „შემოდგომა“ (წავუკითხოთ ბავშვებს ეს სიტყვები) და დავკიდოთ კედელზე.

2. **შაში:** ავუხსნათ ბავშვებს შაშის თამაშის წესები და ვათამაშოთ შაში.



3. **რომელია მესამე?**: შევთავაზოთ ბავშვებს, დაალაგონ ფერადი კუბები მწკრივად ისე, რომ ყოველი მესამე ერთი და იმავე ფერისა (მაგ., წითელი) იყოს. გარდა ამისა, ბავშვებმა უნდა დაალაგონ გეომეტრიული ფიგურებიც (წინასწარ გამოვჭრათ ფერადი მუყაოსგან) ისე, რომ ყოველი მესამე იყოს, მაგალითად, წრე. შეგვიძლია ბავშვებს გავუმახვილოთ ყურადღება იმაზეც, თუ რა ფერია პირველი კუბი, მეორე კუბი და ა.შ.

4. **დავაჯგუფოთ სამ-სამად:** ბავშვებს შევთავაზოთ ერთი სახეობის 12-15 ცალი პატარა საგანი (ეს შეიძლება იყოს კენჭები, ბურთულები, ფანქრები სათამაშო მანქანები და ა.შ.) და ვთხოვოთ, დააჯგუფონ სამ-სამად.

5. **დახარისხება და დათვლა:** შევთავაზოთ ბავშვებს სხვადასხვა სახეობის პატარა საგნები, მაგალითად, ბურთულები, კენჭები და ჩხირები. თავდაპირველად ვთხოვოთ ბავშვებს, რომ დააწყონ ცალ-ცალკე ერთნაირი საგნები. მას შემდეგ, რაც დააჯგუფებენ საგნებს, ვთხოვოთ, რომ აიღონ და ცალკე დააწყონ 3 ბურთულა, შემდეგ კი დავამატოთ: „აიღე იმდენი კენჭი, რამდენი ბურთულაც არის; იმდენი ჩხირი, რამდენი კენჭიც არის“. გავუმახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ ბურთულების, კენჭებისა და მანქანების რაოდენობა ტოლია. შეგვიძლია წავახალისოთ ბავშვები, რომ ერთმანეთს თავად მისცენ ინსტრუქციები. მაგ., „აიღე ორი მანქანა; აიღე იმდენი კენჭი, რამდენი ჩხირიც არის“ და ა.შ.

6. **ფაზლი:** შევთავაზოთ ბავშვებს ასაწყობად ფაზლი „შემოდგომა“. დავაკვირდეთ, რამდენად გაართმევენ ბავშვები თავს აღნიშნულ საქმიანობას. ამის შესაბამისად, შემდეგ ჯერზე გავართულებთ ან გავამარტივებთ დავალებას. შესაძლებელია აგრეთვე დავალებების დიფერენცირება სხვადასხვა ბავშვისთვის. თავდაპირველად ჯობს მივცეთ 4-5-ნაჭრიანი ფაზლი, თანდათან კი გავზარდოთ ნაჭრების რაოდენობა (*ფაზლის დამზადება შეგვიძლია თავადაც. ამისთვის დიდ მუყაოზე უნდა დავაწებოთ სურათი/ნახატი და დავჭრათ ნაწილებად).*

7. **გოგრები:** წინასწარ მოვამზადოთ სამუშაო ფურცლები, რომლებზეც დახატულია 5 გოგრა. მივაწეროთ თითოეულ მათგანს ციფრები 1-დან 5-ის ჩათვლით. შემდეგ მივცეთ ბავშვებს გოგრის თესლები. თითოეულ გოგრაზე მათ უნდა დააწყონ მითითებული ციფრის შესაბამისი რაოდენობის თესლები.

8. **გეომეტრიული ფიგურების ნაკრები/გეომეტრიული ფიგურების დაჯგუფება**: წინასწარ შევქმნათ ფერადი მუყაოსგან გეომეტრიული ფიგურების (წრე, სამკუთხედი, მართკუთხედი, კვადრატი) ნაკრები - სხვადასხვა სიდიდისა (დიდი, საშუალო, პატარა) და ფერის (წითელი, ლურჯი, ყვითელი, მწვანე). სულ გამოვა 48 ფიგურა. ეს ფიგურები შეიძლება დავაჯგუფოთ ფერის, სიდიდის ან სახეობის მი-

ხედვით. შეიძლება აგრეთვე გარკვეული ერთობლიობების შექმნა განსხვავებული ფიგურების გამოყენებით - მაგალითად, ორი წრე, ერთი კვადრატი, ორი სამკუთხედი, ან ერთი დიდი, ორი პატარა და ა.შ. გეომეტრიული ფიგურების ახსნისას აღმზრდელს შეუძლია გამოიყენოს შუქნიშნის მაგალითი.

9. **რაოდენობების შედარება:** შევთავაზოთ ბავშვებს, ერთმანეთს შეადარონ მცირე საგნების, მაგალითად, პატარა ბურთულების ან კუბების რაოდენობა. ბავშვებმა ჯერ დაუთვლელად უნდა თქვან, რომელია მეტი. მერე კი შეამოწმონ მათი რაოდენობები დაწყვილების გზით.

10. **სხვადასხვა სიდიდის საგნების რაოდენობების შედარება:** ერთმანეთს შევუდაროთ ორი დიდი ბურთი და 5 პატარა ბურთულა ან დიდი და პატარა მანქანები და ვკითხოთ ბავშვებს, რომელია მეტი.

პროექტი „შემოდგომა ჩვენს ჯგუფში“

ბავშვები ჯგუფში ისე უნდა გრძნობდნენ თავს, როგორც საკუთარ სახლში; უნდა იცოდნენ, რომ ეს მათი ოთახია და აქვთ უფლება, მოაწყონ ის საკუთარი გემოვნებით. შევუწყოთ ამაში ბავშვებს ხელი - გამოვფინოთ კედლებზე ის სურათები, რომლებიც ბავშვებს მოსწონთ, დავრთოთ ნება, რომ თავად შეურჩიონ ადგილიც. შევთავაზოთ, შექმნან ოთახში საშემოდგომო განწყობა - გააკეთონ შემოდგომის ნაკეთობები; შეიძლება შეიქმნას „შემოდგომის კუთხეც“, სადაც ყველა ნაკეთობა გამოიფინება.

შემოდგომის ნაკეთობები: დავამზადოთ სახალისო ნაკეთობები შემოდგომის ბუნებრივი მასალებით. ამისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ფოთლები, რკოები, გოგრის თესლები და სხვა ბუნებრივი მასალა.

დამატებითი იდეებისთვის შეგვიძლია ვეწვიოთ ქვემოთ მითითებულ ვებგვერდებს:

https://www.youtube.com/watch?v=6dpWXlGCPTQ;
https://www.youtube.com/watch?v=09_o7SI71Ck.

მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება

1 **საკუთარი სიმღერის შექმნა:** ბავშვებთან ერთად მოვიფიქროთ (შევქმნათ) „მისალმების“ და/ან „სიხარულის“ სიმღერები, რომლებსაც ვიმღერებთ ხოლმე დილაობით წრეში. სასურველია, რომ სიმღერას თან ახლდეს სახალისო მოძრაობებიც, რომლებსაც ბავშვებთან ერთად შევასრულებთ. მაგალითისთვის: ბასტი-ბუბუს სიმღერა „გამარჯობა, გართმევ ხელს“: https://www.youtube.com/watch?v=akexxTh-7SY. შეგვიძლია ბავშვებთან ერთად მოვიფიქროთ რაღაც ტექსტი და „დავადოთ“ რომელიმე ნაცნობ მელოდიას.

შესაძლებელია ასეთი ალტერნატივაც: შევთავაზოთ ბავშვებს, რომ ერთად ავარჩიოთ რომელიმე ლექსი (მაგალითისთვის შემოთავაზებულია გივი ჭიჭინაძის ლექსი), რომელსაც ისინი ერთად იტყვიან დილაობით წრეში შეხვედრის დროს. სასურველია, რომ ბავშვებთან ერთად ლექსს შევუსაბამოთ სახალისო მოძრაობები და მელოდია.

გივი ჭიჭინაძე

არ მჭირდება ტკბილეული,
არც ლამაზი სიტყვები,
მე საბავშვო ბაღში დედას
სულ სირბილით მივყვები.
მიყვარს ჩვენი კარგი ბაღი,
სავსე მზით და სინათლით,
უხარიათ ჩემი ნახვა
გიას, მზიას, თინათინს...
ყოველ დილით ადრიანად
მშობლებს მოჰყავთ ისინიც.
- გამარჯობა!
- გაგიმარჯოს!
ვმხიარულობთ, ვიცინით.

2 **მერე რაო, რა მოხდაო:** მოვისმინოთ სიმღერა „მერე რაო, რა მოხდაო“ (ბასტი ბუბუს შესრულებით, https://www.youtube.com/watch?v=CPQE1-Fk0ko) და ვისაუბროთ სიმღერის შინაარსზე (როგორ ჰგონიათ, მართლა მიეხმარნენ ბავშვები დედას? გაეხარდება დედას, როცა სახლში მოვა? თვითონ როგორ ეხმარებიან სახლში უფროსებს?). მერე კი ყველამ ერთად ვიმღეროთ.

3 **„აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ“.** სიმღერა საზამთროსა და მოსავალზე. https://www.youtube.com/watch?v=t5LRVOC6mdI

წიგნის დრო

1. წავიკითხოთ და ვისაუბროთ ლექსის შინაარსზე (რას ფიქრობენ ავთანდილის ნათქვამზე/როგორ გაიგეს ავთანდილის ნათქვამი? თვითონ ხედავენ თუ არა სიზმრებს? ბოლოს რა ნახეს სიზმარში?).

აბა, როგორ ვნახავდი

შოთა ამირანაშვილი

- ჩემო პატარა ვაჟკაცო,
  წუხელის როგორ გეძინა?
- ძალიან კარგად, დედიკო, -
  ბიჭუნამ ტკბილად შესცინა.
  დედიკომ გულში ჩაიკრა:
- სიზმარიც ნახე, ავთანდილ?
- თვალდახუჭული ვიყავი
  და, აბა, როგორ ვნახავდი?!

***

გაზაფხული, ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი,
ესეც შენი ოთხი დრო,
წელიწადი მზად არი.

გიორგი წერეთელი

2. წავიკითხოთ მურმან ლებანიძის ლექსი ,,შემოდგომა'':

მურმან ლებანიძე

შემოდგომა

უხარია შემოდგომა
ყველას, დიდს თუ პატარას,
იმიტომ, რომ კაკლებს ბერტყენ,
ადუღებენ თათარას.

იმიტომ, რომ ვენახს კრეფენ,
ქვევრებს რეცხენ ღიპიანს;
იმიტომ, რომ რაც ხილია,
ყველა ხილი მწიფეა!

უხარია შემოდგომა
ყველას ასე ძალიან,
იმიტომ, რომ სავსეა
ბეღელი და ნალია.

იმიტომ, რომ სავსეა
კალათი და გოდორი,
იმიტომ, რომ ირევა
ცაში ოქროს ფოთოლი...

ავხსნათ ახალი სიტყვები; ვისაუბროთ შემოდგომაზე, მოსავლის აღებაზე, რთველსა და ჩურჩხელებზე და ა.შ.

3. სახურავის ბინადარი კარლსონი:

ვკითხულობთ ასტრიდ ლინდგრენის წიგნის „სახურავის ბინადარი კარლსონი“ პირველ თავს. ამ თავში აღწერილია ჩვეულებრივი შვედური ოჯახი, ოჯახში ცხოვრობენ: დედა, მამა და სამი შვილი. მათი ხშირი სტუმარია ერთი სრულიად არაჩვეულებრივი ვინმე. კითხვის დამთავრების შემდეგ ვკითხოთ ბავშვებს, არის თუ არა რაიმე განსხვავება მათ ოჯახებსა და ამ შვედურ ოჯახს შორის? თვითონ თუ ჰგვანან წიგნის გმირს, ბიჭუნას? თუ მოსწონთ იგივე საჭმელი და/ან თუ ოცნებობენ იმავეზე?

მეორე კვირა

,,ყველაფერი ჩემ შესახებ'' – II კვირა

	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრუ-ლებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივი-დუალი-ზება	ამინდის კალენ-დრის შევსება; ჯგუფის წესები; მოვალეობების განაწილება. რა ცხოველები გვიყვარს?	**პროექტი "შემოდ-გომა ჩვენს ჯგუფში"** ნაკეთობები (გაგრ-ძელება). **აქტივობა:** შემოდგო-მის ფოთლები. **წესებიანი თამაში:** ჩემ მარჯვნივ დაჯდეს... **აქტივობა:** ვწონით და ვადარებთ.	ვკითხუ-ლობთ ასტ-რიდ ლინდ-გრენის წიგნს „სახურავის ბინადარი კარლსონი“ II თავი	სახლები	კანონზომიერე-ბები დამარცვლა	**იოჰან შტრა-უსის** „Radetzky March“ https://www.youtube.com/watch?v=pYYTdtRrg8M	შევაჯამოთ დღე. ვეკითხებით, რაში დაეხმა-რათ ჯგუფის წესები? ხომ არ ფიქრობენ, რომ რაღაცის დამა-ტებაა საჭირო? ზედმეტი ხომ არ არის რამე?
მასალები/ რესურსე-ბი		ხელოვნების ცენ-ტრის მასალები, ფოთლები, სხვა ბუ-ნებრივი მასალები, პინებიანი (თეფშე-ბიანი) სასწორი	წიგნი „სახუ-რავის ბინა-დარი კარლ-სონი“	ძველი გაზეთები	გირჩები, რკოები, სხვა ბუნებრივი მასალები. მცირე ზომის ბურთი.	ვიდეო და/ან აუდიომასალა	

	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრუ-ლებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
სამშაბათი ინდივი-დუალი-ზება	ჩემი ოჯახის საყვარელი დღე-სასწაული; დღის განრიგი.	**აქტივობა:** ჩემი განრიგი **წესებიანი თამაში:** გამოიცანი, ვინ. **როლური თამაში:** დღესასწაული (ვე-ლოდებით სტუმ-რებს).	ვკითხუ-ლობთ ასტ-რიდ ლინდგ-რენის წიგნს „სახურავის ბინადარი კარლსონი“ (III თავი)	„დაჭერო-ბანა“ (ჩიტი ხეზე).	ჩემი გვარი. ჩემი გვარის პირ-ველი ასო ვიპოვოთ ასო	ორკესტრი. **იოჰან შტრაუსი „ Annen polka”** https://www.youtube.com/watch?v=-hFYKZBWdS8	შევაჯამოთ დღე. მივაწოდოთ ბავშ-ვებს ინტრუმენ-ტების შესახებ ინფორმაცია. ვკითხოთ, ხომ არ უნდათ საკუთარი ინსტრუმენტების შექმნა? მოიფიქ-რონ ხვალამდე, რომელი ინსტრუ-მენტის გაკეთება სურთ.
მასალები/ რესურსები	დღის განრიგის სურათები, ხე-ლოვნების ცენტ-რის მასალები.	ფქვილი, მარილი, წყალი, სათამაშო ან/და ერთჯერადი ჭურჭელი; ხელოვნე-ბის ცენტრის მასალე-ბი.	ასტრიდ ლინ-დგრენის წიგ-ნი „სახურავის ბინადარი კარლსონი“		წიგნები ან ჟურნა-ლები	ვიდეო ან აუდიოჩა-ნაწერი; ოკესტრის და მუსიკალური ინსტრუმენტების სურათები	
ოთხშაბა-თი ინდივი-დუალი-ზება	ოჯახის პორტრეტი.	**აქტივობა**: ვსწავ-ლობთ თანამშრომ-ლობას. **თამაში:** მოძებნე, ვის? **როლური თამაში:** ვუკვეთავთ მხატვარს (ფოტოგრაფს) ოჯახის პორტრეტს. **პროექტი: ანსამბლი.** ვაკეთებთ მუსიკა-ლურ ინსტრუმენტებს	ვკითხუ-ლობთ ასტ-რიდ ლინდგ-რენის წიგნს „სახურავის ბინადარი კარლსონი“ (მეოთხე თავს)	სიარული სამი ფეხით.	დაბადების დღე-ების ცხრილები, შაში, თვლა, დავითვალოთ მარცვლები.	გაკეთებული ინსტ-რუმენტების მოსინ-ჯვა, აკომპანირება, საკუთარი მუსიკის შექმნა.	შევაჯამოთ, ვკითხოთ, თუ რომელი აქტივო-ბა იყო მათთვის განსაკუთრებით საინტერესო.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები	სურათები, ფოტოები,	ფერადი ფანქრების ნაკრებები, კონტეინერები; მეორადი მასალები, ხელოვნების ცენტრის მასალები.	ასტრიდ ლინდგრენის წიგნი „სახურავის ბინადარი კარლსონი“	ბაწარი	ხელოვნების ცენტრის მასალები; შაში; ბურთი.	გაკეთებული ინსტრუმენტები, აუდიოჩანაწერები	
ხუთშაბათი ინდივიდუალიზება	საუბარი მუსიკაზე	**პროექტი: ანსამბლი.** მუსიკალური ინსტრუმენტები (ვაგრძელებთ). **როლური თამაში:** ოჯახი მიდის კონცერტზე **აქტივობა:** სცენის (თეატრის) მშენებლობა. **აქტივობა:** მუსიკის შესრულებასთან და მუსიკალურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული წიგნების დათვალიერება.	ვკითხულობთ ასტრიდ ლინდგრენის წიგნს „სახურავის ბინადარი კარლსონი“ (მეხუთე თავს)	თამაში: გირჩები, რკოები, კაკლები.	მუსიკალური ინსტრუმენტების სურათების დახარისხება: სიმებიანი, ჩასაბერი, დასარტყამი ინსტრუმენტები. სამკუთხედებით, წრეებით და კვადრატებით აპლიკაციის შექმნა	შევასრულოთ მუსიკა ჩვენი ახალი ინსტრუმენტებით - სხვადასხვა რითმები და აკომპანიმენტი.	შეჯამება ვკითხოთ, თუ არიან კმაყოფილები საკუთარი ანსამბლით? ხომ არ უნდათ ინსტრუმენტების დამატება? შეცვლა? გავითვალისწინოთ მათი სურვილები შემდგომ მუშაობაში
მასალები/ რესურსები		მეორადი მასალები, ხელოვნების ცენტრის მასალები, ქსოვილები, მუყაოს ყუთები, კუბურები და სხვა საშენი მასალა; მუსიკალურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული წიგნები, ჟურნალები	ასტრიდ ლინდგრენის წიგნი „სახურავის ბინადარი კარლსონი“	ცარცი	მუსიკალური ინსტრუმენტების სურათები; ფერადი ქაღალდის გეომეტრიული ფიგურები, ქაღალდი, წებო, ფანქრები.	სხვადასხვა რითმის და ტიპის მუსიკის აუდიოჩანაწერები	

	პირველი შეხ-ვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება		შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
პარასკევი ინდივი-დუალი-ზება	ჩვენი ჯგუფი	**პროექტი:** ანსამბლი - დასრულება. **როლური თამაში:** ორკესტრის რეპეტი-ცია. **აქტივობა:** ოთახის გა-ლამაზება	ვკითხუ-ლობთ „სახუ-რავის ბინადა-რი კარლსო-ნის“ VI თავს	ზურგ-ბუშტი	შეხვედრა მუსიკოსთან		შევაჯამოთ ჩვენი მუსიკალური აქ-ტივობები. შესაძ-ლებელია წრეში მოვიწვიოთ ჩვენი სტუმარიც. წავა-ხალისოთ ბავშ-ვები, რომ ისაუბ-რონ, რა მუსიკა მოსწონთ, რომე-ლი მუსიკალური ინსტრუმენტები, უნდათ თუ არა, ისწავლონ რო-მელიმე მუსიკა-ლურ ინსტრუმენ-ტზე დაკვრა.
მასალები/ რესურსები		ხელოვნების ცენტრის მასალები, მეორადი მასალები.	ასტრიდ ლინდგრენის „სახურავის ბინადარი კარლსონი“	თოკი (ბაწა-რი), დიდი ბურთის ზომამდე გაბერილი ბუშტი			

საქმიანობათა ინსტრუქციები

დილის შეხვედრა წრეში

1. **ამინდის კალენდრის შევსება:** ვკითხოთ ბავშვებს, როგორი ამინდი იყო დასვენების დღეებში? დავხედოთ ამინდის კალენდარს და შევავსოთ გამოტოვებული დღეები. ვნახოთ, რამდენად ესმით ბავშვებს სიტყვები „გუშინ“ და „გუშინწინ“.

2. **ჯგუფის წესები:** დაპირებისამებრ, დავახვედროთ ბავშვებს ლამაზად გაფორმებული ჯგუფის წესები; წავუკითხოთ და დავათვალიერებინოთ სურათები (თუ სურათებით გვაქვს გაფორმებული). მერე ერთად შევარჩიოთ ადგილი და გამოვფინოთ. მომდევნო დღეებში შევახსენოთ ბავშვებს, რა წესები გვაქვს შემუშავებული. თუ საჭიროა, დავამატოთ ახალი წესიც. თუ რომელიმე წესი არ „მუშაობს“, ბავშვებთან ერთად ვიფიქროთ პრობლემის გადაწყვეტის გზებზე.

3. **მოვალეობები ჯგუფში:** გავანაწილოთ მოვალეობები ჯგუფში *(იხ. აღმზრდელის სახელმძღვანელო.თავი 2:ჯგუფის ერთობა*). გადავწყვიტოთ, რა უნდა გააკეთოს თითოეულმა „მორიგემ''. თუ ყვავილები ჯგუფში ჯერ არ გვაქვს, „ბოტანიკოსმა“ შეიძლება მორთოს ოთახი ფოთლებით. თუ ყვავილები გვაქვს, ცალკე შეიძლება შევქმნათ ახალი საქმიანობა, მაგ., „დიზაინერი“, ან „დეკორატორი“ (ოთახის გასალამაზებლად)

4. **რა ცხოველები გვიყვარს?:** დავაწყვილოთ ბავშვები. მეწყვილეებმა უნდა ჰკითხონ ერთმანეთს, უყვართ თუ არა ცხოველები, რა ცხოველები ჰყავთ სახლში, რა უნდათ, რომ ჰყავდეთ, სხვ. ამის შემდეგ ყველამ უნდა წარუდგინოს ჯგუფს თავისი მეწყვილე (მიღებული ინფორმაციის საფუძველზე).

5. **ჩემი ოჯახის საყვარელი დღესასწაული:** დავაწყვილოთ ბავშვები; ვთხოვოთ მეწყვილეებს, რომ ჰკითხონ ერთმანეთს: რომელია მათი ოჯახის საყვარელი დღესასწაული? რატომ? და ა.შ. ამის შემდეგ ყველამ უნდა წარუდგინოს ჯგუფს თავისი მეწყვილე (მიღებული ინფორმაციის საფუძველზე).

6. **დღის განრიგი:** ვესაუბროთ ბავშვებს დღის განრიგზე - თუ ახსოვთ, რას ვაკეთებთ, როცა მოვდივართ ჯგუფში? რას ვაკეთებთ ხოლმე დილის შეხვედრის შემდეგ?, სხვ. შევთავაზოთ ბავშვებს ფოტოები/ნახატები, რომლებზეც გამოსახულია დღის აქტივობები, ვთხოვოთ მათი თანამიმდევრობით დაწყობა. ამის შემდეგ შევაერთოთ ფოტოები/ნახატები ლენტით და ჩამოვკიდოთ კედელზე. დღის განმავლობაში ბავშვები გადმოაბრუნებენ მათ მიერ უკვე შესრულებული აქტივობის ამსახველ ფოტოებს/სურათებს. აღნიშნული ფოტოები/ნახატები, თანამიმდევრულობის დაცვით, შეიძლება ასევე დავაწებოთ გრძელ მუყაოზე, *ან* მოვიფიქროთ დღის განრიგისთვის სხვა, ორიგინალური დიზაინი და გამოვფინოთ თვალსაჩინო ადგილას.

7. **ოჯახის პორტრეტი:** ვისაუბროთ თემაზე „ოჯახის პორტრეტი“. ყველას გვიყვარს ერთად შეკრებილი ოჯახის წევრებისთვის ფოტოსურათების გადაღება. როგორი იყო პორტრეტები ადრე, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ფოტოაპარატები?- მაშინ პორტრეტებს ხატავდნენ მხატვრები. დავათვალიერებინოთ ბავშვებს ცნობილი მხატვრების მიერ დახატული რამდენიმე პორტრეტი. წავახალისოთ ბავშვები, გამოთქვან თავისი აზრი ამ პორტრეტების შესახებ (რომელი

ჯობია - დახატული პორტრეტი თუ ფოტოპორტრეტი? რატომ?). დავათვალიერებინოთ ბავშვებს მე-20 საუკუნის დასაწყისის საოჯახო პორტრეტები. სასურველია, ეს იყოს ფოტოები ბავშვების ოჯახებში დაცული საოჯახო ალბომებიდან, მათი დიდი ბაბუების/პაპებისა და ბებიების პორტრეტებით. თუკი ასეთი სურათები ოჯახებს არ აქვთ, მაშინ შეიძლება გამოვიყენოთ, მაგ., ცნობილი საზოგადო მოღვაწეების საოჯახო ფოტოსურათები. ვისაუბროთ, როგორ სხედან, რა აცვიათ (შეგვიძლია გამოვიყენოთ ახალი სიტყვები: ფაფახი, ახალუხი, ჩიხტიკოპი, ყაბალახი). შეკითხვა: რითი განსხვავდებიან ეს ოჯახები დღევანდელი (ჩვენი) ოჯახებისგან?

8. **საუბარი მუსიკაზე:** წამოვიწყოთ საუბარი მუსიკაზე. დავუსვათ ბავშვებს შეკითხვები ამ თემაზე: რა მუსიკას უსმენთ ოჯახში? მღერიან თუ არა ოჯახში? რა სიმღერები გიყვართ? ყოფილხართ თუ არა კონცერტზე? თეატრში? ოპერაში?, სხვ. თუკი რომელიმე ბავშვი ნამყოფია მუსიკალურ თეატრში/კონცერტზე, ვთხოვოთ შთაბეჭდილებების გაზიარება.

9. **ჩვენი ჯგუფი:** ვისაუბროთ ჩვენი ჯგუფის შესახებ - თუ გვიხარია დილაობით ჯგუფში მოსვლა? რატომ? რომელი საქმიანობა (თამაში) უფრო მოგვწონს? რა აღარ გვაინტერესებს და რატომ? რისი გაკეთება (თამაში) გვინდა? როგორი წესები გვაქვს? მისაღებია თუ არა ყველასთვის ეს წესები? როგორ ფიქრობთ, რაიმე ხომ არ უნდა დავამატოთ? ლამაზია თუ არა ჩვენი ოთახი? და ა.შ.

ვითამაშოთ: ბავშვებმა რიგრიგობით უნდა გასცენ პასუხი კითხვას - როგორია ჩვენი ოთახი? (დიდი - ლამაზი - თბილი - ოთხკუთხედი -და ა.შ.). მოგებულია ის, ვინც ბოლო სიტყვას იტყვის.

აქტივობები

1. **შემოდგომის ფოთლები:** გამოვიყენოთ ფერადი ფოთლები ფანჯრების (ოთახის) გასალამაზებლად. მაგალითად:

2. **ვწონით და ვადარებთ:** შევთავაზოთ ბავშვებს გირჩები და რკოები. ვკითხოთ, რომელია უფრო დიდი - რკო თუ გირჩა? თუკი ბავშვების მზაობა ამის შესაძლებლობას იძლევა, შევთავაზოთ პატარებს, შეარჩიონ ჯერ ყველაზე დიდი გირჩა, შემდეგ კი ყველაზე პატარა. ვთხოვოთ, რომ დააწყონ გირჩები ზომის მიხედვით - დაიწყონ ყველაზე დიდით და დაამთავრონ ყველაზე პატარათი. თუ გირჩები თანაბარი ზომისაა, ვკითხოთ, ერთნაირი ზომისაა თუ არა გირჩები? იმავეს გაკეთება შეგვიძლია რკოებზეც (აქტივობისთვის შეგვიძლია ქვებისა და ნიჟარების გამოყენებაც).

შევთავაზოთ ბავშვებს, დადონ პინებიანი (თეფშებიანი) სასწორის ერთ პინაზე ერთი გირჩა, მეორე პინაზე - მეორე გირჩა. ვკითხოთ, რომელი პინა უფრო ჩამოიწია? (-ე.ი ეს გირჩა უფრო მძიმე ყოფილა). ამის შემდეგ ვცადოთ პინების გათანაბრება და ვკითხოთ ბავშვებს, როგორ გავათანაბრეთ ისინი - მეორე მხარეს რისი დაწყობა დაგვჭირდა? (მაგ., 3 რკო დავაწყვეთ), ე.ი. ერთი გირჩის წონის ყოფილა 3 რკო (აღნიშნული მაგალითი პირობითია. ბავშვებს ვეხმარებით დასკვნის გამოტანაში არსებულ რესურსზე და მიღებულ შედეგზე დაყრდნობით).

3. **ჩემი განრიგი:** ვკითხოთ ბავშვებს, როგორი განრიგი აქვთ სახლში (დილით რომ იღვიძებენ, ჯერ რას აკეთებენ? შემდეგ რას? სადილის მერე? ძილის წინ?, სხვ.). შევთავაზოთ, რომ დახატონ საკუთარი დღის განრიგი (დახატონ საქმიანობები, რომლებსაც ასრულებენ დღის სხვადასხვა მონაკვეთში).

4. **ვსწავლობთ თანამშრომლობას:** ავურიოთ ერთმანეთში ფანქრების რამდენიმე ნაკრები (12-ფერიანი). სასურველია, გამოვიყენოთ არანაკლებ 4 ნაკრებისა. დავყოთ ბავშვები 4 გუნდად და თითოეულ გუნდს მივცეთ 3 პატარა კონტეინერი (შეგვიძლია გამოვიყენოთ აგრეთვე კოლოფი, მაღალი ჭიქა, პლასტმასის გადაჭრილი პატარა ბოთლი). ვთხოვოთ ბავშვებს, დაახარისხონ ფანქრები ფერების მიხედვით (ვუთხრათ, რომ ეს თაროს ლამაზად მოსაწყობად გვესაჭიროება). მნიშვნელოვანია! - არ ვუთხრათ, რომელმა გუნდმა რა ფერის ფანქრები უნდა ამოკრიბოს. არ ჩავერიოთ, ვაცადოთ, თავად მიიღონ გადაწყვეტილება და გადაჭრან პრობლემა. საჭიროების შემთხვევაში, დავეხმაროთ პრობლემური სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნაში (დეტალური ინფორმაცია კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე შეგიძლიათ იხილოთ აღმზრდელის სახელმღვანელოში. თავი 2. ჯგუფის ერთობა). როცა ბავშვები ფანქრებს ფერების მიხედვით დააწყობენ, ვთხოვოთ მათ, რომ კონტეინერები შესაბამის თაროზე მოათავსონ.

5. **ოთახის გალამაზება:** ეს საქმიანობა, ფაქტობრივად, წარმოადგენს პროექტ "შემოდგომა ჩვენს ჯგუფში" შემაჯამებელ აქტივობას. სასურველია, რომ მასში მონაწილეობა მიიღოს ჯგუფის ყველა წევრმა (ერთად და რიგრიგობით). აქ იგულისხმება როგორც ოთახის დალაგება (კონტეინერების მოწესრიგება, წარწერების შემოწმება-დამატება და ა.შ.), ასევე ოთახის გალამაზება, ბავშვების მიერ დამზადებული შემოდგომის ნაკეთობების გამოფენა (თუკი ექნებათ ამის სურვილი) ან შემოდგომის კუთხის მოწყობა. თუკი სტუმარს ველოდებით, შეგვიძლია ავეჯიც გადავაადგილოთ. მთავარია, ბავშვებმა იგრძნონ, რომ ესაა მათი სახლი, რომელსაც უნდა მოუარონ.

6. **მოძებნე, ვის?**: მოთამაშეებს ვაძლევთ დავალებებს -მოძებნე: ვის ჰყავს და? ვის უყვარს შოკოლადი? ვის ჰყავს სახლში კატა? ვინ დაისვენა ზაფხულში ზღვაზე? მთაში? და ა.შ. მოთამაშეებს ერთ ჯერზე უნდა მივცეთ ერთი დავალება. დავალებას ერთდროულად იღებს სამი მონაწილე. მათ კითხვები უნდა დაუსვან ჯგუფელებს და იპოვონ 3 ბავშვი, რომლებიც აკმაყოფილებენ მოცემულ პირობას. მოგებულია ის, ვინც პირველი შეასრულებს დავალებას. ამის მერე დავალებას ვაძლევთ შემდეგ სამეულს.

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. **ჩემგან მარჯვნივ დაჯდეს:** ვსხდებით წრიულად. ერთი სკამი თავისუფალია. მოთამაშე, რომელიც ზის ამ სკამისგან მარცხნივ,

ამბობს:-„ჩემგან მარჯვნივ დაჯდეს ის, ვისაც.... „ (მაგ., ”უყვარს ხატვა”). რამდენიმე მონაწილე წამოხტება და შეეცდება სკამზე დასხდომას. ერთი ჯდება, დანარჩენები იკავებენ სხვა სკამებს. ამჯერად თამაშს აგრძელებს ის მონაწილე, ვის ხელმარჯვნივაც აღმოჩნდება ცარიელი სკამი: „ჩემგან მარჯვნივ დაჯდეს, ის, ვინც/ ვისაც...“ და ა.შ.

2. **გამოიცანი, ვინ:** ერთი მოთამაშე გადის, დანარჩენები შეთანხმდებიან, რომელ მოთამაშეს ჩაიფიქრებენ. მერე კარგად აკვირდებიან შერჩეულ ბავშვს, რათა დაიმახსოვრონ, რა აცვია, რა ფერის თვალები აქვს, როგორი თმა და ა.შ. (სასურველია, რომ თამაშის მსვლელობის დროს ბავშვებმა აღარ შეხედონ მას). გასული მოთამაშე ბრუნდება და რიგრიგობით უსვამს შეკითხვებს ბავშვებს (შეუძლია თითო კითხვა დაუსვას თითოეულ მონაწილეს). მისი ამოცანაა, შეკითხვების დასმის გზით გამოიცნოს, თუ ვინ ჩაიფიქრა ჯგუფმა. მას შემდეგ რაც ბავშვები გაიწაფებიან თამაშში, შეგვიძლია მისი გართულება. სასურველია, დასმული შეკითხვები იმგვარად იყოს ფორმულირებული, რომ მასზე პასუხი იყოს მხოლოდ ,,კი'' ან ,, არა'').

3. **სახლები:** იატაკზე ვაფენთ გაზეთებს, ეს ”სახლებია”. დასაწყისში ყოველ მოთამაშეს აქვს საკუთარი „სახლი“. ყველანი გამოდიან „სახლებიდან“ და სეირნობენ. წამყვანი აიღებს ერთ ან ორ გაზეთს. მის ნიშანზე ყველანი უნდა დაბრუნდნენ „სახლებში“ (ანუ დადგნენ ძირს დაფენილ გაზეთებზე) მერე ყველაფერი მეორდება. თანდათან სულ უფრო მეტი მოთამაშე უნდა დაეტიოს ერთ „სახლში“. თამაში მთავრება მაშინ, როდესაც ვინმე „უსახლკარო“ გახდება - ვეღარ დაეტევა ვერცერთ „სახლში“. ამის შემდეგ „უსახლკარო“ ხდება წამყვანი და თამაში მეორდება.

4. **დაჭერობანა (ჩიტი ხეზე):** წამყვანი იჭერს ბავშვებს - ”ჩიტებს”. ის, ვისაც წამყვანი ხელით შეეხება, თავად ხდება წამყვანი. გასათვალისწინებელია შემდეგი: არ შეიძლება იმ ბავშვების დაჭერა, რომლებიც ხელით ეხებიან ხეს (ან კედელს, შეთანხმებით).

5. **სიარული სამი ფეხით:** მოთამაშეები დაწყვილდებიან. ერთი მოთამაშის მარჯვენა ფეხსა და მეორე მოთამაშის მარცხენა ფეხს ერთად შეკრავენ ისე, რომ წყვილმა სამი ფეხით იაროს. აღმზრდელის ნიშანზე წყვილები იწყებენ მოძრაობას. მოგებულია ის წყვილი, რომელიც პირველი მივა დათქმულ პუნქტამდე (ფინიშამდე).

6. **გირჩები, რკოები, კაკლები:** ბავშვები დგებიან სამეულებად და ჩაკიდებენ ერთმანეთს ხელს. ყოველ სამეულში ერთია გირჩა, მეორე - რკო, და მესამე - კაკალი. წამყვანი დაიძახებს: „გირჩები!“ (*ან* ”კაკლები”, *ან* ”რკოები”) და ყველა „გირჩამ“ (”კაკალმა”, ”რკომ”) ადგილები უნდა გაუცვალოს ერთმანეთს. წამყვანი ამ დროს ცდილობს, დაიკავოს ერთ-ერთი თავისუფალი ადგილი. ახალი წამყვანი გახდება ის ბავშვი, რომელიც ადგილის გარეშე დარჩა.

7. **ზურგ-ბუშტი**: დარბაზის სათამაშო მოედანი იყოფა თოკით, რომელიც გაბმულია 40 სმ-ის სიმაღლეზე. ბავშვები იყოფიან ორ გუნდად და ზურგზე წვებიან - თითოეული გუნდი თავის ნახევარზე. ერთ-ერთი გუნდის წევრი ფეხით გადააგდებს ბუშტს მეორე გუნდის ნახევარზე, მეორე გუნდის წევრებმა ბუშტი თავიანთი ნახევრიდან ისევ უკან, პირველი გუნდის ნახევარზე, უნდა გადმოაგდონ. თამაში შეიძლება როგორც ფეხით, ისე ხელით, მაგრამ მხოლოდ ზურგზე წოლის პოზიციიდან. თუ ბუშტი დავარდა

რომელიმე გუნდის ნახევარზე, მოწინააღმდეგე გუნდს ეწერება ქულა. თამაში გრძელდება 15 ქულამდე.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **კანონზომიერებები:** გამოვიყენოთ ბუნებრივი მასალები და მივცეთ ბავშვებს კანონზომიერებათა ნიმუშები, როგორებიცაა: მაგალითად, ორი გირჩა, ერთი რკო, ორი გირჩა, ერთი რკო. ბავშვებმა უნდა გააგრძელონ ჩვენ მიერ შეთავაზებული კანონზომიერების (დაჯგუფების ხერხის) დაცვით. ამის შემდეგ ბავშვებმა თავად უნდა მოიფიქრონ ახალი კანონზომიერებები და შესთავაზონ მათი გაგრძელება მეწყვილეებს.

2. **დამარცვლა:** ბავშვები დგანან წრეში და გადასცემენ ბურთს ერთმანეთს; ამ დროს ვამბობთ რომელიმე შერჩეულ სიტყვას ან ბავშვების სახელს დამარცვლით (ბურთის ყოველ გადაცემაზე თითო მარცვალს).

3. **ჩემი გვარი:** ბავშვებმა უნდა დამარცვლონ თავიანთი სახელები და გვარები; თითოეულმა უნდა გაარკვიოს, რომელი ბგერით იწყება მისი გვარი და შეუსაბამონ შესატყვისი ასო.

4. **ჩემი გვარის პირველი ასო**: ერთმანეთი უნდა იპოვონ იმ ბავშვებმა, რომელთა გვარები იწყება ერთი და იმავე ასოზე. ცალკე ჯგუფის შექმნა შეუძლიათ იმ ბავშვებს, რომელთა გვარის პირველი ასო არავისთან არ განმეორდა.

5. **ვიპოვოთ ასო:** მივცეთ ასოების მიხედვით ორგანიზებულ ჯგუფებს სპეციალურად ამობეჭდილი ტექსტი ან ნებისმიერი წიგნი და შევთავაზოთ, იპოვონ „თავიანთი“ ასოები ტექსტში.

6. **დაბადების დღეების ცხრილები:** მივცეთ ბავშვებს 4 ფურცელი, რომლებსაც გააფორმებენ წელიწადის დროების მიხედვით: ერთი ჯგუფი ხატავს ზამთარს, მეორე - გაზაფხულს და ა.შ. სამუშაოს დასრულების შემდეგ დავდოთ ნამუშევრები იატაკზე და ვთხოვოთ ბავშვებს, შეიკრიბონ ნახატების გარშემო იმისდა მიხედვით, თუ ვის როდის აქვს დაბადების დღე. ვკითხოთ, წლის რომელ დროს რომელი ფერი უხდება. ბავშვებმა თავად უნდა გადაწყვიტონ და აირჩიონ ერთი ფერი თითოეული სეზონისთვის (მაგალითად, შემოდგომისთვის - ყვითელი, ზამთრისთვის - ცისფერი, გაზაფხულისთვის - მწვანე, ზაფხულისთვის - წითელი). შერჩეული ფერის საღებავის გამოყენებით ბავშვები თეთრ ფურცელზე სვამენ თითის ანაბეჭდებს, რომელთაც მივაწერთ მათ სახელებს. გავაკრათ კედელზე ოთხივე სეზონის პლაკატები (თანამიმდევრობის დაცვით, დაწყებული შემოდგომით) და დაბადების დღეების ფურცელი (მომდევნო დღეებში, როდესაც ბავშვებს უკვე თვეებიც ეცოდინებათ, შეიძლება უფრო ზუსტი ცხრილის შედგენაც. თუ ბავშვებმა ამ ეტაპზე თვეები უკვე იციან, მაშინ შეიძლება პლაკატების დამზადებისას თავიდანვე გავითვალისწინოთ თვეებიც).

7. **თვლა:** ვკითხოთ ბავშვებს, სადამდე იციან თვლა. შევქმნათ წრე. გადავუგდოთ ბურთი ერთ-ერთ ბავშვს, რომელიც იტყვის: -,,ერთი!'' და ბურთს გადაუგდებს სხვა ბავშვს, რომელიც იტყვის: „ორი!“ და ა.შ. ასე დავითვალოთ მანამდე, სანამ არ დავასახელებთ ბავშვებისთვის ნაცნობ ბოლო რიცხვს.

8. **დავითვალოთ მარცვლები**: აღნიშნულ აქტივობაში მონაწილეობს ორი გუნდი, თითოეულ გუნდში არის სამი ბავშვი. ერთი გუნდი ამბობს სიტყვას, მეორე გუნდის ერთ-ერთი წევრი დამარცვლავს

ამ სიტყვას, მეორე წევრი იმავდროულად ტაშს უკრავს თითოეულ მარცვალზე (ტაშის ნაცვლად შეიძლება ფეხების დაბაკუნებაც), მესამე კი აჯამებს და ამბობს, რამდენი მარცვალი იყო სიტყვაში. ამის შემდეგ მეორე გუნდი ამბობს სიტყვას, ხოლო პირველი დამარცვლავს.

9. **მუსიკალური ინსტრუმენტების დახარისხება:** გავახსენოთ ბავშვებს წინა დღით ნანახი ორკესტრის ილუსტრაცია. ბავშვები კიდევ ერთხელ დააკვირდებიან და ცალ-ცალკე დააწყობენ სიმებიან, ჩასაბერ და დასარტყამ ინსტრუმენტებს (იხ ილუსტრაციები # 5, 6, 7, 8).

პროექტები

პროექტი „ანსამბლი“: ვამზადებთ მუსიკალურ ინსტრუმენტებს. ვსწავლობთ თანამშრომლობას და ჯგუფურ მუშაობას - ვქმნით „მუსიკალურ ანსამბლს“.

დაირა

დაირის დასამზადებლად გამოვიყენოთ ქაღალდის თეფშები, ლობიოს მარცვლები, სტეპლერი და ფერადი ფანქრები.

ბავშვები გააფორმებენ ორი ქაღალდის თეფშს ფერადი ფანქრებით. აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს თეფშების სტეპლერით დამაგრებაში. თეფშები ისე უნდა დამაგრდეს, რომ დარჩეს პატარა ღია ადგილი, სადაც ლობიოს მარცვლები ჩაიყრება. მარცვლების ჩაყრის შემდეგ სტეპლერით დამაგრდება ასევე ღიად დარჩენილი ადგილიც, რათა ლობიოს მარცვლები არ გადმოიყაროს. შესაძლებელია ასევე ბრინჯის ან წიწიბურას ჩაყრაც, რათა ბავშვებმა სხვადასხვა ჟღერადობას მოუსმინონ. დამზადებულ დაირას ბავშვები გამოიყენებენ სხვადასხვა აქტივობის შესრულების დროს.

საჩხარუნებელი

საჩხარუნებლის დასამზადებლად შესაძლებელია გამოვიყენოთ ნებისმიერი პატარა კოლოფი ან პლასტმასის ბოთლი. შერჩეულ ნივთში უნდა ჩავყაროთ ცოტაოდენი ბრინჯი, ლობიო ან პატარა კენჭები.

შეგვიძლია გავაკეთოთ სხვა ტიპის საჩხარუნებლებიც, მაგალითად:

დოლი

დოლი ადვილად კეთდება ხაჭოს ან წვნიანის ფხვნილის პლასტმასის ქილისგან. ამავე მიზნით შესაძლებელია პატარა თიხის ქოთნის გამოყენებაც.

დოლის გასაკეთბლად მომზადებულ ჭურჭელზე გადავჭიმავთ წყალში დასველებულ მკვრივ ქაღალდს, რომელსაც კიდეებზე მჭიდროდ შემოვაკრავთ რეზინს ან წვრილ თოკს. ამის შემდეგ „დოლს“ გაშრობა უნდა დავაცადოთ.

ციტრა



ციტრა ადვილად მზადდება ფეხსაცმლის ყუთის თავსახურისგან. ამისთვის ყუთის შიდა მხარეზე წვრილი რეზინები უნდა გადავჭიმოთ.

ფლეიტა

გადავჭრათ საწრუპი ჩხირები სხვადასხვა სიგრძეზე და ამოვუვსოთ ბოლოები პლასტილინით. შემდეგ მივაწებოთ ერთმანეთზე სხვადასხვა სიგრძის საწრუპავები და მეტი სიმყარისთვის ზედ დავაწებოთ მუყაოს პატარა ნაჭერი.

მეორადი მასალის გამოყენებით შეგვიძლია გავაკეთოთ სხვა ინსტრუმენტებიც, მაგალითად:





ხელნაკეთი ინსტრუმენტების დასამზადებლად ბევრი იდეის მოძიება შეგვიძლია სხვადასხვა ვებგვერდზე. მაგალითად:

https://www.google.ge/search?espv=2&biw=1920&bih=1055&tbm=isch&sa=1&q=handmade+musical+instruments+for+prescholers&oq=handmade+musical+instruments+for+prescholers&gs_l=img.3...6051.17341.0.17541.0.0.0.0.0.0.0.0..0.0....0...1c.1.64.img..0.0.0.G3AU3t9blBc

როლური თამაში

1. **დღესასწაული (ველოდებით სტუმრებს):** როლური თამაშების ცენტრში ბავშვებს უნდა დავახვედროთ: მარილიანი ცომის მოსაზელი ინგრედიენტები (ფქვილი, მარილი, წყალი) „ნამცხვრების“ გამოსაცხობად, „ქურა“ (თუ არ გვაქვს სათამაშო ქურა, შეგვიძლია გავაკეთოთ მუყაოს ყუთისგან), ჩაიდანი და სხვა ჭურჭელი. „სამზარეულოში“ უნდა გვქონდეს წყალი არა მხოლოდ ცომის მოსაზელად, არამედ ასევე „ჩაისა“ და „ყავის“ მოსამზადებლად.

2. **ვუკვეთავთ მხატვარს (ფოტოგრაფს) ოჯახის პორტრეტს:** დავახვედროთ ბავშვებს როლური თამაშების ცენტრში მხატვრის „სახელოსნო“ (მოლბერტი, ფუნჯები), *ან* „ფოტოსტუდია“. ბავშვებმა თვითონ უნდა გაინაწილონ როლები. ეს როლებია: ”მშობლები”, ”შვილები”, ”ბებია”, ”პაპა/ბაბუა”, ”მხატვარი” ან ”ფოტოგრაფი”. თუ თამაში დუნედ მიმდინარეობს და იდეები აკლია, შეგვიძლია ჩვენც ჩავერთოთ რაიმე როლის მოსინჯვით. მაგალითად, ჩავერთოთ, როგორც ოჯახის მეზობელი და ვკითხოთ, რას ჩაიცვამენ ამ სურათისთვის, როგორ დასხდებიან და სხვ., თუმცა სასურველია, რომ „მხატვარმა“ ან „ფოტოგრაფმა“ თავად გადაწყვიტოს, როგორ გაანაწილებს ოჯახის წევრებს - თქვას, ვინ დადგება და ვინ დაჯდება. შეგვიძლია ვიკითხოთ: „მე როგორც ვიცი, ბებია ბაბუისგან მარცხნივ უნდა იჯდეს, ეს მართლაც ასეა?“, სხვ. შევამოწმებინოთ ბავშვებს ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრებები ცენტრში არსებულ სურათებზე.

გავითვალისწინოთ, რომ თუ თამაში კარგად ვითარდება, ჩვენი ჩარევა სულაც არ არის საჭირო.

მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება

1. მოვასმენინოთ ბავშვებს ავსტრიელი კომპოზიტორის, იოჰან შტრაუსის ”რადეცკის მარში” („Radetzky March“). თუ შესაძლებელი იქნება, ვაჩვენოთ ბავშვებს ვიდეოჩანაწერი https://www.youtube.com/watch?v=pYYTdtRrg8M

   ეს ჩანაწერი იმითაა კარგი, რომ თავად დირიჟორი გვხელმძღვანელობს და გვიჩვენებს, როგორ და როდის უნდა დავუკრათ ტაში.

   თუ ვიდეოჩანაწერის ჩვენების საშუალება არ გვაქვს, მოვასმენინოთ ბავშვებს ეს მუსიკა და თავად შევასრულოთ დირიჟორის როლი. შემდეგ ჩავურთოთ ბავშვებს სხვა მუსიკა და შევთავაზოთ დირიჟორის როლის მორგება.

2. **ორკესტრი:** მოვასმენინოთ ბავშვებს იოჰან შტრაუსის ”პოლკა” და ვაჩვენოთ, როგორ უკრავს ორკესტრი. ამ ჩანაწერის ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე: https://www.youtube.com/watch?v=-hFYKZBWdS8 აღნიშნულ ვიდეოჩანაწერში კარგად ჩანს ორკესტრის თითოეული ინსტრუმენტი. ვკითხოთ ბავშვებს - რა როლს ასრულებს დირიჟორი?

ხელმეორედ მოვასმენინოთ ბავშვებს მუსიკა და ვთხოვოთ, რომ დააკვირდნენ ორკესტრის ინსტრუმენტებსა და მათ ჟღერადობას, დავუსახელოთ ინსტრუმენტებიც; გავუმახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ ზოგი ინსტრუმენტი სიმებიანია (სიმები აქვს), ზოგი - დასარტყმელი, ზოგი კი - ჩასაბერი. ვკითხოთ, თუ უნახავთ მუსიკალური ინსტრუმენტები; კონკრეტულად, რომელი ინსტრუმენტები აქვთ ნანახი.

თუ ვიდეომასალის ჩვენების საშუალება არ გვაქვს, მაშინ მოვასმენინოთ ბავშვებს აუდიოჩანაწერი და დავათვალიერებინოთ ორკესტრისა თუ ცალკეული ინსტრუმენტების სურათები (იხ. ილუსტრაციები ## 5, 6, 7, 8).

3. **შეხვედრა მუსიკოსთან:** მოვიწვიოთ ჯგუფში მუსიკოსი, რომელიც თან მოიტანს თავის ინსტრუმენტს (ვიოლინოს, ჩელოს, გიტარას, ჩონგურს ან სხვას). ამ შეხვედრისთვის წინასწარ უნდა მოვემზადოთ. სასურველია, რომ მოწვეული სტუმარი ერთ-ერთი ბავშვის მშობელი ან ოჯახის სხვა წევრი იყოს. თუ აღმოჩნდება, რომ ბავშვების ოჯახების წევრებს შორის მუსიკოსები არ არიან, მაშინ შეიძლება მოვიწვიოთ მუსიკალური სკოლის უფროსი კლასის მოსწავლე, რომელიმე ანსამბლის წევრი, კონსერვატორიის სტუდენტი. სტუმარს წინასწარ უნდა ვუთხრათ, რომ ბავშვებთან შეხვედრა არ უნდა იქცეს, უბრალოდ, მოწვეული სტუმრის კონცერტად. ეს უნდა იყოს ცოცხალი, ინტერაქტიული ურთიერთობა. სტუმარს წინასწარ უნდა მოვუყვეთ ისიც, რომ ბავშვებს აქვთ საკუთარი ხელით გაკეთებული „მუსიკალური ინსტრუმენტები“ და ცდილობენ ანსამბლის შექმნას; ვთხოვოთ მას, რომ სტუმრობამდე მოიფიქროს, რას გააკეთებს ბავშვებთან ერთად (მაგ., უჩვენებს ბავშვებს საკუთარ ინსტრუმენტს, ჩაატარებს სახალისო გაკვეთილს, ჩაერთვება ბავშვების ანსამბლში თუ სხვა).

მესამე კვირა

თემა: ,,მცენარეები”

თემის ხანგრძლივობა - ორი კვირა. თემის პირველ ნაწილს წარმოვადგენთ შემოდგომაზე, ხოლო მეორე ნაწილს - გაზაფხულზე.

თემის მიზანია გააცნოს ბავშვებს მცენარეები, მათი განვითარების ციკლი და მნიშვნელობა ადამიანისა და გარემოსათვის. ინფორმაცია მცენარეების განვითარების ციკლის შესახებ ბავშვებს უნდა მივაწოდოთ სახალისო აქტივობების შესრულებისა და თვალსაჩინოებების წარდგენის გზით. შემოდგომაზე მცენარეთა უმრავლესობა მწიფს ან ყვავის (ამის მაგალითად გამოდგება ვაშლის ნაყოფი ან რომელიმე შემოდგომის ყვავილი). აღმზრდელი სხვადასხვა სახის საქმიანობებით საშუალებას მისცემს ბავშვებს, დააკვირდნენ მცენარეთა სიცოცხლის ფაზებს და განივითარონ საწყისი წარმოდგენა მცენარეების შესახებ. ბავშვები დაფიქრდებიან იმაზე, თუ რა არის ცოცხალი ბუნება. მათ მიეცემათ საშუალება, დააკვირდნენ სხვადასხვა სახეობის მცენარეებს, განსაკუთრებით, ხეებს, მათ ნაყოფსა და თესლებს; გაარკვიონ, როგორ იკვებება მცენარე, რა არის საჭირო მისი განვითარებისთვის. თავისთავად ცხადია, რომ მცენარეების განვითარების ციკლის გაცნობა ვერ მოხერხდება ერთი ან თუნდაც ორი კვირის განმავლობაში. ამისთვის აღსაზრდელებს უნდა მივცეთ საშუალება, რომ დააკვირდნენ მცენარის განვითარებას მთელი წლის განმავლობაში, შეისწავლონ მათი ფორმები და ფერები; შექმნან მცენარეების განვითარების ციკლის პროექტი და გაიაზრონ მათი მოვლის, დაცვისა და მცენარეებზე ზრუნვის პასუხისმგებლობა. სათანადო შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, ბავშვებს შეუძლიათ თავადაც დათესონ/დარგონ მცენარეები, დააკვირდნენ და მოუარონ მათ, პერიოდულად გაზომონ ისინი და ა.შ.

თემაზე მუშაობის დროს აღმზრდელი ბავშვებს აძლევს ცოცხალი ბუნების ნახვის შესაძლებლობებს. ბავშვებს შეუძლიათ ხელით შეეხონ მცენარეებს, მოაგროვონ და დაათვალიერონ მცენარეები თუ ბუნებრივი მასალები. ქალაქში მცხოვრები ბავშვები შეიძლება ესტუმრონ

პარკს, სკვერს ან სააღმზრდელო ბაღის შენობის მიმდებარე გარემოს, სადაც ხარობს ხეები და მცენარეები. მნიშვნელოვანია მცენარეებზე დაკვირვება უამინდობის დროსაც - ბავშვები აკვირდებიან მცენარეებს უშუალოდ ნალექის ან ძლიერი ქარის შემდეგ და აცნობიერებენ, რა ზემოქმედებას განიცდის მცენარე ამა თუ იმ ბუნებრივი მოვლენის შემდეგ.

თემა საშუალებას აძლევს ბავშვებს, რომ აწარმოონ დაკვირვებები მცენარეებზე; აწონონ, გაზომონ, დააჯგუფონ გარკვეული ნიშნით, განივითარონ შემოქმედებითი უნარები და ნატიფი მოტორიკა. თემის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მეტყველებისა და სხვა სფეროების განვითარებას.

თემა იწყება გასვლითი მეცადინეობით, რომლის მიზანია მცენარეებზე დაკვირვება და ბუნებრივი მასალების შეგროვება. ეს უნდა იყოს ექსკურსია ბუნებაში, თანაც ისეთ ადგილზე, სადაც ბავშვები ნახავენ სხვადასხვა სახეობის ხეებსა და სხვა მცენარეებს. ეს მეცადინეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქებში მცხოვრები ბავშვებისათვის. თუ ქალაქგარეთ გასვლას ვერ მოვახერხებთ, ბავშვები შეიძლება გავიყვანოთ პარკში ან ბოტანიკურ ბაღში (ეს შესაძლებელია დიდ ქალაქებში, სადაც ასეთი ბაღები არსებობს, კერძოდ, თბილისსა და ბათუმში). თუ დაგეგმილი ექსკურსიის დღეს ამინდი ისე გაუარესდება, რომ ბუნებაში გასვლას აზრი არ ექნება (მაგალითად, ძლიერი ქარია ან გადაუღებლად წვიმს), შეგვიძლია გადავდოთ თემაზე მუშაობის დაწყება ერთი ან ორი დღით ან შევცვალოთ დაგეგმილი აქტივობების თანამიმდევრობა - პირველ დღეს ჩავატაროთ მეორე დღის აქტივობები, ექსკურსიაზე კი მეორე დღეს წავიდეთ.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივიდუალიზება	გავდივართ ბუნებაში (პარკში). ვაკვირდებით მცენარეებს. ვარკვევთ, თუ რა სახის მცენარეები არსებობს? (ხეები, ბუჩქები, ბალახი). ცოცხალია თუ არა ისინი? **აქტივობა:** ხეებზე დაკვირვება; **აქტივობა:**ბუნებრივი მასალების შეგროვება. **მოძრავი თამაში** : ,,ჩიტი ხეზე'' ან სხვა ნებისმიერი						

	პირველი შეხვედ-რა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანო-ბები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
სამშაბათი ინდივიდუ-ალიზება	მოსვლის დაფიქსი-რება შემოდგომის ამინ-დი ; საუბარი მცენარეებზე.	**პროექტი** „შემოდ-გომის განწყობა“ – 1. შემოდგომის ხეები **როლური თამაში**: ჩვენი მეგობარი კარლსონი **აქტივობა:** და-სურათებული ენციკლოპედიის ან/და სურათების დათვალიერება - ხეები.	ასტრიდ ლინდ-გრენის წიგნი „სახურავის ბინა-დარი კარლსონი“ (მერვე თავი)	სახტუნაო (ლახტი) თამაში: გაშეშობანა	ფოთლების დახარისხება ფოთლებზე დაკვირვება ჩრდილები	სიმღერა წვი-მაზე https://www.youtube.com/watch?v=doWWwZqvEgE	შევაჯამოთ. ბავშვებმა ისაუბრონ სხვადასხვა ხეების შე-სახებ. აგრეთვე ვისაუბროთ თემებზე: რა სარგებლობა მოაქვს ხეებს, რატომ და რო-გორ უნდა გავუფრთ-ხილდეთ ტყეებს
მასალები, რესურსები		დასურათებული ენციკლოპედია; ბუნებრივი მასა-ლები; მეორადი მასალები; ხე-ლოვნების ცენტ-რის მასალები.	ასტრიდ ლინდგ-რენის წიგნი „სახურავის ბინა-დარი კარლსონი“.	ლახტები	გამადიდე-ბელი შუშა, შეგროვებუ-ლი ფოთლე-ბი, სამუშაო ფურცლები.	აუდიო ან ვი-დეო მასალა, ინსტრუმენ-ტები	

	პირველი შეხვედ-რა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანო-ბები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ოთხშაბათი ინდივიდუ-ალიზება	მცენარის შემადგე-ნელი ნაწილები	**როლური თამაში**: მეჯლისი მეფის სასახლეში **აქტივობა:** როგორ იკვებება მცენარე? **წესებიანი თამა-ში:** შაში	ვკითხულობთ შ. პეროს ზღაპარს „კონკია“	თამაში: „ცოცხალი - არაცოც-ხალი“; „ იჭმევა - არ იჭმევა“ თამაში ბურთით	დავეხმაროთ კონკიას. წყვილებში მუშაობა ფაზლი კონკია.	ფერიას სიმღერა https://www.youtube.com/watch?v=VNKuARjkWEg	შევაჯამოთ. ვთხოვოთ ბავშვებს (მშობლებს?) ხვალ მო-იტანონ თითო ცალი ხილი ან ბოსტნეული.
მასალები/რე-სურსები		საღებავები, ორი ან სამი ქილა, კომბოსტოს ფო-თოლი, ან ნების-მიერი თეთრი ყვავილი; რო-ლური თამაშების ცენტრის რეკვი-ზიტები - კოსტი-უმები (ნაჭრები) და ა.შ.; შაში	შ. პეროს ზღაპრე-ბის წიგნი	ბურთი	მარცვლები: ლობიო, სი-მინდი, ბარ-და; სამუშაო ფურცლები; ფაზლი კონ-კია		

	პირველი შეხვედ-რა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანო-ბები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ხუთშაბათი ინდივიდუ-ალიზება	ნაყოფი და თესლი.	**აქტივობა:** ნაყოფი და თესლი; **აქტივობა:** თეს-ლები კოლოფებ-ში; **აქტივობა:** ლო-ბიოს თესლის განვითარება; **აქტივობა:** თეს-ლების დათესვა	წავიკითხოთ წიგნი „მუდამ მწვანე ხეები“	თამაში: „ხილის სალათა“ ნერგების დარგვა (თუ შესაძ-ლებელია)	იპოვე ნაყოფი მესამე ზედ-მეტია „შემოდგომის განწყობა“ - თესლების ნაკეთობები.	შემოდგომის მუსიკა	შევაჯამოთ. ვთხოვოთ ბავშვებს ხვალინდელი ამინდის პროგნოზის გაგება (დაიხმარონ მშობლე-ბი).
მასალები/რე-სურსები		ხილი და ბოსტ-ნეული, პატარა კოლოფები (მაგა-ლითად, ასანთის) სათამაშო პინცე-ტი. ლობიო, ბამ-ბა, მწვანილის და სწრაფად მზარდი ყვავილების თეს-ლები, მზესუმზი-რა. გამჭირვალე ერთჯერადი ჭი-ქები, ყვავილების ქოთნები ან სხვა კონტეინერები, მიწა.	მუდამ მწვანე ხე-ები (გამომცემლო-ბა ბაკურ სულაკა-ური).	ნერგები	სამუშაო ფურცლები, ბარათების (სურათების) ნაკრები; თესლები, ხელოვნების ცენტრის მა-სალები.		

	პირველი შეხვედ-რა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანო-ბები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
პარასკევი ინდივიდუ-ალიზება	შემოდგომის ცვლილებები.	**აქტივობა:** გამოფე-ნის მოწყობა. **აქტივობა:** მშობ-ლების ან/და სხვა სტუმრების მიღება.	გავიმეოროთ (ხე-ლახლა წავიკით-ხოთ) ის მასალა, რომელსაც ბავშვე-ბი მოინდომებენ.	ნებისმი-ერი, ბავშ-ვების არჩევანით	„შემოდგომის განწყობა“ - თესლების ნაკეთობები-დასრულება. მარცვლი - ხე 4-ზე ნაკლები.	დიქსილენდი, https://www.youtube.com/watch?v=fjnj3g29NSk	

საქმიანობათა ინსტრუქციები

პირველი შეხვედრა წრეში

1 **გასვლითი გაკვეთილი (ექსკურსია):** ბუნებრივია, რომ საუბარი მცენარეებზე დავიწყოთ ბუნებაში, სადაც ბავშვები ხედავენ ამ მცენარეებს და შეუძლიათ მიუახლოვდნენ, შეეხონ, დაათვალიერონ ისინი. აქედან გამომდინარე, სასურველია, რომ დილის წრე მოვაწყოთ ექსკურსიაზე ყოფნისას, ადგილზე მისვლის დროს. დავუსვათ ბავშვებს შეკითხვა: ”რა სახის მცენარეები არსებობს?”; ვთხოვოთ, რომ პასუხი ამ კითხვაზე მოიძიონ ექსკურსიის (დღის) ბოლომდე. გავესაუბროთ ბავშვებს მცენარეებზე და დავსვათ კითხვები: ”არის თუ არა მცენარე ცოცხალი? რატომ ფიქრობენ, რომ ცოცხალია? (მცენარე სუნთქავს, იკვებება, მრავლდება, ხმება). გავამახვილოთ ბავშვების ყურადღება შემოდგომის ფოთლების ლამაზ ფერებზე; შევთავაზოთ, რომ შეაგროვონ რაც შეიძლება ბევრი ლამაზი ფოთოლი, ასევე ბუნებრივი მასალები - საინტერესო (უჩვეულო) ფორმის ხის მასალა, კენჭები, რკოები, გირჩები - რისი შესაძლებლობაც იქნება.

2 **მოსვლის აღნიშვნა:** ყოველდღიურად ბავშვი აღნიშნავს თავის მოსვლას ჯგუფში იმ თვალსაჩინოებაზე, რომელიც წინა კვირას დავამზადეთ.

3 **შემოდგომის ამინდი:** დავხედოთ ამინდის კალენდარს - როგორი ამინდი იყო გუშინ? როგორია დღეს? ვისაუბროთ შემოდგომის ამინდზე. ვკითხოთ ბავშვებს: უყვართ თუ არა წვიმიანი დღეები? რისი კეთება უფრო უყვართ/ურჩევნიათ ასეთ დღეებში - სახლში თამაში თუ გარეთ სეირნობა?

4 **საუბარი მცენარეებზე:** გამოვკითხოთ ბავშვებს, რა იციან მცენარეების შესახებ, დავუსვათ შემდეგი კითხვები: ”რა მცენარეები იცით/რომელ მცენარეებს იცნობთ? რომელია ყველაზე დიდი მცენარე? რომელი ხეები იცით/რომელ ხეებს იცნობთ? რომელი ხეები იზრდება ჩვენი საბავშვო ბაღის ეზოში? კიდევ რა ხეებია ჩვენს ქალაქში (სოფელში)? რა არის ხეხილი? გინახავთ თუ არა ხეხილი? რას ისხამს ხეხილი? სხვა ხეებს თუ აქვთ ნაყოფი? რა ნაყოფი აქვს მუხას? რისთვის იკეთებს ხე ნაყოფს? რა არის თესლი? როგორ მრავლდება ხეები? როდის ყვავილობს? რა ხდება ყვავილობის შემდეგ?”. ზოგიერთ კითხვაზე ბავშვებს პასუხი არ ექნებათ. ვუთხრათ, რომ ჩვენ ამ ყველაფერს გამოვიკვლევთ და პასუხებსაც მივაგნებთ - ნაწილს ამ დღეებში, ნაწილს კი გაზაფხულზე, როცა ყვავილობა დაიწყება.

5 **მცენარის ნაწილები:** ვისაუბროთ მცენარეების შემადგენელ ნაწილებზე. ვკითხოთ ბავშვებს, თუ იციან, რისგან შედგება მცენარე / რა აქვს მცენარეს (ფესვები, ღერო, ფოთლები, ყვავილები, ნაყოფი). სასურველია, რომ საუბრის დროს ბავშვებს ვუჩვენოთ არა მარტო შესაბამისი ილუსტრაციები (იხ. ილუსტრაცია #9), არამედ რომელიმე კონკრეტული მცენარეც. ეს შეიძლება იყოს ბაღში ან ბოსტანში ფესვიანად ამოღებული მწვანილი, ლობიო, სარეველა ბალახი, თავთავი, რაიმე ყვავილი.

6. **ნაყოფი და თესლი:** ვაგრძელებთ საუბარს ნაყოფისა და თესლის შესახებ - დღეს უნდა გავცეთ პასუხი რამდენიმე ადრე დასმულ კითხვას. ვკითხოთ ბავშვებს: ”რა არის ნაყოფი? რომელი ხის ნაყოფი ვიცით? რა არის ხოლმე ნაყოფის შიგნით? რისთვის სჭირდება მცენარეს თესლი?”.

თესლი და ნაყოფი - ინფორმაცია აღმზრდელისათვის: რა არის ნაყოფი? **-** ნაყოფი წარმოიქმნება ყვავილისგან და შეიცავს ერთ ან მეტ თესლს. ბავშვებისთვის ეს შეიძლება გაუგებარი იყოს, ვინაიდან შემოდგომაზე ისინი ვერ დააკვირდებიან ყვავილისგან ნაყოფის წარმოქმნას, რაც გაზაფხულზე ხდება. ამიტომ, ალბათ, მარტივად უნდა ვუთხრათ, რომ გაზაფხულზე ვნახავთ, როგორ ყვავილობენ მცენარეები და როგორ წარმოიქმნება ნაყოფი. ჩვენთვის ნაცნობი სხვადასხვა ხილი - ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი - ყველა არის შესაბამისი ხის ნაყოფი და ყველა შეიცავს თესლს (ამას ბავშვებს ვუჩვენებთ პირველივე აქტივობის დროს). ნაყოფს ისხამს არა მარტო ხეხილი, არამედ სხვა ხეებიც. მაგალითად, მუხის ნაყოფი არის რკო, რომელშიც მუხის თესლია მოთავსებული.

მცენარის ნაყოფია ჩვენთვის ნაცნობი კიტრი, პომიდორი, საზამთრო და წიწაკა, რომლებიც ასევე შეიცავენ თესლებს. თუ ჩვენ დავთესავთ რაიმე მცენარის თესლს, იგივე მცენარე ამოვა. ნაყოფი მცენარეს თესლის დასაცავად და გასავრცელებლად სჭირდება. ნაყოფს ჭამენ ცხოველები (დათვები, ირმები, ძროხები, ღორები, ბეღურები, ყვავები, სხვ.) და ადამიანები. იმ თესლებს, რომლებსაც ჩვენ კურკებს ვეძახით, ადამიანები ყრიან, ცხოველები კი ნაყოფთან ერთად ჭამენ. ნაყოფის გადამუშავების შემდეგ თესლები ცხოველების ფეკალიებთან ერთად გამოდის და მიწაზე ხვდება. მიწაზე მოხვედრილი თესლებიდან ახალი მცენარე ამოდის. ზოგიერთი თესლი დედა-მცენარისგან შორს იფანტება. გაფანტული თესლებიდან მერე ახალი მცენარეები იზრდება. ბუნებრივია, ყველა შემთხვევაში თესლს გაღვივებისთვის ხელსაყრელი პირობები ესაჭიროება.

წავახალისოთ ბავშვები, რომ შეისწავლონ სხვადასხვა ნაყოფი; ნახონ, როგორ არის ისინი აგებული და სად არის მოთავსებული ამ ნაყოფებში თესლი. ქვემოთ მოყვანილ აქტივობებში აღწერილია, როგორ უნდა შევისწავლოთ თესლის განვითარების სტადიები და ახალი მცენარის ზრდის პროცესი.

7. **შემოდგომის ცვლილებები:** ვისაუბროთ თემაზე: "რა ცვლილებები ხდება ბუნებაში შემოდგომაზე?". გადავხედოთ ამინდის კალენდარს და დავაზუსტოთ, ხომ არ გაუარესდა ამინდი ამ ბოლო დღეებში. ვკითხოთ ბავშვებს, გაიგეს თუ არა ამინდის პროგნოზი? როგორი ამინდია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში? ბარში უფრო ცივა თუ მთაში? ვინ დაეხმარა ამ დავალების შესრულებაში?

აქტივობები

1. **ხეებზე დაკვირვება:** შევთავაზოთ ბავშვებს, დააკვირდნენ სხვადასხვა სახეობის ხეებს; ვთხოვოთ, შეადარონ ამ ხეების ფორმა, ფოთლები, ნაყოფი (თუკი აქვთ დაკვირვების ჩატარების დროს); ასევე შეადარონ წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეები (ყველა ხეს სცვივა ფოთოლი?); დავუსახელოთ ბავშვებს ნაცნობი ხეების სახელები. ვთხოვოთ, ერთმანეთს შეადარონ აგრეთვე ხეები და ბუჩქები - დადგინონ, რა განსხვავებაა მათ შორის. რეკომენდებულია, რომ აღმზრდელმა წინასწარ მოამზადოს იმ ხეების საჩვენებელი ნიმუშები, რომლებზეც ბავშვებს უნდა ესაუბროს.

2. **სურათების დათვალიერება:** დავათვალიერებინოთ ბავშვებს სურათები ატლასებში იმის საჩვენებლად, რომ ტყეები შეიძლება ძალზე განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან (სხვადასხვა ტყეში შეიძლება სრულიად განსხვავებული მცენარეები იზრდებოდეს); ვუჩვენოთ ბავშვებს წიგნები: "ტროპიკული ტყეები" და "საქართველოს ბუნების ატლასი. მცენარეები და ცხოველები".

3. **როგორ იკვებება მცენარე:** ბავშვებს უნდა ვუთხრათ, რომ მცენარეები საკვებს მიწიდან იწოვენ წყლის დახმარებით. ჩავატაროთ ექსპერიმენტი იმაზე დასაკვირვებლად, თუ როგორ იწოვს წყალს მცენარე. ამის საჩვენებლად შეგვიძლია ფერად წყალში ჩავაწყოთ თეთრი ყვავილები ან კომბოსტოს თეთრი ფოთლები (ისე, როგორც ნაჩვენებია ილუსტრაციებზე). ფერადი წყლის მიღება შეგვიძლია გუაშის საღებავის წყალში გაზავებით. ექსპერიმენტის ჩატარებას გარკვეული დრო დასჭირდება - შედეგი თვალსაჩინო იქნება მეორე დღეს.

4. **ნაყოფი და თესლი:** წარვუდგინოთ ბავშვებს მათთვის ნაცნობ მცენარეთა ნაყოფები. სასურველია, გვქონდეს ვაშლი, მსხალი, ატამი, კიტრი, პომიდორი, მზესუმზირა, ლობიოს პარკი და რკო. ვუთხრათ ბავ-

შვებს, რომ ყველაფერი, რასაც ხედავენ, და რასაც კარგად იცნობენ, არის ნაყოფი. მივცეთ საშუალება დარწმუნდნენ, რომ თითოეული ნაყოფი შეიცავს თესლს. ბავშვებს შეუძლიათ შეადგინონ ცხრილი იმის აღსანიშნავად, თუ რომელ ნაყოფში რამდენი თესლი აღმოაჩინეს.

5. **თესლები კოლოფებში:** მოვამზადოთ 9 პატარა კოლოფი (ან უფრო ნაკლები, თუკი ბავშვებმა ცხრამდე თვლა ჯერ არ იციან). კოლოფებზე დავაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე. ბავშვმა თითოეულ კოლოფში პინცეტით უნდა ჩააწყოს წარწერილი ციფრის შესაბამისი რაოდენობის თესლები (მაგ., ლობიოსი). კერძოდ, კოლოფში, რომელსაც "1" აწერია, მოთავსდება ერთი თესლი. ხოლო იმ კოლოფში, რომელსაც "3" აწერია - სამი თესლი და ა.შ.

6. **ლობიოს თესლის განვითარება:** დავაწყოთ ლობიოს თესლები სველ ბამბაზე. გარკვეული დღეების მანძილზე ბავშვები უნდა დააკვირდნენ, როგორ ამოიზრდება თესლიდან ფესვი და ღერო.

7. **თესლების დათესვა:** ბავშვები ჩარგავენ მსხვილ თესლებს გამჭირვალე ერთჯერად ჭიქებში, რათა დააკვირდნენ თესლის განვითარების პროცესს (სასურველია თესლი ჩაირგოს კედელთან ახლოს, რათა დაკვირვება გაადვილდეს). ბავშვებს შეუძლიათ ასევე კონტეინერებში ან ქოთნებში დათესონ მწვანილის და/ან სწრაფად მზარდი ყვავილების თესლები.

მომდევნო კვირების განმავლობაში ეს აქტივობა უნდა გაგრძელდეს. ბავშვებმა უნდა მოუარონ მათ მიერ დათესილ მცენარეებს, მორწყან ისინი და დააკვირდნენ - სად ვითარდება მცენარე უკეთესად - მზიან, ნათელ ადგილზე თუ სიბნელეში? რა მოხდება, თუ მცენარეს არ მოვრწყავთ? ბავშვებს შეუძლიათ ჩაატარონ შესაბამისი ექსპერიმენტები - ერთი მცენარე დადგან კარგად განათებულ ადგილზე, ხოლო მეორე - სიბნელეში და შეადარონ, რომელი გაიზრდება უფრო სწრაფად და/ან რომელი იქნება უფრო ჯანმრთელი/საღი. ერთ-ერთი მცენარე შეიძლება საერთოდ არ მორწყან იმის სანახავად, თუ რა მოსდის უწყლოდ დარჩენილ მცენარეს. ბავშვები დააკვირდებიან ზრდის პროცესს, გარკვეული პერიოდულობით გაზომავენ და ჩაიხატავენ მცენარეებს.

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები:

1. **ჩიტი ხეზე:** წამყვანი იჭერს ბავშვებს - "ჩიტებს". ის ბავშვი ("ჩიტი"), რომელსაც წამყვანი ხელით შეეხება, თავად ხდება წამყვანი. წამყვანს არ აქვს უფლება, დაიჭიროს ის "ჩიტი" (მოთამაშე), რომელიც მისი მიახლოებისას მოასწრებს ხეზე ხელით შეხებას.

2. **გაშეშობანა**: წამყვანი იჭერს. ის ბავშვი, რომელსაც წამყვანი ხელით შეეხება, უნდა "გაშეშდეს". სხვა მოთამაშეს შეუძლია გაათავისუფლოს "გაშეშებული", თუკი ხელით შეეხება მას.

3. **ცოცხალი - არაცოცხალი (იჭმევა - არ იჭმევა**): ბავშვები დგანან წრეში. წამყვანი ასახელებს საგანს ან ცოცხალ არსებას, მერე იძახის: "ცოცხალია!" და ხელებს მაღლა სწევს. თუ წამყვანი დაასახელებს ცოცხალ არსებებს - ოთხფეხა ცხოველებს, ფრინველებს, მწერებს, მცენარეებს და ა.შ., მონაწილეებმაც უნდა ასწიონ ხელები. თუ დასახელდება არაცოცხალი საგანი/ნივთი, მონაწილეებმა წამყვანის მოძრაობა არ უნდა გაიმეორონ - - ხელები მაღლა არ უნდა ასწიონ (ანალოგიურად მიმდინარეობს თამაში ,,იჭმევა - არ იჭმევა'').

4. **ხილის სალათა (ბოსტნეულის სალათა):** მონაწილეები სხდებიან წრიულად მდგარ სკამებზე, წამყვანი დგას ცენტრში. სკამებზე მსხდარ მონაწილეებს ვარქმევთ ხილის სახელებს, მაგ.; პირველი - ვაშლი, მეორე - მსხალი, მესამე - ატამი, მეოთხე -ფორთოხალი და მერე ისევ - ვაშლი, მსხალი, ატამი, ფორთოხალი და ა.შ. წამყვანი ასახელებს ნებისმიერ ორ ხილს, მაგალითად: "ვაშლი და ატამი!". ამის თქმაზე ყველა "ვაშლმა" და "ატამმა" ადგილები უნდა გაცვალონ. შემდეგ წამყვანი ასახელებს სხვა ხილს და ა.შ. - თამაში უნდა მიმდინარეობდეს სწრაფ ტემპში. ბოლოს წამყვანი დაიძახებს: "ხილის სალათა!". ამის თქმაზე ყველამ უნდა შეიცვალოს ადგილი, წამყვანიც ცდილობს დაჯდომას. ის მოთამაშე, რომელიც ადგილის გარეშე დარჩება, გახდება წამყვანი (ანალოგიურად მიმდინარეობს თამაში "ბოსტნეულის სალათა").

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **ფოთლების დახარისხება:** ვთხოვოთ ბავშვებს, დაახარისხონ წინა დღეს შეგროვებული ფოთლები ჯერ ფერების, ხოლო შემდეგ სახეობების მიხედვით, ბოლოს კი ფურცელზე დააწებონ მათთვის ნაცნობი ხეების ფოთლები (იმ ხეებისა, რომელთა სახელებიც იციან).

2. **ფოთლებზე დაკვირვება:** ბავშვებს შევთავაზებთ, რომ გამადიდებელი შუშის (ლუპის) გამოყენებით დააკვირდნენ ფოთლების ძარღვებს, კიდეების სხვადასხვაგვარ დაკბილვას.

3. **ჩრდილები:** ბავშვებს ვთხოვთ, რომ დააკავშირონ ფოთლები და მათი ჩრდილები (იხ. ილუსტრაცია #10)

ნიმუში 1.

4. **დავეხმაროთ კონკიას**: ესაა ნატიფი მოტორიკის განმავითარებელი აქტივობა. კონკიას დედინაცვლის მსგავსად, ავურიოთ ერთმანეთში სამი სახეობის შედარებით მსხვილი თესლები, მაგალითად, სიმინდი, ლობიო და ბარდა. ვთხოვოთ ბავშვებს, რომ დაეხმარონ კონკიას მათ დახარისხებაში.

5. **წყვილებში მუშაობა:** დავყოთ ბავშვები წყვილებად. დავურიგოთ ხელთათმანების კონტურები და ავუხსნათ, რომ ჩვენი მიზანია გამოვავლინოთ, ვის შეუძლია თანამშრომლობა. ამისთვის წყვილებმა ერთმანეთში უნდა მოილაპარაკონ და დაამზადონ ზუსტად ერთნაირი

ხელთათმანები. მათ დასამზადებლად შესაძლებელია გოგრის თესლებისა და წებოს, *ან* წინასწარ დაჭრილი გეომეტრიული ფიგურების გამოსახულებების გამოყენება.



6. **ფაზლი „კონკია“**: შევთავაზოთ ბავშვებს ფაზლი კონკიას თემაზე. თუ არ გვაქვს ასეთი რამ, თავად დავამზადოთ 5-6-ნაწილიანი ფაზლი (ნაწილების რაოდენობა, ზომა და, ზოგადად, ფაზლის სირთულე უნდა შევარჩიოთ ბავშვების შესაძლებლობების გათვალისწინებით).

7. **იპოვე ნაყოფი:** ბავშვებს ვურიგებთ სამუშაო ფურცლებს. ფურცლის ერთ მხარეს გამოსახულია მცენარეები, მეორე მხარეს - ნაყოფები (მაგალითად, ვაშლის ხე და ვაშლი, პომიდვრის ბუჩქი და პომიდორი, ბანანის პალმა და ბანანი, ვაზი და ყურძენი, სხვ.). ბავშვებმა ფანქრით უნდა შეაერთონ/დააწყვილონ ცალკეული მცენარე და მისი ნაყოფი (იხ. ილუსტრაცია #11).

ნიმუში 2.

8. **მესამე ზედმეტია:** ბავშვებს ვაძლევთ სამ-სამად დაჯგუფებულ ნახატებს. სამეულში ერთი ნახატი ზედმეტია - განსხვავდება დანარჩენი ორისგან გარკვეული ნიშნით. მაგ,, ორი ხილია, მესამე - ბოსტნეული, *ან* ორი ხეა, მესამე- ბუჩქი, *ან* ორი ყვავილია, მესამე - კენკრა და ა.შ. ბავშვებმა უნდა ამოიცნონ, რომელია ზედმეტი (განსხვავდება დანარჩენებისგან) და რა საერთო აქვს დანარჩენ ორს.

9. **მარცვალი „ხე“:** ორი გუნდი რიგრიგობოთ ასახელებს სიტყვებს, რომლებიც იწყება (ან თავდება) მარცვლით „ხე“ (მაგ., ხელი, ხევი, კუთხე, სახე). მოგებულია ის გუნდი, რომელიც მოიფიქრებს მეტ სიტყვას.

10. **4-ზე ნაკლები:** მაგიდაზე დავაწყოთ კუბები. ვთხოვოთ რომელიმე ბავშვს, აიღოს და დააწყოს 4 კუბი. ამის შემდეგ მის გვერდით მჯდომმა ბავშვმა თანაჯგუფელის მიერ დაწყობილი კუბების გვერდით 3 კუბი უნდა დააწყოს, მომდევნო ბავშვმა- 3-ზე ნაკლები და ა.შ (ამ აქტივობის გაგრძელება შეგვიძლია სხვა დღეებშიც, სხვა რაოდენობებისა და რიცხვების გამოყენებით).

პროექტი "შემოდგომის განწყობა"

კვირის განმავლობაში ბავშვები გააკეთებენ მცენარეებთან, თესლებთან და შემოდგომასთან დაკავშირებულ ნაკეთობებს, ხოლო კვირის ბოლოს გააფორმებენ გამოფენას, სახელწოდებით „შემოდგომის განწყობა". ამ გამოფენამ შეიძლება შეცვალოს წინა კვირებში გაკეთებული "შემოდგომის კუთხე", *ან* დაემატოს მას და შეავსოს.

1. **შემოდგომის ხეები**: გავამახვილოთ ბავშვების ყურადღება შემოდგომის ფერებზე და მივცეთ საშუალება, გააკეთონ შემოდგომის ხეები იმ მასალებითა და ტექნიკით, რომლებსაც თვითონ შეარჩევენ. სურათებზე მოყვანილია რამდენიმე მაგალითი: პლასტილინის ნაკეთობა, ხატვა სხვადასხვა საგნით და ა.შ.

2. **ნაკეთობები თესლებით, რკოებით, გირჩებით ან ფოთლებით**: ნებისმიერი, რაც მოგვეწონება და უფრო გვეხერხება.

ბოლო დღე - თემის შეჯამება: ბავშვები აწყობენ თავიანთი ნაკეთობების გამოფენას, სახელწოდებით „შემოდგომის განწყობა". გამოფენაზე იწვევენ მშობლებს ან სხვა სტუმრებს და უყვებიან, რაც გააკეთეს. ბავშვებს შეუძლიათ გადააქციონ ეს შეხვედრა მუსიკალურ წვეულებად - ჩართონ ის მუსიკა, რომელიც უფრო მოსწონთ, დაუკრან მათ მირ შექმნილ ხელნაკეთ ინსტრუმენტებზე (ან სხვაგვარად გააფორმონ ეს გამოფენა).

მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება

1. **ანსამბლი:** ამ კვირაში ბავშვები ისევ იყენებენ იმ მუსიკალურ ინსტრუმენტებს, რომლებიც თავად შექმნეს წინა დღეებში (თუ ბავშვები დაინტერესდებიან ამ საქმიანობით, მივცეთ მათ შესაძლებლობა, რომ გააუმჯობესონ თავიანთი ინსტრუმენტები ან შექმნან ახალი).

2. წვიმა: შევთავაზოთ ბავშვებს, რომ შექმნან „წვიმის მუსიკა“ თავიანთი ხელნაკეთი ინსტრუმენტების გამოყენებით.

მოვასმენინოთ სიმღერა წვიმაზე ეკა მამალაძისა და ”ბასტი-ბუბუს” შესრულებით: https://www.youtube.com/watch?v=doWWwZqvEgE, შესაძლებელია ბავშვებმა შემდეგ თავადაც იმღერონ ეს სიმღერა მათივე შექმნილი ინსტრუმენტების აკომპანემენტით.

3. ფერიას სიმღერა: ვაჩვენოთ ბავშვებს, როგორ გადააქცია ფერიამ გოგრა ეტლად და მოვისმინოთ სიმღერა ანიმაციური ფილმიდან ”კონკია”. https://www.youtube.com/watch?v=VNKuARjkWEg (თუ არ გვექნება ვიდეოს ჩვენების საშუალება, მოვასმენინოთ ბავშვებს აუდიოჩანაწერი და ვაჩვენოთ სურათები).

მოსმენის შემდეგ ყველამ ერთად ვიმღეროთ ეს სიმღერა. შეგვიძლია მოვიფიქროთ ქართული ტექსტიც.

3. **შემოდგომის მუსიკა:** შევთავაზოთ ბავშვებს მუსიკის შექმნა შემოდგომის მოტივებზე თავიანთი ხელნაკეთი ინსტრუმენტების გამოყენებით (წვიმის ხმა, ქარის ხმა). შემდეგ კიდევ ერთხელ მოვასმენინოთ იტალიელი კომპოზიტორის, ანტონიო ვივალდის „შემოდგომა“.

4. დიქსილენდი: მოვასმენინოთ ბავშვებს დიქსილენდი, მაგალითად, კომპოზიცია “Down By The Riverside” (ინგლ. ქვემოთ, მდინარის ნაპირზე): https://www.youtube.com/watch?v=fjnj3g29NSk

ბავშვები ისმენენ ჩანაწერს და ცეკვავენ.

წიგნის დრო

1. სამშაბათს ჩვენ ვამთავრებთ ასტრიდ ლინდგრენის წიგნის ” სახურავზე მცხოვრები კარლსონი” პირველ ნაწილს. შემდგომ ნაწილებს აღარ წავიკითხავთ, მაგრამ ბავშვებს ვეტყვით, რომ ამ ისტორიას აქვს გაგრძელებაც, ასე რომ ვისაც ეს ამბავი აინტერესებს, შეუძლია მშობლებს სთხოვოს მისი წაკითხვა.

ამ დღეს მეტი დრო დავუთმოთ წიგნზე საუბარს. ვკითხოთ - როგორ მოეწონათ ეს ამბავი? რა მოეწონათ ყველაზე მეტად? თუ უნდათ, რომ ჰყავდეთ ისეთი მეგობარი, როგორიც კარლსონია? რატომ?

მივცეთ ბავშვებს საშუალება, რომ ითამაშონ და დახატონ სურათები წიგნის თემაზე. მოიფიქრონ ბიჭუნასა და კარლსონის ახალი თავგადასავალი.

მეოთხე კვირა

თემა: ბაზარი /მაღაზია

თემა გრძელდება ორი კვირის განმავლობაში. მისი მიზანია, გააცნოს ბავშვებს საკვები პროდუქტები, ხილი, ბოსტნეული, რძისა და ხორცის პროდუქტები; გააგებინოს მათ, საიდან მოდის ეს პროდუქტები ჩვენამდე, ვინ შრომობს მათ მოყვანაზე/დამზადებაზე.

ბავშვები გაეცნობიან ჯანსაღი კვების პირამიდას, ნარჩენების გადახარისხების პრინციპს; გაიგებენ, როგორ ამზადებენ პროდუქტებს ქარხნებში და როგორ შეიძლება დაბინძურდეს გარემო.

ბავშვები გაითამაშებენ ბაზართან და მაღაზიასთან დაკავშირებულ როლურ თამაშებს; დაამზადებენ, შეარჩევენ, აწონიან და შეიძენენ სხვადასხვა პროდუქტს, შესაძლებლობა მიეცემათ იმუშაონ ფერმისა და ბაზრის მაკეტებზე.

თემა იძლევა საშუალებას,რომ ბავშვებმა განივითარონ შემეცნებითი, მოტორული და სოციალური უნარები თამაშის მეშვეობით.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივიდუალიზება	რა არის ბაზარი.	**პროექტი:** ჩვენი ფერმა და ბაზარი. **1.** დახლების დამზადება **აქტივობა:** ბაზრის მოწყობა **როლური თამაში:** ბაზარი	ასტრიდ ლინდგრენი "გაიცანით ემილი" 	ცოცვა გრძელ სკამზე წონასწორობის დაცვა გრძელ სკამზე	ჩაიფიქრე მეგობრის სახელი. საკვები პროდუქტების ლოტო საკვები პროდუქტების ცხრილის შედგენა.	სიმღერა "იყიდეთ, იყიდეთ ,იყიდეთ რამე https://www.youtube.com/watch?v=dvarU1mLYNo	ბავშვები შეაჯამებენ დღის საინტერესო მოვლენებს.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები, რესურსები	სხვადასხვა ქვეყნის ბაზრის ფოტოები. ენციკლოპედია ან ჟურნალი შესაბამისი გამოსახულებებით.	მასალა ხელოვნების რესურს ცენტრიდან: დიდი ზომის მუყაო, პლასტილინი, თიხა, პატარა ჯოხები, წებო, თოკი, სკოჩი და სხვა. დაბალი მაგიდები, გირებიანი და ხელის სასწორები, ჩანთები, ხელნაკეთი ფული და სალარო, სხვადასხვა პროდუქტების მულაჟები,კალათები და კონტეინერები.	ასტრიდ ლინდგრენი "გაიცანით ემილი"	გრძელი სპორტული სკამი	საკვები პროდუქტების ლოტო დიდი ფორმატის ქაღალდი, ფერადი ფანქრები და ფლომასტერები.	მუს.ცენტრი. დისკი ჩანაწერით.	
სამშაბათი ინდივიდუალიზება	საიდან მოდის ბაზარში პროდუქტები - ხილი ბოსტნეული	**პროექტი:** ჩვენი ფერმა და ბაზარი. 2. ხილი და ბოსტნეული **როლური თამაში:** ბაზარი და ფერმა **აქტივობა:** პატარა ბოსტანი **წესებიანი თამაში:** ფაზლი	ასტრიდ ლინდგრენი "გაიცანით ემილი" 	ხილის ბოულინგი	ხილისა და ბოსტნეულის დახარისხება. ხილისა და ბოსტნეულის აწონვა. როგორ იცვლება ვაშლი კალათაში ჩავდე	"იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე" https://www.youtube.com/watch?v=dvarU1mLYNo	ბავშვები ისაუბრებენ საყვარელ ხილზე.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/რესურსები	ტონი ვულფი "გადაშალე და გაერთე ფერმაში"	პლასტილინი, თიხა, ფერადი ქაღალდები, ბუნებრივი მასალები, ჯოხები, გირჩები, ქვები, წებო, თოკი, სკოჩი და სხვა. ბოსტნეული,სათამაშო სამუშაო იარაღები, ბოტები, კალათები, პატარა კიბე,ურიკა, დიდი სათამაშო, სატვირთო მანქანები. კონტეინერი, მიწა და ლობიოს მარცვლები, ბლოკნოტი, ფანქრები. ხილის ან ბოსტნეულის ფაზლი.	ასტრიდ ლინდგრენი "გაიცანით ემილი"	პლასტმასის ბოთლი, წყალი ან ქვიშა, ხილისა და ბოსტნეულის ნახატები ან სურათები, ბურთი.	სხვადასხვა სახეობის თითო ხილი ან მათი მულიაჟი. სასწორი, ბარათები	მუს.ცენტრი. დისკი ჩანაწერით.	
ოთხშაბათი ინდივიდუალიზება	ფერმა	**პროექტი**: ჩვენი ფერმა და ბაზარი. 3. ცხოველების ფერმა. **აქტივობა:** კუბურების ბოსელი და ტბორი. **როლური თამაში:** ბაზარი და ფერმა. **წესებიანი თამაში:** საკვები პროდუქტების მემო.	ასტრიდ ლინდგრენი ემილი აჯანყდა 	რა იჭმევა და რა არა.	დააწყვე თევზები იპოვე განსხვავება	https://www.youtube.com/watch?v=cthF0JSS2-0 სიმღერა "ფერმა"	ბავშვები ისაუბრებენ საყვარელ რძის პროდუქტზე, შეაჯამებენ დღეს.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/რესურსები	ტონი ვულფი "გადაშალე და გაერთე ფერმაში"	პლასტილინი, თიხა, ქსოვილები, ფერადი ქაღალდი, გუაში, ბუნებრივი მასალები. კუბურები, ფოლგის ქაღალდი, ქსოვილები, ფერადი ქაღალდები, თოკი და ჯოხები. საკვები პროდუქტების მემო.	ასტრიდ ლინდგრენი ემილი აჯანყდა	ბურთი	ფურცლები და ფანქრები. სხვადასხვა ზომის თავზების გამოსახულებები.	მუს.ცენტრი. დისკი ჩანაწერით.	
ხუთშაბათი ინდივიდუალიზება	ქათმების ფერმა	**პროექტი:** ჩვენი ფერმა და ბაზარი. 4. ქათმების ფერმა. **აქტივობა:** დაკვირვება ბუმბულზე **როლური თამაში:** ბაზარი და ფერმა. **წესებიანი თამაში:**არ გამოტოვო ფრინველი **აქტივობა:** კუბურების საქათმე	როალდ დალი სასწაულთმოქმედი მისტერ ფოქსი 	ბატებო, ბატებო სახლში!	ბუმბულების შედარება ლაბირინთი	სიმღერა "წიწილა" ან "კოკო როკოკო" https://www.youtube.com/watch?v=WvupCr7nIQk https://www.youtube.com/watch?v=VHjFbjGq20s	ბავშვები შეაჯამებენ დღეს, გაიხსენებენ დასამახსოვრებელ საქმიანობას.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/რესურსები	ტონი ვულფი "გადაშალე და გაერთე ფერმაში"	პლასტილინი, თიხა, ქსოვილები, ფერადი ქაღალდი, გუაში, ბუმბული და სხვა ბუნებრივი მასალები. ბუმბული, ლუპა, წყლიანი ჯამი, ფურცლები და ფანქრები. თამაში: დაითვალე წიწილების წინასწარ გამზადებული დაფა. კუბურები, ჯოხები, ქსოვილები.	როალდ დალი სასწაულთმოქმედი მისტერ ფოქსი (ძველი გამოცემა სასწაულთმოქმედი მისტერ მელა)		სხვადასხვა სახის ბუმბულები. ფურცლები და ფერადი ფანქრები.	მუს.ცენტრი. დისკი ჩანაწერით.	
პარასკევი ინდივიდუალიზება	საიდან მოდის სუნელები?	**პროექტი**: ჩვენი ფერმა და ბაზარი. 5. ბაზარი. **როლური თამაში:** ბაზარი და ფერმა. **ჩირის ასხმა** **წესებიანი თამაში:** შინაური ცხოველების ლოტო	როალდ დალის "სასწაულთმოქმედი მისტერ ფოქსი" 	ბატებო, ბატებო სახლში!	ანბანის კამათელი	სიმღერა ფერებზე https://www.youtube.com/watch?v=JHbtnNt_qVY&list=PL2ZqcRYMCUG4N46co3LUHk3V35sBlYqz5&index=7	ბავშვები ისაუბრებენ ზამთარში შენახულ პროდუქტებზე: ჩირსა და ტყლაპზე, მურაბებზე და ა.შ. დაასახელებენ საყვარელ პროდუქტს.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა / საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები და რესურსები		ფერმისა და ბაზრის დამზადებული ნაწილები პლასტილინი, თიხა, ქსოვილები, ფერადი ქაღალდი, გუაში და ბუნებრივი მასალები.	როალდ დალის "სასწაულთმოქმედი მისტერ ფოქსი"		წინასწარ მუყაოსაგან ან თიხისგან დამზადებული კამათელი ასოებით, ფურცლები, ფანქრები.	მუს.ცენტრი. დისკი ჩანაწერით.	

საქმიანობათა ინსტრუქციები

აქტივობები

1. **რა არის ბაზარი?** ვესაუბროთ ბავშვებს ბაზრის შესახებ; ვკითხოთ, ყოფილან თუ არა ბაზარში; უნახავთ თუ არა, როგორია ის; რა ხდება ბაზარში, რას ყიდიან და მისთ. დავეხმაროთ ბავშვებს, რომ გაუზიარონ ჯგუფელებს საკუთარი გამოცდილება. თუ მოვიძიებთ, ვუჩვენოთ ბავშვებს სხვადასხვა ქვეყნის ბაზრების ფოტოები (იხ. ილუსტრაცია #12).

2. **ბაზრის მოწყობა:** ბავშვებთან ერთად შევცვალოთ სივრცე და მოვაწყოთ ბაზარივით, ამისთვის დაგვჭირდება ,,დახლები" - მაგიდები, სასწორები, ჩანთები, ხელნაკეთი ფული და სხვადასხვა პროდუქტის მულაჟები, რომელთა დამზადება ბავშვებს თავადაც შეუძლიათ. შემდგომში, როცა ბავშვები შეუდგებიან ფერმის თემის შესწავლას, ამავე სივრცეში/კუთხეში შეგვიძლია ფერმის შესაბამისი რეკვიზიტების შეტანაც. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, ბოსტნეული, სათამაშო სამუშაო იარაღები, ბოტები, რძის ბიდონები, ერთჯერადი ხელთათმანები, სათამაშო ანკესი და თევზები. ეს რეკვიზიტები შესაძლებელია ასევე დამზადდეს ბავშვების მიერ (აღმზრდელის დახმარებით). http://pocketofpreschool.blogspot.com/search/label/farm

http://www.pre-kpages.com/dramatic-play-garden/
http://www.labpreschool.udel.edu/school-news/page/50/

3. **წიგნის დრო.** ასტრიდ ლინდგრენის წიგნის "გაიცანით ემილი" ადაპტირებული ტექსტი მარტივი ენით მოგვითხრობს პატარა ემილზე, რომელიც სოფელში ცხოვრობს. წიგნში გაცოცხლებულია ფერმის გარემო.

4. **წიგნის დრო.** როალდ დალის "სასწაულთმოქმედი მისტერ ფოქსი". წიგნში მოთხრობილია მოხერხებული მელას ამბავი. მელაზე ფერმერები ნადირობენ, მაგრამ ის მაინც ახერხებს ფერმასა და საკუჭნაოებში შეღწევას, თავისი ოჯახისა და მეზობლების გადარჩენას და გამოკვებას.

5. **საიდან მოდის ბაზარში პროდუქტები: ხილი, ბოსტნეული, ბაღჩეული?** ვკითხოთ ბავშვებს, თუ იციან, საიდან მოაქვთ ბაზარში სხვადასხვა პროდუქტი, ვის მოაქვს ისინი. ყურადღება გავამახვილოთ ხილსა და ბოსტნეულზე. წავახალისოთ ბავშვები, რომ გაგვიზიარონ თავიანთი შთაბეჭდილებები სოფელში და/ან ფერმაში ყოფ ნის

შესახებ; ვკითხოთ, უნახავთ თუ არა, სად და როგორ იზრდება ხილი ან ბოსტნეული (იხ. ილუსტრაცია #13). დავათვალიერებინოთ ბავშვებს ტონი ვულფის წიგნში "გადაშალე და გაერთე ფერმაში" წარმოდგენილი ხეხილის ბაღი, ბოსტანი, მარცვლეული, მანქანები.

6. **პატარა ბოსტანი**: ბავშვები აგრძელებენ წინა კვირაში დარგულ მცენარეებზე დაკვირვებას - ასხამენ წყალს და ა.შ. კარგი იქნება, თუ ბავშვები გააკეთებენ დაკვირვების შედეგების ამსახველ ჩანახატებს.

7. **რძის პროდუქტები, ფერმა, თევზი:** დავათვალიერებინოთ ბავშვებს წიგნი ,,გადაშალე და გაერთე ფერმაში". ვუჩვენოთ მათ ბოსელი, საბძელი, თავლა. წავახალისოთ, რათა გაიხსენონ, უნახავთ თუ არა ცხოველები, რომლებიც რძეს გვაძლევენ ან ყოფილან თუ არა სათევზაოდ. თუკი რომელიმე მათგანს აღმოაჩნდება სათანადო გამოცდილება, ვთხოვოთ მოგვიყვეს, როგორ უვლიან ძროხებს.

8. **კუბურების ბოსელი და ტბორი**: წავახალისოთ ბავშვები, რომ ააშენონ ბოსელი კუბურების მეშვეობით, შექმნან ტბორი ან მდინარე; გააფორმონ ნაკეთობა ბუნებრივი მასალებით, ჩასვან გამოჭრილი თევზები, ითამაშონ პატარა ცხოველებისა და ადამიანების ფიგურებით.

9. **ქათმების ფერმა:** დავათვალიერებინოთ ბავშვებს წიგნი "გადაშალე და გაერთე ფერმაში". ვუჩვენოთ საქათმე და გუბურა. ვთხოვოთ მოგვიყვნენ, რა იციან ქათმების შესახებ.

10. **კუბურების საქათმე:** შევთავაზოთ ბავშვებს კუბურებისაგან ქანდარიანი საქათმეების აშენება. სათამაშოდ ბავშვებს შეუძლიათ გამოიყენონ პატარა ფიგურები.

11. **დაკვირვება ბუმბულზე:** დავურიგოთ ბავშვებს ფერადი ბუმბულები, ვთხოვოთ, დააკვირდნენ მათ შეფერილობას და მოხატულობას ლუპის გამოყენებით; დააკვირდნენ და ჩაიხატონ ბუმბულის მოძრაობა იატაკზე დაშვებისას. ბავშვებს ასევე შეუძლიათ პატარა წყლიან ჯამში ჩაყარონ ბუმბული და დააკვირდნენ, ჩაიძირება თუ არა.

12. **საიდან მოდის ჩირი და სუნელები?**ვუჩვენოთ ბავშვებს სხვადასხვა სახეობის ხილის ჩირისა და სუნელების ფოტოები, ვკითხოთ: როგორ კეთდება ჩირი? რისთვის იყენებენ ადამიანები სუნელებს და როგორ ამზადებენ? ვაჩვენოთ წინასწარ გამზადებული გამხმარი ფოთლები და ვთხოვოთ,რომ დაფშვნან ფურცელზე.

13. **ჩირის ასხმა.** ვთხოვოთ ბავშვებს, რომ სხვადასხვა ფერის ქაღალდისაგან გამოჭრან ჩირის ფორმის ნაჭრები და აასხან თოკზე ან ხის ჩხირებზე.

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. **ფაზლი**: წინასწარ დავამზადოთ ხილისა და ბოსტნეულის ფაზლი. ფაზლის დასამზადებლად მუყაოზე დავაწებოთ შესაბამისი ფოტო ან ნახატი და დავჭრათ პატარა ნაწილებად. შევთავაზოთ ბავშვებს ნახატების აწყობა ამ ნაწილების შეერთებით.

2. **არ გამოტოვო ფრინველი:** ბავშვებს ვეუბნებით, რომ ჩვენ დავასახელებთ სიტყვებს. თუ დასახელებულებს შორის იქნება სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ფრინველს, მათ ხელები მაღლა უნდა ასწიონ. აქტი-

ვობის მიზანია, რომ ბავშვმა სამეტყველო ნაკადში ამოიცნოს წინასწარ მითითებული სიტყვები.

3. **ხილის ბოულინგი:** პლასტმასის ბოთლები წინასწარ გავავსოთ წყლით ან ქვიშით,ზედ დავაკრათ ხილისა და ბოსტნეულის ფოტოები და ჩავამწკრივოთ რიგში. შემდეგ შევთავაზოთ ბავშვებს, გააგორონ ბურთი და წააქციონ ბოთლები. ბოთლის წაქცევის შემდეგ ბავშვები ასახელებენ მასზე მიკრულ ფოტოზე გამოსახულ ხილს ან ბოსტნეულს და მოკლედ ყვებიან ამ ხილის/ბოსტნეულის შესახებ.

4. **რა იჭმევა და რა არა:** ბავშვები წრეში დგებიან და ბურთს ესვრიან ერთმანეთს. სროლის დროს ხმამაღლა ამბობენ რაიმე საკვები პროდუქტის სახელს. თუკი დასახელდება ისეთი საგანი/ნივთი, რომელიც არ იჭმევა, ბავშვებმა ბურთი არ უნდა დაიჭირონ და შეეცადონ მის აცილებას. მოთამაშე, რომელსაც ბურთი მოხვდა, "დაჭრილია" და ისვენებს.

5. ბატებო, ბატებო, სახლში!

"დედა ბატი" ერთ მხარეს დგას, "შვილი ბატები" დგანან მოშორებით, მოპირდაპირე მხარეს. "შვილები" ბევრნი არიან, იქვე "მგელია" ჩასაფრებული -"დედას" "შვილები" უნდა მოსტაცოს. "დედა ბატი" თავის გაფანტულ "შვილებს" სახლში მოუხმობს, "შვილები" პასუხობენ. "დედასა" და "შვილებს" შორის ასეთი დიალოგი იმართება:

- ბატებო, ბატებო, სახლში!
- რისთვის?
- მანდ მგელია!
- რას აკეთებს?
- ბატებს ჭამს!
- როგორებს?
- წითლებს, ყვითლებს, ჩქარა, სახლში!

"შვილები" გარბიან "დედისკენ". შუა გზაზე "მგელი" შეერევა გუნდში, ყველა ცდილობს, რომ "მგელს" ხელიდან გაუსხლტეს. დაჭერილი "შვილი ბატი" "მგელს" თან მიჰყავს. "დედასთან" ერთით ნაკლები "შვილი" ბრუნდება. თამაში კვლავ თავიდან იწყება და გრძელდება მანამდე, სანამ "მგელი" ყველა "შვილს" არ მოიტაცებს.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **ჩაიფიქრე მეგობრის სახელი:** დავდგეთ წრეზე. შევთავაზოთ ბავშვებს, ჩაიფიქრონ რომელიმე თანაჯგუფელის სახელი და დაუკრან ტაში იმდენჯერ, რამდენი მარცვალიც არის მის სახელში. დანარჩენებმა უნდა გამოიცნონ შერჩეული ბავშვის ვინაობა. ამისთვის ის

ბავშვები, რომელთა სახელების მარცვალთა რაოდენობა შემოკრული ტაშის რაოდენობის ტოლია, წრიდან ერთი ნაბიჯით წინ გამოდიან. უნდა შევეცადოთ გამოვიცნოთ, ვინ ჩაიფიქრეს ბავშვებმა. სასურველია, რომ თამაშის დაწყებამდე თითოეულ ბავშვს ტაშით დავამარცვლინოთ სახელი და ყურადღება გავამახვილებინოთ მარცვლების რაოდენობაზე.

2. **საკვები პროდუქტების ცხრილის შედგენა:** დავყოთ ბავშვები მცირე ჯგუფებად, მივცეთ წინასწარ გამზადებული ფორმატის ქაღალდები ცხრილების გამოსახულებებით. ცხრილებში ბავშვებმა უნდა ჩახატონ ის საკვები პროდუქტები, რომლებსაც ბაზარში ყიდულობენ, ამასთანავე ცალ-ცალკე გრაფებში დაახარისხონ ხილი. ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ხორცი და სხვა.

3. **საკვები პროდუქტების ლოტო:** შევთავაზოთ ბავშვებს, ითამაშონ საკვები პროდუქტების ლოტო მცირე ჯგუფებში, *ან* დავეხმაროთ, რომ თავად შექმნან ლოტო. ამისთვის მათ უნდა დახატონ და გამოჭრან სხვადასხვა ხილის, ბოსტნეულის, რძისა და ხორცის პროდუქტების გამოსახულებები, შემდეგ დაახარისხონ სახეობების მიხედვით და დაამზადონ ლოტოს შესაბამისი დაფები.

4. **ხილისა და ბოსტნეულის დახარისხება:** ამ აქტივობისათვის საჭირო იქნება რამდენიმე სახეობის ხილი/ბოსტნეული ან მათი მულაჟები (შესაძლებელია წინასწარ შევუთანხმდეთ მშობლებს, რომ მოგვაწოდონ თითო სახეობის პროდუქტი. გასათვალისწინებელია შემდეგი: სანამ ბავშვებს მივაწვდით პროდუქტს, წინასწარ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ის სუფთაა და უსაფრთხო). ბავშვებმა მცირე ჯგუფებში მუშაობის გზით უნდა დაახარისხონ ბოსტნეული ფერის, ფორმის, ფაქტურის, სახეობის მიხედვით და ჩააწყონ კალათებსა ან მუყაოს ყუთებში. სახეობის მიხედვით დახარისხების პროცესში გავესაუბროთ ბავშვებს იმაზე, თუ როგორ ინახება ესა თუ ის პროდუქტი უსაფრთხოდ, რას უნდა მიექცეს ამ დროს ყურადღება და ა.შ.

5. **ხილისა და ბოსტნეულის აწონვა:** დავყოთ ბავშვები პატარა ჯგუფებად. ჯგუფებმა პინებიანი (თეფშებიანი) სასწორის მეშვეობით უნდა აწონონ თითოეული სახეობის ხილი /ბოსტნეული ან მათი მულაჟები, შეადარონ და დაასახელონ, რომელია უფრო მძიმე, რომელი- უფრო მსუბუქი. ბავშვებს შეუძლიათ თავად დაამზადონ პინებიანი სასწორი. ამისთვის დაგვჭირდება ტანსაცმლის ძველი საკიდი, პლასტმასის კონტეინერი ან ხაჭოს ცარიელი პლასტმასის ქილები და თოკი. კონტეინერები თოკით უნდა დავამაგროთ საკიდის ორივე მხარეს.

6.

როგორ იცვლება ვაშლი: პატარა ერთჯერად ჭიქებში ჩავასხათ სხვადასხვა სითხე - წყალი, ძმარი, ლიმონის წვენი. დავურიგოთ ბავშვებს გაფცქვნილი და დაჭრილი ვაშლის ნაჭრები; ვთხოვოთ, ჩააწყონ ეს ნაჭრები სხვადასხვა სითხით შევსებულ ჭიქებში და დააკვირდნენ, რომელი ნაჭერი შეიცვლება და როგორ.

7. „კალათაში ჩავდე”: სასურველია, რომ თამაშში მონაწილეობდეს 5-7 ბავშვი. დავსხდეთ წრიულად. ავუხსნათ ბავშვებს, რომ ჩვენ ახლა უნდა დავასახელოთ ხილი და ბოსტნეული. თამაშს ჩვენ ვიწყებთ და ვამბობთ: „კალათაში ჩავდე...” (მაგ., ვაშლი). თამაშს აგრძელებს ჩვენგან მარჯვნივ მჯდომი ბავშვი. ის იმეორებს ჩვენ მიერ ნათქვამს და ამატებს თავის ხილს, ან ბოსტნეულს. თამაში სრულდება მაშინ, როდესაც ყველა ბავშვი შეძლებს სხვისი ნათქვამის გამეორებას.

8.დააწყვე თევზები: წინასწარ მოვიძიოთ და ამოვბეჭდოთ სხვადასხვა სახეობის თევზების გამოსახულებები. მცირე ჯგუფებად დაყოფილ ბავშვებს ვთხოვთ, გამოჭრან ეს გამოსახულებები და დააწყონ ზომის მიხედვით - ყველაზე პატარადან ყველაზე დიდამდე, შემდეგ კი პირიქით. შესაძლებელია სხვაგვარი თანამიმდევრობის დაცვაც, მაგ., ორი დიდი, ორი პატარა და ა.შ. აქტივობის დასრულების შემდეგ ბავშვებმა ერთმანეთს უნდა აჩვენონ და გაუზიარონ ჩატარებული საქმიანობის შედეგები (იხ. ნიმუში 3).

ნიმუში 3.



9.იპოვე განსხვავება: ბავშვების მცირე ჯგუფებს ვურიგებთ განსხვავების შემცველ ნახატებს და ვთხოვთ, ერთობლივად იპოვონ მათ შორის განსხვავება (იხ ილუსტრაცია #14).





10. ბუმბულების შედარება: დავარიგოთ ბუმბულები. შევთავაზოთ ბავშვებს, დაახარისხონ ისინი ფერისა და ფორმის მიხედვით; დათვალონ ერთნაირი ბუმბულების რაოდენობა და შეუსაბამონ წინასწარ გამოჭრილი ციფრი.

11. **ლაბირინთი:** შევთავაზოთ ბავშვებს, დახატონ რამდენიმე გზა, რომელთაგან ერთი წიწილას საქათმესთან მიიყვანს. სამუშაოს შესრულების შემდეგ ბავშვები წარუდგენენ ნამუშევრებს მეგობრებს და სთხოვენ, რომ იპოვონ სწორი (საქათმისკენ მიმავალი) გზა.

12. **ანბანის კამათელი:** წინასწარ დავამზადოთ მუყაოს კუბი, რომელსაც სხავადასხვა მხარეს დავაწერთ 6 სხვადასხვა ასოს. ბავშვები გააგორებენ კამათელს; დაასახელებენ იმ ასოს, რომელიც "დაჯდება" კამათელზე და წარმოთქვამენ სიტყვას რომელიც ამ ასოზე იწყება (მაგ., "მ" ასოს შემთხვევაში დაასახელებენ მაგიდას).

პროექტი: ჩვენი ფერმა და ბაზარი

პროექტის ფარგლებში ბავშვები დაამზადებენ ბაზრისა და სასოფლო მეურნეობის პატარა მაკეტებს.

1. **დახლების დამზადება:** მიაწოდეთ ბავშვებს სხვადასხვა სახის მეორადი მასალა ხელოვნების ცენტრიდან და სთხოვეთ, დაამზადონ დახლები პროდუქტების დასაწყობად.

2. **ხილი და ბოსტნეული**: წავახალისოთ ბავშვები, რომ დაამზადონ რაიმე "ხეხილი" ან "ბოსტნის კვალი ბოსტნეულით" (აირჩიონ საკუთარი სურვილის მიხედვით). ამისთვის შევთავაზოთ ბავშვებს სხვადასხვა მასალა, პლასტილინი, თიხა, ფერადი ქაღალდები და ა. შ. ბავშვებს შეუძლიათ იმუშაონ ერთ დიდ ფორმატზე ან მუყაოს პატარა ნაჭრებზე. ყველა ამზადებს თავის წილ ნაჭერს, ბოლოს კი ყველა ნაჭერს შეერთებენ ერთიანი გამოსახულების მისაღებად.

3. ფერმა: შევთავაზოთ ბავშვებს სხვადასხვა სახის მასალა ხელოვნების ცენტრიდან: პლასტილინი, თიხა, ქსოვილები, ფერადი ქაღალდი, გუაში, ბუნებრივი მასალები ბოსლის, ძროხების, თხების, რძის ბიდონებისა და რძის პროდუქტების დასამზადებლად. ბავშვებს ასევე შეუძლიათ დაამზადონ პატარა გუბურა ან მდინარე თევზებითა და მეთევზეებით, რომელსაც მოათავსებენ დიდი ფერმის ერთ-ერთ ნაწილში.

4. ქათმების ფერმა: შევთავაზოთ ბავშვებს სხვადასხვა სახის მასალა ხელოვნების ცენტრიდან: პლასტილინი, თიხა, ბუმბულები, ჯოხები, ქსოვილები, ფერადი ქაღალდი, გუაში და ბუნებრივი მასალები საქათმის, ქათმებისა და კვერცხების დასამზადებლად.

5. ბაზარი: გავაერთიანოთ ბავშვების მიერ დამზადებული ფერმის ნაწილები; ვთხოვოთ ბავშვებს, დაამზადონ სახლები ფერმერებისათვის. ყველა ნამუშევარი გადავიტანოთ დიდი ზომის მუყაოზე ან ფიცარზე, რათა მივიღოთ დიდი ფერმის მაკეტი. შევთავაზოთ ბავშვებს, შეავსონ ბაზრის დახლები დამზადებული პროდუქტებით.

როლური თამაშები

1.ბაზარი: ამ წარმოსახვითი თამაშის დროს ბავშვები გაინაწილებენ როლებს - გახდებიან "მყიდველები" და "გამყიდველები". ისინი იყიდიან სხვადასხვა "პროდუქტს", აწონიან, იანგარიშებენ და გადაიხდიან "ფულს".

მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება

1. **"იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე"** : მოვასმენინოთ ბავშვებს სიმღერა "იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე" შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლიდან "კავკასიური ცარცის წრე" (რეჟისორი: რობერტ სტურუა). წავახალისოთ ბავშვები, რათა ამოძრავდნენ და აყვნენ სიმღერას.

მე -5 კვირა

თემა: მაღაზია

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივიდუალიზება	მაღაზია	**აქტივობა:** მაღაზიის მოწყობა და რეკვიზიტების დამზადება. **აქტივობა**: პროდუქტების შეფუთვა. **როლური თამაში:** მაღაზიაში.	ასტრიდ ლინდგრენის "ბულერბიელი ბავშვები"-როგორ წავედით მე და ანა საყიდლებზე." 	მიზანში სროლა	მიუსადაგე წარწერა ნივთს. დაითვალე ხურდა. ფარული ბარათი	სიმღერა ინსტრუმენტები https://www.youtube.com/watch?v=aKAFtguh8jw&list=PLT2OuHwvi6uI1kOal3PVbQe_171aefDio&index=5	შეჯამება: მსჯელობა - რომელი უფრო მოეწონათ, ბაზარი თუ მაღაზია?რისი მაღაზიაები არსებობს კიდევ?
მასალები, რესურსები	ფორმატი ან დაფა, მარკერი, ქარხნების ფოტოები საბავშვო ენციკლოპედიიდან ან ჟურნალებიდან.		ასტრიდ ლინდგრენის "ბულერბიელი ბავშვები" "როგორ წავედით მე და ანა საყიდლებზე.	დიდი ფორმატი, პატარა ბურთი და საღებავები ან ცარცი.	სათამაშო პროდუქტები, ხილისა და ბოსტნეულის მულაჟები. ფურცლები, ფანქრები. სათამაშო პროდუქტები ფასებით, სათამაშო ქაღალდის და ხურდა ფული.	მუს.ცენტრი, დისკი ჩანაწერებით	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
სამშაბათი ინდივიდუალიზება	როგორ ამზადებენ კონსერვებს	**როლური თამაში:** მაღაზიაში **წესებიანი თამაში:** კანონზომიერება	ასტრიდ ლინდგრენის ბულერბიელი ბავშვები- ”შპს ალუბალი” 	კლასობანა	რა აკლია ასოების ჯემი	ჩაიკოვსკის “მაკნატუნა”- შაქარყინულის ფერიის ცეკვა	ბავშვები შეაჯამებენ დღეს. ისაუბრებენ იმის შესახებ, თუ ყველაზე მეტად რისი ყიდვა უხარიათ მაღაზიაში?
მასალები/ რესურსები	პროდუქტების კოლოფები და ქილები: ბავშვთა კვების ფაფის ქილა ან ბურღულეულის კოლოფი, მურაბის ჯემის ან სხვა კონსერვის ქილა.	დაბალი თაროები, პატარა სკამები ან სათამაშო ეტლები, მუყაოს ყველა ზომის ყუთი, ფერადი ქაღალდი, წებო, მაკრატელი, სკოჩი, სტეპლერი, ფასების ქაღალდები. საკვების ცარიელი, სუფთა ქილები და ყუთები.	ასტრიდ ლინდგრენი ბულერბიელი ბავშვები- ”შპს ალუბალი”	ცარცი ან ფერადი საიზოლაციო ლენტი.	პატარა პროდუქტის მულაჟები. მუყაოსგან გამოჭრილი ასოები, პატარა წყლიანი ჭურჭელი და კოვზები.	მუს.ცენტრი, დისკი ჩანაწერებით	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ოთხშაბათი ინდივიდუალიზება	პროდუქტები შორეული ქვეყნებიდან	**როლური თამაში:** მაღაზიაში **აქტივობა:** ექსპერიმენტული ხატვა **წესებიანი თამაში:** დომინო	სვენ ნურდკვისტი პეტსონი და ფინდუსი-ნადირობა მელაზე 	კლასობანა	რომელია ზედმეტი - აწონვა და გაზომვა	ჩაიკოვსკის "მაკნატუნა"- შაქარყინულის ფერიის ცეკვა	ბავშვები წარმოადგენენ საკუთარ ნახატებს, მოყვებიან, რა საშუალებები გამოიყენეს სახატავად.
მასალები/ რესურსები	სხვადასხვა ტროპიკული ხილის ან სხვა პროდუქტის ფოტო ენციკლოპედიიდან ან ალბომიდან.	გუაში, ფურცლები, ბუმბული, ჯოხები, ბორბლები და სხვა. ნახატებიანი და წერტილებიანი დომინო.	სვენ ნურდკვისტის "პეტსონი და ფინდუსი-ნადირობა მელაზე"	ცარცი ან ფერადი საიზოლაციო ლენტი.	ბარათები პროდუქტების კატეგორიების ნახატებით. სხვადასხვა პროდუქტის მულაჟი, ყუთი, ქილა, ხილი ან ბოსტნეული. სახაზავი. სასწორი, ფურცლები, ფანქრები.	მუს.ცენტრი, დისკი ჩანაწერებით	
ხუთშაბათი ინდივიდუალიზება	სასარგებლო პროდუქტები	**როლური თამაში:** მაღაზიაში **აქტივობა**: ჩემი პირამიდა, ჩემი ცისარტყელა. **აქტივობა:** კუბურების პირამიდა **წესებიანი თამაში:** პეპლები	სვენ ნურდკვისტი პეტსონი და ფინდუსი-მაჭკატების ტორტი 	სიმონმა თქვა	რამდენი ჭიქა აავსებს ხილის წვენის ბოთლს. რა ნაწილებისაგან შედგება ხილი. არაჯანსაღი საჭმელი	https://www.youtube.com/watch?v=lIRJGh4kmgU სიმღერა ვიტამინებზე	ბავშვები წარმოადგენენ თავისი კვების ცისარტყელას, მოყვებიან მასზე.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსე-ბი	დაფა ან ფორ-მატი, მარკე-რი, ხილის ფოტოები ან ნახატები.	ფურცლები პირამიდის გა-მოსახულებით, ფერადი ფანქ-რები, დასაჭრე-ლი ჟურნალები პროდუქტების გამოსახულე-ბით.ცარიელი ფურცლები. კუბურები. წი-ნასწარ დამზა-დებული მასალა თამაშისათვის პეპელა.	სვენ ნურდკვისტი პეტსონი და ფინდუსი-მაჭკა-ტების ტორტი		წვენის ან რძის ცარიელი, სუფთა ბოთლი, ერთჯე-რადი ჭიქა, ჯამი წყლით, ფურცელი ფანქარი.	მუს.ცენტრი, დისკი ჩანაწე-რებით	
პარასკევი ინდივი- დუალი- ზება	რითი წავი- დეთ ბაზარში/ რატომ ნაჭრის ჩანთა?	**როლური თამა-ში:** მაღაზიაში **აქტივობა:** მე-ორადი ნივთე-ბის დამზადება. **აქტივობა:** წყლის დაბინ-ძურება. **წესებიანი თამა-ში:** დომინო	სვენ ნურდკვის-ტის ”პეტსონი და ფინდუსი-მაჭკა-ტების ტორტი” 	სიმონმა თქვა	გეომეტრიული ფორმები გაიგე სიტყვა	https://www.youtube.com/watch?v=lIRJGh4kmgU სიმღერა ვიტამინებზე	ბავშვები მოყვე-ბიან, თუ რა ხერ-ხებით აარიდებენ თავს ცელოფნის პარკების გამოყე-ნებას.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/ საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები და რესურსები		წყლიანი ჯამი, პატარა თევზის ფიგურები, ცელოფნის პარკი. ნახატებიანი ან წერტილებიანი დომინო	სვენ ნურდკვისტი პეტსონი და ფინდუსი-მაჭკატების ტორტი		წყლიანი ჯამი, ქსოვილი, ქაღალდი, ცელოფნის პარკი, ფოლგა და სხვა მასალა. მუყაოსგან გამოჭრილი ფერადი გეომეტრიული ფიგურები. ფურცლები და ფანქრები.	მუს.ცენტრი, დისკი ჩანაწერებით	

საქმიანობათა ინსტრუქციები

პირველი შეხვედრა წრეში

მაღაზია



1. ვკითხოთ ბავშვებს, რითი განსხვავდება ბაზარი მაღაზიისგან. გავაკეთოთ ვენის დიაგრამა, რათა ბავშვებმა ადვილად აღიქვან მსგავსება და განსხვავება მათ შორის. ყველაფერს, რაც უკავშირდება ბაზარს, ჩავხატავთ ერთ წრეში, მაღაზიასთან დაკავშირებულს კი - მეორე წრეში. იმ პროდუქტებს/საგნებს, რომლებიც ორივეგან შეიძლება შეგვხვდეს, ჩავხატავთ ან ჩავწერთ წრეების გადაკვეთის არეში. სასურველია, რომ ნახატებს გავუკეთოთ შესაბამისი წარწერები.

ვკითხოთ ბავშვებს, იციან თუ არა, სად მზადდება პროდუქტები, რომლებსაც მაღაზიაში ვყიდულობთ. ვაჩვენოთ ბავშვებს ქარხნების ფოტოები საბავშვო ენციკლოპედიიდან ან ჟურნალებიდან.

2. **როგორ ამზადებენ კონსერვებს?** ვუჩვენოთ ბავშვებს სხვადასხვა ქარხანაში დამზადებული პროდუქტის კოლოფები და ქილები. ეს შეიძლება იყოს ფაფის ან ბურღულეულის კოლოფი, მურაბის, ჯემის ან სხვა კონსერვის ქილა (წინასწარ დავრწმუნდეთ მათ სისუფთავესა

და უსაფრთხოებაში). ავუხსნათ ბავშვებს, როგორ შევინახოთ პროდუქტი უსაფრთხოდ. ვუჩვენოთ წარმოების სურათები, რომლებზეც ნაჩვენებია, როგორ ამზადებენ სხვადასხვა პროდუქტს ადამიანების შრომისა და მანქანა-დანადგარების მეშვეობით; წავუკითხოთ ბავშვებს ეტიკეტების წარწერები (სადაა დამზადებული პროდუქტი, რას შეიცავს, სხვ.); ავუხსნათ ბავშვებს, რატომ არის მნიშვნელოვანი ეტიკეტზე მოცემული ინფორმაცია, სად არის მითითებული პროდუქტის ვარგისიანობის ვადა და ა.შ.

3. შევთავაზოთ ბავშვებს, რომ დაახარისხონ ეს კოლოფები სხვადასხვა მახასიათებლის (მაგ, ზომის, ფორმის, მწარმოებლების ლოგოებისა და ა.შ.) მიხედვით. ვკითხოთ, რისგან და როგორ არის დამზადებული კოლოფები, კონსერვის ქილები; ხელახლა დავახარისხებინოთ ბავშვებს კოლოფები მასალის მიხედვით. ვესაუბროთ ბავშვებს იმაზე, თუ როგორ და რისთვის ახარისხებენ ნარჩენებს.

4. **პროდუქტები შორეული ქვეყნებიდან:** ვკითხოთ ბავშვებს იმ პროდუქტების შესახებ, რომლებიც შორეული ქვეყნებიდან შემოაქვთ ჩვენს მაღაზიებში; გავარკვიოთ, რა იციან მათ შესახებ. ვუჩვენოთ ბავშვებს ამგვარი პროდუქტების სურათები ენციკლოპედიიდან ან ალბომიდან. ვესაუბროთ, რომელ ნაცნობ ხილს მოგვაგონებს, როგორი გემო შეიძლება ჰქონდეს. სად იზრდება, როგორი ბუნებაა ამ ქვეყნებში და ა.შ.

5. **სასარგებლო პროდუქტები:** დავხატოთ დაფაზე ან ფორმატის ქაღალდზე დიდი პირამიდა და დავყოთ ოთხ ნაწილად. დავაწეროთ თითოეულ ნაწილს თავისი სახელი და ვთხოვოთ ბავშვებს, ჩახატონ მათში შესაბამისი პროდუქტი ან ჩააწებონ ჩვენ მიერ წინასწარ გამოჭრილი ფოტოები. ვკითხოთ ბავშვებს, რატომ არის ყველაზე დიდ ნაწილში მარცვლეული და ხილი, ყველაზე პატარა ნაწილში კი ტკბილეული. ვესაუბროთ ბავშვებს პროდუქტების კომპონენტებზე; ვკითხოთ, პირამიდის თითოეულ საფეხურზე განლაგებული პროდუქტებიდან რომელი უყვართ ყველაზე მეტად, რომელი - ნაკლებად. ავუხსნათ ბავშვებს, რომ მარცვლეული ენერგიის ძირითადი წყაროა, ენერგია კი გვეხმარება იმაში, რომ ბევრი ვითამაშოთ, კარგად ვისწავლოთ და გავერთოთ. მარცვლეულისგან მომზადებული საჭმელი ძალიან სა-

სარგებლოა. ამიტომაც უფროსები ხშირად გვიმზადებენ წიწიბურას და ჰერკულესის ფაფას. თურმე ტკბილეულიც გვავსებს ენერგიით, მაგრამ ბევრმა ტკბილეულმა შეიძლება მუცელი გაგვიბეროს და აღარ მოგვინდეს სხვა ძალიან სასარგებლო პროდუქტების მირთმევა. მოვუყვეთ ბავშვებს, რომ ექიმების რჩევით, ყოველდღე უნდა ვჭამოთ სხვადასხვა ფერის საკვები. (ესაა ე. წ. საკვების ცისარტყელა). ვკითხოთ ბავშვებს: რა ფერის პროდუქტები ვიცით? რატომ უნდა ვჭამოთ ბევრი ჯანსაღი პროდუქტი?



6. რითი წავიდეთ ბაზარში/მაღაზიაში? რატომ არის საჭირო ნაჭრის ჩანთა? რაში აწყობენ ადამიანები პროდუქტებს ბაზარსა და მაღაზიაში? ვესაუბროთ ბავშვებს იმაზე, თუ რატომ არის ცუდი ცელოფნის პარკების გამოყენება, რა ზიანი მოაქვთ მათ გარემოსთვის, რითი შეიძლება ჩავანაცვლოთ ისინი ან როგორ შევამციროთ მათი გამოყენება. ბავშვები მოიფიქრებენ გამოსავალს.

აქტივობები

1. მაღაზიის მოწყობა: შევთავაზოთ ბავშვებს, რომ შევცვალოთ როლური თამაშების სივრცე ბაზარსა და მაღაზიას შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინებით და გადავაკეთოთ ბაზარი მაღაზიად. შესაბამისად, დახლების ნაცვლად დაგვჭირდება თაროების გაკეთება და პროდუქტების შეფუთვა; დაგვჭირდება ასევე პროდუქტის ეტლების მულაჟები (გამოვიყენოთ სკამზე დამაგრებული ყუთი), სათამაშო სალარო-აპარატი, შტრიხკოდის სკანერი, კონსერვებისა და საჭმლის კოლოფები (უნდა მოვათავსოთ თაროებზე). ყველა საჭირო ნივთი შესაძლოა დამზადდეს ბავშვების მიერ სხვადასხვა მასალის გამოყენებით.

2. პროდუქტების შეფუთვა: "პროდუქტების" შესაფუთად შევთავაზოთ ბავშვებს ქაღალდი, შესაფუთი პარკები და თოკები.

3. წიგნის დრო: ასტრიდ ლინდგრენის "ბიულებიელი ბავშვების" ერთ-ერთი თავი - "როგორ წავედით მე და ანა საყიდლებზე". ამ თავში მე-

გობარი გოგონები დედის დავალებით მაღაზიაში მიდიან საყიდლებზე, გოგონებს რამდენჯერმე დაავიწყდებათ სხვადასხვა პროდუქტი და მოუწევთ გზიდან უკან დაბრუნება.

4. **წიგნის დრო:** სვენ ნურდკვისტის „პეტსონი და ფინდუსი“, ნადირობა მელაზე. წიგნში მოთხრობილია მოხუცი კაცისა და მისი კატის საინტერესო თავგადასავლები სოფელში.

5. **ექსპერიმენტული ხატვა:** შევთავაზოთ ბავშვებს გუაში, ფურცლები და სხვადასხვა ნივთი, რომლებსაც ისინი ფუნჯების ნაცვლად გამოიყენებენ (მაგ., ბუმბული, ჯოხები, ბორბლები და სხვ.).

6.

ჩემი პირამიდა: დავურიგოთ ბავშვებს ფურცლები, რომლებზეც გამოსახულია ოთხად დაყოფილი "პირამიდა". შევთავაზოთ მათ, ძველი ჟურნალებიდან ამოჭრან პროდუქტების ფოტოები და გაანაწილონ თავიანთი პირამიდების ცალკეულ ნაწილებში (ფოტოებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სუპერმარკეტების სარეკლამო ბროშურები).

7. **ჩემი ცისარტყელა:** ვთხოვოთ ბავშვებს, დახატონ ცისარტყელა, მისი "ზოლების" არეში კი ჩახატონ თავიანთი საყვარელი საჭმელები, შერჩეული ცისარტყელას ფერების შესაბამისად.



8. **არაჯანსაღი საჭმელი:** დავურიგოთ ბავშვებს ფურცლები გაღიმებული და მოწყენილი "სახეების" მქონე კბილების გამოსახულებებით. **ამ გამოსახულებებს ბავშვებმა უნდა შეუსაბამონ (მიუხატონ) ჯანსაღი და არაჯანსაღი საჭმელები**.



9. **წყლის დაბინძურება:** ამ აქტივობისათვის დაგვჭირდება სუფთა წყლით სავსე ჯამი. ვთხოვოთ ბავშვებს, ჩაყარონ წყლიან ჯამში

რეზინის ან პლასტმასის სათამაშო თევზები და ცელოფნის პარკები. ვკითხოთ, მათი აზრით, როგორ გრძნობენ თავს თევზები? რატომ?

10. **მეორადი ნივთების დამზადება:** მოვუყვეთ ბავშვებს იმის შესახებ, რომ ბევრი გამოყენებული ნივთი შეიძლება არ გადავყაროთ და ხელახლა გამოვიყენოთ. ეს, შეიძლება იყოს, ვთქვათ, პლასტმასის ბოთლები, მუყაოს ყუთები, სამზარეულოს ან ტუალეტის ქაღალდის მუყაო და სხვა. შევთავაზოთ ბავშვებს ასეთი ნივთები და ასევე რესურსები ხელოვნების ცენტრიდან. ვთხოვოთ ბავშვებს, რომ დაამზადონ სხვადასხვა ფიგურა ან რაიმე ნივთი, ვუჩვენოთ რამდენიმე მაგალითი: პლასტმასის ბოთლის გოჭი, ფანქრების ჩასადები, მუყაოს ყუთის სკივრი და ა.შ.

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. **კანონზომიერება:** შევთავაზოთ ბავშვებს, რომ ააწყონ პატარა ზომის ფერადი კუბურები გარკვეული თანამიმდევრობით. იწყებს ერთი და ყველა აკეთებს მის მსგავსად; შემდეგ მეორე იწყებს და ა.შ.

2. **დომინო:** თავდაპირველად ბავშვებს შეიძლება შევთავაზოთ ნახატებიანი დომინო, შემდეგ კი, როდესაც კარგად გაერკვევიან თამაშის პრინციპში, - წერტილებიანი დომინო.

3. პეპლები: ამ თამაშისთვის დაგვჭირდება 6 ფერის ფერადი ქაღალდი. ფერადი ქაღალდისგან წინასწარ გამოვჭრათ პეპლები ორ ფერში; დავამზადოთ ასევე ორი კამათელი (თითოეულზე მხოლოდ სამი ფერის წყვილით) და პატარა ჟეტონები. თამაშის დროს პეპლები მოვათავსოთ მაგიდის ცენტრში, პირველი მოთამაშე ყრის კამათლებს. კუბიკებზე ამოდის ორი ფერის კომბინაცია. ის, ვინც პირველი იპოვის პეპელას ამ ფერების კომბინაციით, იგებს ერთ ჟეტონს. თამაშს იგებს ის მოთამაშე,რომელიც პირველი დააგროვებს 5 ჟეტონს.

4. მოძრავი თამაში

5. მიზანში სროლა: დიდი ფორმატის ქაღალდზე დავხატოთ რამდენიმე სამიზნე განსხვავებული ქულებით. გავაკრათ ქაღალდი ეზოში ან დარბაზში. ბურთი წინასწარ დავასველოთ საღებავში ან წავუსვათ ცარცი და კარგად გავწუროთ. ბავშვები იყოფიან ორ გუნდად და რიგრიგობით ესვრიან მიზანს (ერთჯერადი ხელთათმანებით).

თამაშის ვარიაცია: **„გააძვრინე ბურთი რგოლში“ -** დიდი ზომის მყარ მუყაოზე ან ფანერზე ვაკეთებთ სხვადასხვა ზომის რგოლებს. თითოეულ რგოლს სხვადასხვა ქულა აქვს. ბავშვები შეეცდებიან ბურთის რგოლებში გაძვრენას.

6. კლასობანა: დავუხატოთ ბავშვებს ეზოში ცარცით ”კლასობანას” სათამაშო ცხრილი ან გამოვსახოთ ეს ცხრილი დარბაზში, იატაკზე დაკრული საიზოლაციო ლენტის გამოყენებით. ჩავწეროთ ცხრილის უჯრებში ციფრები 1-დან 10-მდე. მოთამაშემ თავდაპირველად პირველ უჯრაში უნდა ჩააგდოს პატარა ბრტყელი ნივთი (ქვა ან რაიმე სხვა) და ხტუნვით გაიაროს უჯრები; მერე იმავეს იმეორებს მეორე ბავშვი და ა.შ. ნივთს აგდებენ მეორე უჯრაში და ცვლიან ხტუნვის მანერას (ხტუნვა ასკინკილათი ან მიტყუპებული ფეხებით).

7. **სიმონმა თქვა:** ერთ-ერთი ბავშვი წამყვანია. ის გასცემს ბრძანებებს, მაგრამ ბავშვები მას ემორჩილებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წამყვანი ბრძანებას წინ წაუმძღვარებს სიტყვებს: "სიმონმა თქვა" (მაგალითად,"სიმონმა თქვა, იხტუნეთ ბაყაყებივით", "სიმონმა თქვა, მიირბინეთ ხესთან", "სიმონმა თქვა, მომიტანეთ კენჭები" და ა.შ.). წამყვანი თანდათან აჩქარებს ბრძანებების გაცემის ტემპს გამარჯვებულია ის, ვინც სწორად შეასრულებს ყველა ბრძანებას.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **საიდუმლო ბარათი:** ბავშვებს ვთხოვთ, რომ ლოტოს ბარათების დასტიდან ამოირჩიონ ერთ-ერთი და შეეცადონ მასზე გამოხატული საგნის/ნივთის სახელის დამარცვლას. ჩვენ შეგვიძლია ვუჩვენოთ, თუ როგორ უნდა ამის შესრულება. სხვა ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, რა არის დახატული ბარათზე.

2. **მიუსადაგე წარწერა ნივთს**: დავწეროთ მუყაოს ან ქაღალდის პატარა ნაჭრებზე პროდუქტების სახელები; ბავშვებმა უნდა დაამაგრონ ეტიკეტი შესაბამის პროდუქტზე.

3. **დაითვალე ხურდა:** ბავშვებს შევთავაზოთ გამზადებული "პროდუქტები" (მითითებული ფასებით) და სათამაშო ფული. წავახალისოთ ისინი, რომ ერთმანეთისგან რიგრიგობით იყიდონ "პროდუქტები", გადაიხადონ "ფული"და დააბრუნონ "ხურდა" სათანადო რაოდენობით.

4. **რა აკლია?:** მივცეთ ბავშვებს რამდენიმე პატარა პროდუქტის მულაჟი. შევთავაზოთ, ითამაშონ "რა აკლია?". ბავშვები იმახსოვრებენ იმ ნივთებს, რომლებიც აწყვია მაგიდაზე, წამყვანი აიღებს ერთ-ერთ ნივთს და დამალავს. ბავშვები უნდა მიხვდნენ, რომელი ნივთი აკლია. თამაშის გასართულებლად შესაძლებელია ორი ან მეტი ნივთის დამალვა.

5. **ასოების ჯემი**: მუყაოსგან გამოვჭრათ ასოები და ჩავყაროთ პატარა წყლიან ჭურჭელში. ბავშვებმა კოვზით უნდა ამოიღონ ასო და დაასახელონ; შეიძლება ასევე დაასახელონ საჭმელი, რომელიც ამ ასოზე იწყება. თუკი წყლის გამოყენება პრობლემებს შეგვიქმნის, აქტივობა შეიძლება ჩატარდეს გამოჭრილი ასოების ცარიელ ჭურჭელში ჩაყრით. იგივე თამაში შეიძლება ვითამაშოთ შემდეგნაირად: ასოები არის თავზები, მათზე ვამაგრებთ პატარა სკრეპებს, თოკზე კი - პატარა ანკესს. ბავშვებს შეუძლიათ"ითევზაონ" ასოებზე.

6. **რომელია ზედმეტი?:** დავურიგოთ ბავშვებს წინასწარ გამზადებული ბარათები, რომლებზეც გამოსახული იქნება ერთი და იმავე სახეობის/კატეგორიის რამდენიმე პროდუქტი და განსხვავებული სახეობის/კატეგორიის ერთი პროდუქტი. ბავშვებმა უნდა შემოხაზონ, რომელია ზედმეტი (ანუ განსხვავებული სახეობის/კატეგორიის პროდუქტი). მაგ., ბარათზე შეიძლება გამოვსახოთ ვაშლი, მსხალი, ბალი, სტაფილო და ა.შ. (იხ. ილუსტრაციები ##15, 16, 17).

8. აწონვა და გაზომვა: წავახალისოთ ბავშვები, რომ ერთმანეთს შეადარონ სხვადასხვა ნივთი (პროდუქტების მულაჟები) და დაადგინონ, რომელია ყველაზე დიდი. ამის შემდეგ, პინებიანი (თეფშებიანი) სასწორის გამოყენებით, ბავშვები აწონიან საგნებს, განსაზღვრავენ, რომელია ყველაზე მძიმე და ჩაინიშნავენ შედეგებს (ბავშვებს შეუძლიათ ჩაიხატონ, რომელ საგანზე ჩამოიწია ყველაზე მეტად სასწორის პინა, რომელზე - უფრო ნაკლებად და ა.შ.). ვამსჯელოთ იმაზე, აღმოჩნდა თუ არა ყველაზე დიდი საგანი ყველაზე მძიმე? მონაცემების ჩანიშვნა შეიძლება მარტივი ცხრილების მეშვეობით. ამისათვის ფურცელს დავყოფთ რამდენიმე ნაწილად, ბავშვები კი ჩაიხატავენ საგნებს გარკვეული კანონზომიერების დაცვით (მაგ., ყველაზე მძიმე საგნიდან ყველაზე მსუბუქამდე ან პირიქით).

9. რამდენი ჭიქა აავსებს ხილის წვენის ბოთლს? შევთავაზოთ ბავშვებს სუფთა ხილის ან რძის ბოთლი, ძაბრი, რამდენიმე ერთჯერადი ჭიქა და წყლიანი ჯამი. ბავშვებმა უნდა გამოთქვან ვარაუდები იმის შესახებ, თუ რამდენი ჭიქა წყალი ჩაეტევა ბოთლში და ჩაინიშნონ ისინი. ამის შემდეგ ბავშვები აავსებენ ბოთლს წყლიანი ჭიქებით და ნახავენ, სწორი იყო თუ არა მათ მიერ გამოთქმული ვარაუდები.

10. რა ნაწილებისაგან შედგება ხილი? ბავშვებს შევთავაზოთ ჩვენ მიერ დაჭრილი ხილი ან ბოსტნეული. გავუმახვილოთ ყურადღება ნაყოფების სხვადასხვა ნაწილზე.

12. გეომეტრიული ფიგურები: მუყაოს გადავაკრათ ფერადი ქაღალდი და დავჭრათ სხვადასხვა გეომეტრიულ ფიგურად. შევთავაზოთ ბავშვებს, ააწყონ რაიმე ,,კერძი''; შემდეგ ვთხოვოთ დათვალონ, რამდენი და რომელი გეომეტრიული ფიგურა დასჭირდათ ამისათვის.

13. გაიგე სიტყვა: ჩამოვთვალოთ სიტყვები. თუ ბავშვები გაიგებენ ხილის სახელს, ტაშს შემოკრავენ. შემდგომ დღეებში შეგვიძლია გავართულოთ აქტივობა - ბავშვები ტაშს შემოკრავენ ხილზე, მარჯვენა ხელს ასწევენ ბოსტნეულზე და ა.შ.

მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება

შაქარყინულის ფერიის ცეკვა: მოვასმენინოთ ბავშვებს ნაწყვეტი პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტიდან “მაკნატუნა” და ვთხოვოთ, თავისუფალი მოძრაობებით იცეკვონ მუსიკაზე.

როლური თამაში

მაღაზიაში: ამ თამაშის დროს ბავშვები გაინაწილებენ მყიდველის, კონსულტანტის, მოლარის როლებს. შეარჩევენ სასურველ "პროდუქტებს" წინასწარ შედგენილი გრაფიკული ცხრილების მიხედვით, გადაიხდიან "ფულს".

მე – 6 კვირა

თემა: „ჩემი უბანი"

თემის მიზანია ბავშვებისთვის მათი საცხოვრებელი გარემოს გაცნობა. თემის შესწავლის ხანგრძლივობაა სამი კვირა. პირველი კვირის განმავლობაში ბავშვები გაეცნობიან თავიანთ უბანს, მის ძირითად ინფრასტრუქტურას, ტრანსპორტის ნაირსახეობებს, ქუჩაში მოძრაობის წესებს, პარკებისა და სკვერების დანიშნულებას.

თემის მეორე კვირა ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას, რომ გაეცნონ: როგორი სახლები არსებობს ჩვენ გარშემო. როგორია ჩვენი ეზოები, რა დეტალებისგან შედგება სახლები და ეზოები; როგორ სახლებში ცხოვრობენ ზღაპრების გმირები, რა გეომეტრიულ ფორმებს ვხვდებით ქალაქსა თუ სოფელში.

მესამე კვირა ეთმობა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს: ექიმებს, სტილისტებს, მზარეულებს, მასწავლებლებს, მეეზოვეებს.

თემაზე მუშაობისას ბავშვებს ექნებათ საშუალება, აწარმოონ დაკვირვებები თავიანთ უშუალო გარემოზე, დააჯგუფონ საგნები გარკვეული ნიშნის/ნიშნების მიხედვით, ითამაშონ ერთმანეთთან და განივითარონ სამეტყველო და ფონოლოგიური უნარები.

თემა – ჩემი უბანი – I კვირა

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივიდუალიზება	ვსაუბრობთ თემაზე ,,ჩემი უბანი''. განვიხილავთ უბანში არსებულ შენობა-დაწესებულებებსა და მათ დანიშნულებას, მიმდებარე პარკებს, ეზოებსა და სკვერებს.	**აქტივობა-**„უბნის რუკა" წინა დღეს მშობლებს ვთხოვთ, რომ ყურადღება გაუმახვილონ ბავშვებს ახლომდებარე შენობებზე.	ვკითხულობთ ნ. დუმბაძის : „ავტობიოგრაფიას".	**მოძრავი თამაში**: „ჭაობი".	**აქტივობა:** გაამთლიანე სიტყვები **აქტივობა:** რკალები	ვმღერით სიმღერას - (ნებისმიერი საბავშვო სიმღერა (თქვენი არჩევანით)	შეჯამება: ვკითხოთ ბავშვებს რა გააკეთეს დღეს ისეთი, რაც სხვა დროს არ გაუკეთებიათ? რა მოეწონათ ყველაზე მეტად და რატომ?

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები, რესურსები		წინასწარ ვამზა-დებთ ე.წ. რუკებს.	წიგნი	ცარცი	წინასწარ მომზადებუ-ლი ტექსტი; „რუკები“; ფურცლები; ფანქრები (ფლომასტერები)	სიმღერის ჩანა-წერი	
სამშაბათი ინდივიდუ-ალიზება	ვსაუბრობთ პროექტზე-„ჩემი უბანი“ შემდგომი სამი კვი-რის მანძილზე ვიმუ-შავებთ ამ თემებთან დაკავშირებული „წიგ-ნები-ს“ შექმნაზე. პროექტზე მუშაობას ვიწყებთ ტრანსპორ-ტის თემით. განვიხილავთ, რა არის ტრანსპორტი და რის-თვის არის ის საჭირო. რა სახის ტრანსპორ-ტი არსებობს? რა აქვს საერთო სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტს? რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?	**აქტივობა** „შეადა-რე ერთმანეთს” **თამაში -** ,,კარგი შეკითხვაა”. **პროექტი“ ჩემი უბანი“**-ხატავენ სხვადასხვა სახის ტრანსპორტს.	ვკითხუ-ლობთ მ. წიკლაურის ლექსს: „ავტომანქა-ნა”	„არ გაგი-ვარდეს ბურთულა“ „განასახიერე თვითმფრი-ნავი, მოტოციკ-ლეტი, ავტობუსი“	**თამაში:** „დააჯგუფეთ სატრანსპორტო საშუ-ალებები“ **აქტივობა**- „შევქმნათ გრაფიკი“	ვუსმენთ და გამოვიცნობთ სხვადასხვა სახის ტრანს-პორტის ხმის ჩანაწერს. ვუსმენთ ნების-მიერ საბავშ-ვო სიმღერას (თქვენი შერჩე-ვით).	ვკითხოთ ბავშ-ვებს, თუ რას მოუყვებიან მშობლებს დღე-ვანდელი დღის შესახებ? რა მო-ეწონათ ყველაზე მეტად? რა იყო საინტერესო?
მასალები, რესურსები		ტრანსპორტის სხვადასხვა სახე-ობის ნახატები; დაფა ან ფურცელი; საწერი საშუალება	წიგნი	რამდენიმე ბურთულა და სადილის კოვზები	ფურცელი; ფანქრები, ტრანსპორტის ფოტო-ები, (ფლომასტერები)	სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალების ჩანაწერი; სიმ-ღერის ჩანაწერი	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ოთხშაბათი ინდივიდუ-ალიზება	ვსაუბრობთ ქუჩაში მოძრაობის წესებზე, შუქნიშანსა და მის დანიშნულებაზე ვი-ზუალური მასალის გამოყენებით. პროექტზე მუშაობას განვაგრძობთ ქუჩაში მოძრაობის წესების თემით.	**როლური თამაში:** „ქუჩაში მოძრა-ობის წესები“ **პროექტი „ჩემი უბანი”.** ვხატავთ საკუთარ შთაბეჭ-დილებებს ქუჩაში მოძრაობის წე-სების შესახებ ან ვქმნით პლაკატებს ფეხით მოსიარუ-ლეებისათვის, მან-ქანებისათვის;	ვკითხუ-ლობთ ლექსს: „ქუჩაში,“ (მარიამ წიკ-ლაური)	**თამაში** „შემ-ხვედრი ეს-ტაფეტა“	**თამაშები:** ,,ჩემი ტრანსპორტი უფრო ჩქარია” ,,შეაგროვე 4 ცალი ერ-თნაირი ტრანსპორტი”	ვუსმენთ სიმ-ღერებს მულ-ტფილმიდან „შაქრო და ზაქ-რო“.	შევაჯამოთ რა გავიგეთ ქუჩაში მოძრაობის წესე-ბის შესახებ? ვკითხოთ, დღეს მშობელს რომ ენახა ყველაფერი, რაც დამოუკი-დებლად ან ერ-თად გავაკეთეთ, რას იტყოდა იგი? რა მოეწონებოდა?
მასალები, რესურსები	თვალსაჩინოებები	ილუსტრაციები, წიგნები ტრანსპორტის შე-სახებ; სათამაშო მანქა-ნები; შუქნიშანი; ადამიანის ფიგუ-რები; მუყაოს ყუთები; ფერადი ფურც-ლები; მაკრატელი; წებო.	ქრესტომა-თია სკო-ლამდელ-თათვის გვ.199	2 ბურთი	სახატავი საშუალებე-ბი, ილუსტრაციები ტრანსპორტისა და შუქნიშნის გამოსახუ-ლებით	სიმღერის ჩანა-წერი; მულტ-ფილმი	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ხუთშაბათი ინდივიდუ-ალიზება	ვსაუბრობთ პარკებსა და სკვერებზე. ვეკით-ხებით, სად უყვართ ყველაზე მეტად სეირ-ნობა და რატომ? ვაგრძელებთ პროექტ-ზე „ჩემი უბანი“ მუშა-ობას. ვგეგმავთ, რისი გაკეთება შეგვიძლია პარკებთან მიმართე-ბაში.	**აქტივობა**: „აღმოაჩინე მსგავ-სება და განსხვავე-ბა“. **აქტივობა -**„პიკნიკი“ **პროექტი "ჩემი უბანი“** აქტივობა - ხის ან ყვავილების თაიგულის შექმნა	ვკითხუ-ლობთ: „იის ნატვ-რა“, “მერცხალი“	თამაში ბურთით - „სდექ!“	**აქტივობა:** „მოდი, დავხატოთ“	ვუსმენთ სიმ-ღერას: “ მერცხალი “	ვკითხოთ ბავშ-ვებს, რომელი აქტივობა იყო მათთვის ყველა-ზე სახალისო? როგორ მოიქცე-ვიან, როდესაც სკვერში ან პარკ-ში წავლენ?
მასალები, რესურსები		თაბახის ფურც-ლები, ფანქრები, მარკერები სურათი პიკნიკი;	50 საბავშვო ლექსი	ორი ბურ-თულა; სა-დილის კოვ-ზები	ფურცელი; ფანქრები (ფლომას-ტერები) ქაღალდის პარკი; წებო; მაკრატე-ლი; მუყაო; ფერადი ფურცლები	სიმღერის ჩანა-წერი	
პარასკევი ინდივიდუ-ალიზება	შევაჯამოთ, რა გა-ვაკეთეთ ამ კვირის განმავლობაში. თავი მოვუყაროთ მასალას, რომელიც გავაცანით თემის (,,ჩემი უბანი'') შესწავლისას კვირის განმავლობაში.	ბავშვები აგრო-ვებენ მასალას, რომელიც შექმნეს თემის მიმდინა-რეობისას. ამასთა-ნავე ანაწილებენ დავალებებს იმი-სათვის, რომ ნამუ-შევრები წარმოად-გინონ სხვადასხვა ფორმით.	ვაკეთებთ სამახსოვრო ბუკლეტს საგზაო მოძრაობის წესების შე-სახებ.	ცეკვავენ	ბავშვები ამზადებენ უბნის მაკეტს, რუკას. გამოფენენ მათ მიერ შექმნილ ნამუშევ-რებს: ტრანსპორტს, ქუჩაში ქცევის წესებს, ხეებს და ა.შ. ვიწვევთ მშობლებს და ვათვალიერები-ნებთ ბავშვების ნა-მუშევრებს. ვაცნობთ, რომ მომავალ კვირას ჩვენ გავიცნობთ სხვა-დასხვანაირ სახლებს.	ზეიმობენ თე-მის დასრულე-ბას, ათვალიერებენ ბავშვების შექმ-ნილ წიგნებს, მონაწილეობენ კონცერტში	შევაჯამოთ მთე-ლი კვირა. ყვე-ლაზე მეტად რა მოეწონათ მათი ნამუშევრებიდან და რატომ?

საქმიანობათა ინსტრუქციები

აქტივობები

1. **უბნის რუკა (I ვარიანტი):** წინასწარ მოვამზადოთ ბარათები („უბნის რუკა“), რომლებზეც გამოსახულია სხვადასხვა შენობის კონტურები. უნდა შეირჩეს ის შენობები, რომლებიც ტიპობრივია/დამახასიათებელია ჩვენი უბნისთვის. მაგალითად, სკოლა, აფთიაქი, სამკერვალო სალონი, სამედიცინო პუნქტი და ა.შ. სასურველია, ყველა შენობას თან ახლდეს ასევე შესაბამისი სიმბოლო, თუ არის ამის საშუალება (მაგ., აფთიაქს ჰქონდეს წითელი ჯვარი, სკოლას - წარწერა „სკოლა“ და ა.შ.). ბავშვები სეირნობის პროცესში ან ჯგუფში დაბრუნებისას რუკაზე აღნიშნავენ იმ შენობებს, რომლებიც მოინახულეს; შეეცდებიან გააფერადონ და შეავსონ იმ დეტალებით, რომლებიც დაამახსოვრდათ. შეგვიძლია დავეხმაროთ ბავშვებს გახსენებაში და ვკითხოთ: ”ჩვენს ბაღთან ყველაზე ახლოს რა იყო? რით დაგამახსოვრდათ? როგორ მიხვდით, რა შენობა იყო ეს? რისთვის დადიან იქ ადამიანები? რა ფერის იყო შენობა?” და ა.შ.

2. **უბნის რუკა (II ვარიანტი):** თუ გასეირნება შეუძლებელია უბნის თუნდაც მცირე მონაკვეთზე, „უბნის რუკის“ შექმნა შეგვიძლია სამუშაო ჯგუფშიც. მივცეთ ბავშვებს ფორმატის ქაღალდი და ვთხოვოთ, შექმნან „უბნის რუკის“ საკუთარი ვერსია (გაიხსენეთ, რა შენობებია თქვენს უბანში?). ბავშვებს შეუძლიათ დახატონ სხვადასხვა შენობა (მაღაზიები, სამედიცინო პუნქტები და ა.შ.) ან გააკეთონ აპლიკაციები წინასწარ გამოჭრილი ფიგურების გამოყენებით. სასურველია, რომ ბავშვებმა თვითონ აითვისონ ფურცლის სივრცე. გეზისმიმცემი (მიმანიშნებელი) კითხვებით დავეხმაროთ გზების დახატვასა და შენობების ერთმანეთთან დაკავშირებაში. დღის დასასრულს ბავშვებს შეუძლიათ სახლში წაიღონ მათ მიერ შექმნილი „უბნის რუკა“ და მშობლებთან ერთად შეავსონ/სრულყონ ნამუშევარი: დაამატონ შენობები და/ან გააფორმონ და გაალამაზონ.

3. **აღმოაჩინე მსგავსება და განსხვავება:** შევთავაზოთ ბავშვებს, დახატონ პარკი, სადაც ისინი სეირნობენ ხოლმე ან ხალისით ისეირნებენ. ვთხოვოთ ასევე დახატონ, ვისთან ერთად უყვართ პარკში ყოფნა (შეეცადონ იმის ასახვასაც, თუ ვინ რას აკეთებს პარკში ყოფნისას). მუშაობის დასრულების შემდეგ ყველანი განიხილავენ ნახატებს: ამბობენ, რატომ მოსწონთ ან არ მოსწონთ პარკში თამაში, შეადარებენ ნახატებს, აღმოაჩენენ მსგავსებებსა და განსხვავებებს ერთმანეთის ნახატებში.

4. **პიკნიკი:** ბავშვებს ვუჩვენებთ სურათს ან ფოტოს, რომელზეც პიკნიკზე მყოფი ადამიანები არიან გამოსახული და ვთხოვთ მოგვიყვნენ, რა ხდება ნახატზე. შეგვიძლია დავეხმაროთ გეზისმიმცემი (მიმანიშნებელი) შეკითხვებით: რამდენი ადამიანია გამოსახული ნახატზე? როგორ ფიქრობთ, ვინ არიან ეს ადამიანები ერთმანეთისთვის? რა მიზნით არიან აქ? როგორია მათი განწყობა (დავაზუსტებინოთ, როგორ მიხვდნენ პერსონაჟების განწყობას)? ვინ რას აკეთებს? რას აკეთებს ბიჭუნა? გოგონა? დედა? მამა? როგორი ამინდია? მიჩვენე, სად არის ძაღლი? რამდენი ბუშტია გამოსახული? და ა.შ. (იხ. ილუსტრაცია #18).

წესებიანი თამაშები / მოძრავი თამაშები

1. **კარგი შეკითხვაა:** ვთხოვოთ ერთ-ერთ ბავშვს, ჩაიფიქროს რომელიმე სატრანსპორტო საშუალება, დანარჩენებს კი შევთავაზოთ, დასვან შეკითხვები ჩაფიქრებულის ამოსაცნობად. ბავშვები სვამენ კითხვებს მანამდე, სანამ ვინმე არ გამოიცნობს. შევთავაზოთ ბავშვებს, დასვან არსებითი კითხვები იმგვარი ფორმულირებით, რომ პასუხი იყოს მხოლოდ ,,კი'' ან ,,არა'' (მაგ., ფრთები აქვს? ცაში დაფრინავს? მიწაზე დადის? და ა.შ.). შემდეგ სიტყვას ჩაიფიქრებს ის ბავშვი, რომლის მიერ დასმული კითხვის შემდეგაც ამოიცნეს ჩაფიქრებული სიტყვა,

3. **ჭაობი:** ბავშვები იატაკზე ან მიწაზე ხატავენ რგოლებს. ეს რგოლები საყრდენია/მყარი მიწაა, დანარჩენი ადგილები - „ჭაობი“. გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ რგოლებზე. ბავშვები ცდილობენ ისე გადაადგილდნენ, რომ ჭაობში არ ჩაეფლონ. „ჭაობში ჩაფლული“ ბავშვები სხდებიან სკამებზე და იქიდან ადევნებენ თვალყურს დანარჩენი ბავშვების მოძრაობებს. ნელ-ნელა შესაძლებელია თამაშის გართულება - ამისათვის დავაშოროთ ერთმანეთს რგოლები ან დავაპატარავოთ და გავზარდოთ მათ შორის არსებული სივრცე. თამაში გრძელდება მანამდე, სანამ ყველა ბავშვი სკამზე არ აღმოჩნდება ან სანამ ბავშვებს არ შევამჩნევთ თამაშისადმი ინტერესის დაკარგვას.

4. **ვიმოძრაოთ წესების დაცვით:** ოთახში ”გაგვყავს გზები”; ორ ადგილზე ვაყენებთ ცოცხალ „შუქნიშანს“ - ორ ბავშვს, რომლებიც შუქნიშნის ფუნქციას ასრულებენ: მათ ხელში უჭირავთ სამი ფერის ბარათი. მათი ჩვენებით ბავშვები არეგულირებენ მოძრაობას. შეგვიძლია ასევე შევქმნათ შლაგბაუმიანი ადგილი. შლაგბაუმი შეიძლება იყოს ნებისმიერი გრძელი ნივთი, რომელსაც ერთ-ერთი ბავშვი დაიკავებს ხელში. ერთ ადგილას გავაკეთებთ ”ზებრასაც” (პარალელური ხაზებით მონიშნული გადასასვლელი ფეხით მოსიარულეთათვის). დანარჩენი ბავშვები დავყოთ ”მანქანებად” და ”ფეხით მოსიარულეებად”. თუ ბაღს აქვს ეზო და ველოსიპედებით სარგებლობის საშუალება, შესაძლებელია ერთი დღე დაეთმოს მოძრაობის წესებს ველოსიპედით მოსიარულეებისთვის. ამგვარად უფრო მეტ საგზაო ნიშანს გამოვიყენებთ და თამაშიც უფრო სახალისო გახდება.

5. **არ დაგივარდეს ბურთულა**: ბავშვებს ვაძლევთ კოვზებს, რომლებზედაც მოვათავსებთ პატარა ბურთულებს. ჩვენს ნიშანზე მოთამაშეებმა კოვზზე დადებული ბურთულით უნდა გადაკვეთონ ფინიშის ხაზი (ისე, რომ ბურთულა ძირს არ დაუვარდეთ). თამაში მთავრდება მაშინ, როცა ყველა მონაწილე მივა ფინიშამდე. შეიძლება ამ თამაშს მივცეთ შეჯიბრის სახეც. შეჯიბრის მოსაწყობად

ჯგუფი უნდა გავყოთ ორ გუნდად; მოთამაშეები ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ უკან ბრუნდებიან და თავიანთ გუნდელს გადასცემენ კოვზს. გამარჯვებული იქნება ის გუნდი, რომელიც პირველი დაასრულებს თამაშს. ის მონაწილე, რომელსაც კოვზიდან ბურთულა ჩამოვარდება, უბრუნდება საწყის წერტილს და თავიდან იწყებს სვლას.

6. **შემხვედრი ესტაფეტა**: ჯგუფი იყოფა ორ გუნდად. ბავშვები ატარებენ ბურთს და ტარებისას ისე გადასცემენ ერთმანეთს, რომ ბურთი ძირს არ დავარდეს. ბურთის დავარდნის შემთხვევაში მონაწილე ისევ საწყისი პოზიციიდან იწყებს ბურთის ტარებას. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც პირველი დაასრულებს თამაშს.

7. **თამაში ბურთით „სდექ“** - ბავშვები დგებიან წრეზე და ერთმანეთს ესვრიან ბურთს. აღმზრდელის შეძახილზე, ”სდექ!”, ბავშვებმა ბურთი სწრაფად უნდა გააგდონ ხელიდან. ვინც ბურთის გაგდებას ვერ მოასწრებს, ის ტოვებს წრეს და სკამიდან ადევნებს თვალყურს თანაგუნდელების თამაშს.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **გაამთლიანე სიტყვები:** ვდგებით წრეზე. ბავშვებს ვეუბნებით, რომ ვესვრით ბურთს და სროლისას დამარცვლით ვეტყვით სიტყვას, მათ კი უნდა გამოიცნონ, რა სიტყვას ვეუბნებით. იმ ბავშვმა, რომელსაც ბურთი ვესროლეთ, უნდა გვითხრას გამთლიანებული სიტყვა და ბურთი უკან დაგვიბრუნოს (მაგ., ვესვრით ბურთს რომელიმე ბავშვს და ვეუბნებით: ,,დე-და'', ბავშვი გვეუბნება გამთლიანებულ სიტყვას - „დედა“ და უკან გვიბრუნებს ბურთს). თუ ბავშვი ვერ გვპასუხობს, ჩვენ განმეორებით დავმარცვლავთ და ვეუბნებით გამთლიანებულ სიტყვას. ბავშვი იმეორებს და გვიბრუნებს ბურთს. თამაშს ვიწყებთ ორმარცვლიანი სიტყვებით. სიტყვებში მარცვლების რაოდენობის გაზრდა დამოკიდებულია ბავშვების შესაძლებლობებზე.

2. **რკალები:** ბავშვებს შევახსენებთ, რომ სიტყვები შედგება მარცვლებისგან და ნიმუშის მისაცემად ვმარცვლავთ რომელიმე სიტყვას. ბავშვებს ავუხსნათ, რომ თითოეული მარცვალი შეგვიძლია გამოვხატოთ რკალით (მაგ., სიტყვისთვის ,,დედა'' ორი რკალი დაგვჭირდება). დავხატოთ რკალები სხვადასხვა რაოდენობით (ერთი რკალი, ორი რკალი, სამი რკალი). დავუსახელოთ ბავშვებს სიტყვები. მათ ტაშის დაკვრით უნდა დამარცვლონ დასახელებული სიტყვები; თქვან, რამდენი მარცვალია სიტყვაში და მიგვითითონ შესაბამისი რაოდენობის რკალებზე. ამ აქტივობის შესრულება შეგვიძლია მთელი კვირის განმავლობაში, სხვადასხვა სიტყვის გამოყენებით.

3. **დავაჯგუფოთ სატრანსპორტო საშუალებები:** ბავშვებს ვაძლევთ ბარათებს/სტიკერებს, რომლებზეც გამოსახულია სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალება *ან* ვაძლევთ სათამაშო ტრანსპორტს (სხვადასხვა ტიპის სათამაშო მანქანებს) და ვთხოვთ, დააჯგუფონ ისინი სხვადასხვა ნიშნის (მაგ., სისწრაფის, ზომის, ფორმისა და ფერის, სივრცეში გადაადგილების ხერხის, სხვ.) მიხედვით. თავდაპირველად ბავშვებს დაჯგუფება შეუძლიათ მათთვის სასურველი ნიშნის მიხედვით, შემდეგ კი ჩვენ შევთავაზებთ დაჯგუფების სხვა ვარიანტებს (მაგ., საჰაერო ტრანსპორტის სახეობებს).

4. **შევქმნათ გრაფიკი:** ბავშვებს ვთხოვთ, დახატონ მათთვის ყველაზე საინტერესო/საყვარელი სატრანსპორტო საშუალება. ჩვენ წინასწარ გავამზადებთ ცხრილს, რომელსაც ბავშვები ორმაგი სკოჩით მიამაგრებენ მათ მიერ დახატულ ერთი სახეობის ტრანსპორტს. ამის შემდეგ ვითვლით, რომელი ტრანსპორტი მოსწონს ჩვენს ჯგუფში ყველაზე ბევრ ბავშვს, შემდეგ ვითვლით, რომელი მოსწონს ყველაზე ცოტას.

5. **ჩემი ტრანსპორტი უფრო სწრაფია:** თამაშში მონაწილეობას ღებულობს 7 ბავშვი. სასურველია, გვქონდეს წინასწარ მომზადებული 28 ბარათი 4 სახეობის ტრანსპორტის გამოსახულებით. თამაშის პირობა ამგვარია: ველოსიპედი უფრო ნელია, მასზე უფრო სწრაფია მოტოციკლეტი, მოტოციკლეტზე უფრო სწრაფია ავტომანქანა; დაბოლოს, ყველაზე სწრაფია თვითმფრინავი. ბავშვები სხედან მაგიდის გარშემო. თითოეულ მათგანს 4 ბარათი აქვს. ბარათები აწყვია ისე, რომ სურათები არ ჩანს. ბარათს ჯერ ამოატრიალებს ერთი ბავშვი, შემდეგ - მისგან მარჯვნივ მჯდომი. ორივენი ნახულობენ ბარათებს. იმ ბავშვს, რომელსაც უფრო სწრაფი ტრანსპორტის სახეობა შეხვდება, ორივე ბარათი (თავისი და მეორე ბავშვის) მიაქვს. ამის შემდეგ თამაშს აგრძელებს შემდეგი წყვილი. ასე გრძელდება მანამდე, სანამ ბოლო ბავშვი არ გადმოატრიალებს თავის ბარათს. თუ თანამეწყვილეები ერთსა და იმავე ტრანსპორტის სახეობას გადმოაბრუნებენ, ამბობენ: "ერთნაირია!", უკან აბრუნებენ ბარათებს და თავიდან აიღებენ ახლებს. სასურველია, რომ თითოეულმა ბავშვმა ორი ხელი მაინც ითამაშოს.

6. **4 ცალი ერთნაირი- შეაგროვე ტრანსპორტი:** მონაწილეებს ვყოფთ 4-კაციან ჯგუფებად. თამაშისთვის გვჭირდება 32 ბარათი სხვადასხვა ტრანსპორტის გამოსახულებით. ბარათები შეიძლება შედგებოდეს 3 მსხვილი ჯგუფისგან. ესენია: საჰაერო საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტი (სახმელეთო ტრანსპორტი შეიძლება დავყოთ ავტომობილებად და ველოსიპედებად). ბავშვები შემთხვევითი შერჩევით იღებენ ოთხ ბარათს. მათი მიზანია, შეაგროვონ ოთხი იდენტური ან ერთი სახეობის ტრანსპორტი (ოღონდ წინასწარ უნდა შევთანხმდეთ, კონკრეტულად, რა პრინციპით ვიმოქმედებთ შეგროვების დროს). მაგიდაზე გვიწყვია კიდევ 16 ბარათი, თამაშის მსვლელობისას ბავშვები მაგიდიდან იღებენ თითო ბარათს. მათ თავად უნდა გადაწყვიტონ, თუ რომელ (რომელი სახეობის) ტრანსპორტს შეაგროვებენ. თუკი მოთამაშე გადაწყვეტს ახლად აღებული ბარათის თავისთვის დატოვებას, უნდა დააბრუნოს ერთი, მისთვის არასასურველი ბარათი. ასე გრძელდება მანამდე, სანამ მეორე, მესამე და ა.შ ბავშვი არ შეაგროვებს სასურველ ბარათებს (იხ. ილუსტრაცია # 19, 20).

7. **მოდი, დავხატოთ:** ბავშვები წყვილ-წყვილად სხდებიან ერთმანეთის პირისპირ. თითოეულს აქვს ფანქარი და ფურცელი. მათ შორის, მაგიდის შუაში, ტიხარია აღმართული, ასე რომ ვერცერთი მხარე ვერ ხედავს მოპირდაპირე მხარეს მსხდომებს. ერთ-ერთი მონაწილე მოიფიქრებს, რისი დახატვა სურს (ფრინველის, ხის, ყვავილის, სხვ.) და ხატავს; შემდეგ უხსნის მოპირდაპირე მხარეს მჯდომ ჯგუფელს, თუ როგორ უნდა დახატოს იგივე, თუმცა თავად საგანს არ ასახელებს - მხოლოდ აღწერს და ეხმარება დამაზუსტებელი მითითებებით (უხსნის, როგორ უნდა დახატოს). ამის შემდეგ იღებენ ტიხარს და ერთმანეთს უდარებენ ნახატებს.

8. **სამახსოვრო ბუკლეტი „ვიმოძრაოთ წესების დაცვით“:** გავესაუბროთ ბავშვებს საგზაო მოძრაობის წესებზე. გავიხსენოთ ყველა ის წესი, რომლებზედაც შევთანხმდით. თითოეულ ჯგუფს სამუშაოდ მივცემთ ორ წესს (შესაძლებელია თითო-თითო წესის მიცემაც). მაგალითად: გადავიდეთ "ზებრაზე", დაველოდოთ შუქნიშნის მწვანე შუქს, ვიაროთ ტროტუარზე და ა.შ. დავურიგოთ ბავშვებს ფორმატის ქაღალდები და დავეხმაროთ მიცემული წესის ფორმატზე დახატვაში ან შესაბამისი აპლიკაციის გაკეთებაში. ამის შემდეგ ჯგუფს წარვუდგენთ ყველა ნამუშევარს. წარდგენის შემდეგ ავკინძოთ ეს მასალა (ფორმატის ქაღალდები), გავუკეთოთ ლამაზი ყდა და დავეხმაროთ ბავშვებს შექმნილი "წიგნის" დასათაურებაში. თავად "წიგნი" მოვათავსოთ თვალსაჩინო ადგილას.

პროექტები

1. **პროექტი "ჩემი უბანი** - ტრანსპორტი": ბავშვები ხატავენ ან ქმნიან სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტს. ეს შეიძლება იყოს თვითმფრინავები ბოთლებისა და მუყაოს გამოყენებით. ქვემოთ მოცემულ სურათზე წარმოდგენილია ამ მასალების გამოყენებით შექმნილი ნამუშევრები.

2. **პროექტი "ჩემი უბანი - მოძრაობის წესები"**: ბავშვები ქმნიან დიორამას „ჩემი უბანი“. ამ მიზნით ისინი კვირის განმავლობაში ამზადებენ და აგროვებენ დეტალებს: მუყაოსაგან ამზადებენ სხვადასხვა შენობას, აწებებენ მათზე საიდენტიფიკაციო ლოგოებს, აკეთებენ გზებს, ძერწავენ შუქნიშანსა და ადამიანებს (შესაძლებელია ასევე მათი მუყაოსგან გამოჭრაც) ათავსებენ დიორამაზე პატარა სათამაშო მანქანებს.

შენობები შეიძლება შევქმნათ პატარა ყუთებისგან/კოლოფებისგან. ამისათვის მათ ქაღალდებს დავაწებებთ და მოვხატავთ. პროექტის მთავარი მახასიათებელია ის, რომ მთელი კვირის განმავლობაში მზადდება მხოლოდ დეტალები, რომლებიც ბოლო ეტაპზე გამთლიანდება ერთიანი ნამუშევრის - დიორამის სახით.

3.

პროექტი "ჩემი უბანი - ხის/ყვავილების თაიგულის შექმნა": პროექტისთვის დაგვჭირდება შოკოლადის/კექსის შესაფუთი ან გამოსაცხობი ქაღალდები, გავაფერადოთ ისინი მარკერებით ან საღებავებით. ქაღალდებზე შეგვიძლია ასევე დავაწებოთ სხვადასხვა ფერის ბრჭყვიალა ქაღალდები, მძივები და ა.შ. ღეროს ნაცვლად შეგვიძლია გამოვიყენოთ საწრუპი ჯოხები.

დასასრულ, ბავშვებთან ერთად მოვაწყობთ კვირის განმავლობაში შესრულებული ნამუშევრების გამოფენას.

წიგნის დრო

ავტობიოგრაფია

დედიკო მყავს სტუდენტი,
მამა - არქიტექტორი,
ბებო - თვალის ექიმი,
ბაბუა კი - ლექტორი,
მიყვარს ბევრი ძილი და
უფრო ბევრი თამაში,
ჯერჯერობით ვერვინ მჯობს
ტირილსა და ჭამაში.
სახლი მიდგას ვერაზე,
ნომერი აქვს წაშლილი,
თუ დაგჭირდით, იკითხეთ
ლევან მაჭარაშვილი.

ნ.დუმბაძე

***

ავტომანქანა

ჩემი ავტომანქანა
დავქოქე და გაქანდა.
პი, პი, მიჰქრის გზაზე, ასჯერ სწრაფად სხვაზე.
ეშინია ბარბის:
-რა გიჟივით გარბის.
გადაკვეთა ქუჩა,
მოედანი, სკვერი,
გადააგდო გზიდან
ურიკა და ცხენი,
მუხრუჭები არ აქვს,
გარბის, ჰერი, ჰერი.
აადინა მტვერი
კუთხესა და კუნჭულს,
ფრთა მოსტეხა ლამის
ბატის ყვითელ ჭუჭულს.
შუქნიშანი ბრაზობს:
რად არ იცავ წესრიგს?
წითელს ვანთებ:-სდექ, სდექ!
შენ მაინც არ გესმის!
ქვეითი და მგზავრი
შეაშინე ყველა,
ბარბი ისევ ყვირის:
-ნელა, ნელა, ნელა!
დავუძახოთ პატრულს,
გააჩერებს ხელად.
დათუნია ბრაზობს:
-ვაი, თავი, თავი!
დაეჯახე ვაგონს!
პასუხი ვინ აგოს?
-ვინ და მძღოლმა,-
ამბობს დამსხვრეული ავტო.
აღარ ვეთამაშები
უწესრიგო პატრონს!

მ. წიკლაური

ქუჩაში

შუქნიშნისთვის მთავარია,
რომ არ მოხდეს ავარია.
სადაც მგზავრის და ტრანსპორტის
ადგილი და სავალია,
საამისო მიზეზები,
სამწუხაროდ, მრავალია.

გვავალია, დავუჯეროთ
წითლად, ყვითლად, მწვანედ მაშუქს,
შეუცდომლად აწესრიგებს
შუქნიშანი ყველას მარშრუტს.

თუ წითელი ანთია,
სდექ! არ წადგა ბიჯიც,
თუნდაც იყო ყველაზე
გაბედული ბიჭი.

თუ ყვითელი ანთია,
ცოტა ხანიც ადროვე!
მალე შეაჩერებენ
ლამაზ-ლამაზ ავტოებს.
როცა მწვანე ანთია,
გზა შენია, გასწი!

მ. წიკლაური

შუქნიშანი

ჩვენ გავჩერდით. სხვა მანქანებიც გაჩერდნენ. აღარც ტრამვაი მოდიოდა. მე დავიყვირე:

- რატომ?

დედამაც იკითხა:

- ყველა რად გაჩერდა? რა მოხდა? - და აქეთ-იქით დაიწყეს ცქერა.

მძღოლი კი გვეუბნება:

- ხედავთ წითელ შუქნიშანს?

დედა ეკითხება:

- სად, სად არის?

მძღოლი თითით უჩვენებს.

მე და დედამ მაღლა, მავთულზე, შუქნიშანი დავინახეთ - წითლად ანათებდა!

ნეტავი დიდხანს ვიქნებით გაჩერებული? - იკითხა დედამ.

- არა, აი, გაივლის ყველა, ვისაც ჩვენს ქუჩაზე უნდა გადასვლა და მერე წავალთ, - მიუგო მძღოლმა.

ყველა წითელ შუქნიშანს შესცქეროდა. უცებ იქ ყვითელი შუქი აენთო. მერე მწვანე და მძღოლმა თქვა:

- ახლა შეიძლება წასვლა. მწვანე შუქია!

ჩვენ წავედით.

გვერდით მეორე ქუჩა გადიოდა. აქ ყველა ავტომობილი გაჩერებული იყო და ჩვენ არავინ დაგვჯახებია, გვიცდიდნენ, რომ გაგვევლო.

მერე ქუჩაზე ერთგან კიდევ აენთო წითელი შუქნიშანი.

მე უკვე ვიცოდი, რა იყო და დავიყვირე:

- ძია, გაჩერდით! წითელი შუქია!

მძღოლმა ავტომობილი გააჩერა, მოიხედა და მითხრა:

- ყოჩაღ, ბიჭო!

ცოტა კიდევ გავიარეთ და გავჩერდით, იქ უკვე არავითარი შუქი არ ენთო. ოღონდ დავინახე, ქუჩაში ძალიან მაღალი პოლიციელი იდგა, რომელსაც ხელი მაღლა აეწია.

მერე მან ხელი გააქნია, რომ გაგვევლო.

ასწევს თუ არა პოლიციელი ხელს, - ყველაფერი ჩერდება: ავტომობილებიც, ტრამვაებიც და ცხენებიც. მხოლოდ ადამიანებს შეუძლიათ სიარული. ქუჩაში პოლიციელი ყველაზე მთავარია.

ბორის ჟიტკოვი

მე – 7 კვირა

თემა: ჩემი უბანი (როგორ სახლებში ვცხოვრობთ?) – II კვირა

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივიდუალიზება	მოსვლის დაფიქსირება; საუბრის თემა: რა მოგვწონს ჩვენს სახლებში?	**აქტივობა** ,,დაახასიათე სახლი.'' **წესებიანი თამაში** ,, გამოიცანი დეტალი.'' **წესებიანი თამაში** ,,არ გამოტოვო სიტყვა''	ზღაპარი ”სამი გოჭი”	,,4 სტიქია''	ამბის შედგენა ლოტოს ბარათებით. რკალები და თითები	,,გაცოცხლებული ეპიზოდი''	შეჯამება: რა გავაკეთეთ დღეს, რაც ახალი და საინტერესო იყო თქვენთვის? გაიგეთ, როგორი სახლები შეიძლება არსებობდეს? განიხილეთ და შეადარეთ ინფორმაციული ცხრილები.
მასალა/ რესურსები	თაბახის ფურცლები, სახატავები	ცხრილი სახლის დეტალებით (იხ, საქმიანობათა აღწერაში). ბარათები სახლის დეტალებით (შეგვიძლია მათი გამოჭრა ძველი ჟურნალებიდან)	ზღაპარი ”სამი გოჭი”		ლოტო	ილუსტრაციები ზღაპრიდან ”სამი გოჭი”	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
სამშაბათი ინდივი-დუალი-ზება	**აქტივობა:** შევქმ-ნათ სასურველი სახლის ესკიზი	**აქტივობა**: ,,გეომეტრიული ფიგურებისგან სახლის აწყობა''; **აქტივობა** ,,დახატე სახლი ნიმუშის მიხედვით''; **როლური თამაში** - ,,კალატოზი''; **პროექტი:** ,,ვაშენებთ სახლებს კუბურებისგან''.	ჰანს ქრისტიან ანდერსენის ”თოვლის დედოფალი”	წვიმა	აფიშის შექმნა	,,მუსიკის ხატვა”	ვკითხოთ ბავშვებს, თუ რა იყო დღეს ყველაზე საინტერე-სო? რის შესახებ მოუყ-ვებიან ოჯახის წევრებს დღეს? რა ისწავლეს, როგორ შენდება სახლი?
მასალა/ რესურსე-ბი	სახლების ესკი-ზების ფოტოები, თაბახის ფურც-ლები	გეომეტრიული ფიგურები; ნიმუშები სახლის გამოსახულებით; თაბახის ფურცლები; კუბები.	ჰანს ქრისტიან ანდერსენის ,,თოვლის დედოფალი''		ლოტოს ბარათები ფორმატის ფურცლები, ფლომასტერები, ქაღალდის წებო.		

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ოთხშაბათი ინდივიდუალიზება	მივესალმოთ ბავშვებს, ვკითხოთ თუ გაუზიარეს ოჯახის წევრებს გუშინდელი დღის შთაბეჭდილებები? **მოძრავი თამაში:** „გაიმეორე ჩემი მოძრაობა''	**აქტივობა** ,,გააფერადე სახლი''; **პროექტი**: ვაშენებთ სახლს სხვადასხვა მასალისგან''; **როლური თამაში** ,,კმაყოფილი მშენებელი"; **წესებიანი თამაშები.** ჩემი სახლი უფრო მყარია''	ჰანს ქრისტიან ანდერსენის ,,თოვლის დედოფალი''; ლექსის წაკითხვა მოძრაობების შესრულებით	წიგნი "ჰიპ-ჰოპ''	,,იპოვე განსხვავება და გადახაზე".	,,ხმის ლოტო''	ვკითხოთ ბავშვებს, დღეს რა მოეწონათ ყველაზე მეტად? რომელ აქტივობას ვასწავლით ჩვენი ოჯახის წევრებს? როგორ ესმით, რას ნიშნავს *მყარი სახლი*?
მასალა/ რესურსები		გასაფერადებელი; ყუთები, ფერადი ქაღალდები, მაკრატელი, წებო; სახლის ბარათები.	ჰანს ქრისტიან ანდერსენის "თოვლის დედოფალი"; ლექსი ,,ხურო''		განსხვავების შემცველი ნახატები	კონსერვის ქილები, ღილები, ხურდა, კენჭები და ა.შ	
ხუთშაბათი ინდივიდუალიზება	მივესალმოთ ბავშვებს. ვუთხრათ, რომ ჩვენ ყველანი დილიდანვე შევეცდებით, ვიყოთ ძალიან ყურადღებიანი. **აქტივობა:** „ დასახელე სწორად"	**პროექტი:** ,,ქალაქის შექმნა''; **წესებიანი თამაში** ,,დამალული საგნის პოვნა''; **როლური თამაში** ,,ტურისტები და გიდები ".	წიგნები:"365 ძილისპირული ამბავი" (99-ე გვერდი), "დეკორატორი ტედი''.	,,გადაეცი საჩუქარი''	ასოებიანი ლოტო	მუსიკალური ქანდაკებები	მოვაწესრიგოთ ოთახი ბავშვებთან ერთად, ვკითხოთ, თუ რომელ აქტივობას ასწავლიან დღეს სახლში?

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალა/ რესურსები		წებოვანი ლენტი; ფერადი ფურცლები; პლასტილინი; ყუთები.	წიგნი ”365 ძილისპირული ამბავი”		ცხრილი ასოებით დაღილები.	მაგნიტოფონი, დისკი	
პარასკევი ინდივიდუალიზება	მივესალმოთ ბავშვებს. **თამაში:** „გაიხსენე სიტყვა“	**პროექტი** ,,ოთახის გალამაზება**”;** **აქტივობა** ,,განსხვავებული სახლები”; **როლური თამაში:** ,,სახლების ყიდვა-გაყიდვა’’; **წესებიანი თამაში:** გართულებული ვერსია	ძმები გრიმების ,,რაპუნცელი’’	დეტექტივი	,,დახატე ჩემი სახლი’’	,,მუსიკის ხატვა”	ბავშვებს ვკითხოთ, თუ რა იყო ამ კვირაში მათთვის ყველაზე დასამახსოვრებელი? რა ისწავლეს მათ ახალი და სასიამოვნო?
მასალა/ რესურსები		მუყაოს ყუთები, ფერადი ფურცლები, მაკრატელი, სახლის ფოტოები ძველი ჟურნალებიდან.	ძმები გრიმების ,,რაპუნცელი’’		სახლის გამოსახულება	თაბახის ფურცლები, ფანქრები.	

საქმიანობათა ინსტრუქციები

აქტივობები:

1. **დაახასიათე სახლი**: შევთავაზოთ ბავშვებს ორი განსხვავებული სახლის სურათი. ვკითხოთ, რით ჰგავს ეს ორი სახლი ერთმანეთს? გამოვკვეთოთ და ჩამოვაყალიბოთ ბავშვების მოსაზრებები. დავეხმაროთ ბავშვებს იმის გააზრებაში, რომ ორივე არის სახლი, მაგრამ მათ აქვთ სხვადასხვა სიმაღლე და ფერი (ან აშენებულია სხვადასხვა მასალისგან); ზოგ სახლს სამკუთხედის ფორმის სახურავი აქვს, ზოგს - ბრტყელი; ზოგს აქვს საკვამური, ზოგს - არა და ა.შ. (გავითვალისწინოთ, რომ თავდაპირველად ბავშვმა შესაძლოა მხოლოდ ერთი თვისება აღიქვას. ასეთ შემთხვევაში სხვა თვისებებზეც გავუმახვილოთ ყურადღება).

ამ საუბრის შემდეგ შევთავაზოთ ბავშვებს სხვადასხვა სახლის გამოსახულებები და დავეხმაროთ მათ აღწერაში ზემოთ დასახელებული ნიშნების მიხედვით. წინასწარ გამოვაკრათ ცხრილი, რომელიც ბავშვებს დაეხმარება სახლების დამახასიათებელი ნიშნების აღქმაში (იხ. ცხრილი 1). აღწერის შემდეგ შეგვიძლია ვთხოვოთ ბავშვებს, რომ ცალ-ცალკე დააწყონ ჯერ აგურისა და ხის სახლები, შემდეგ - სამკუთხედის ფორმის სახურავის მქონე და ბრტყელსახურავებიანი სახლები და ა.შ. ამის შემდეგ შეგვიძლია დავეხმაროთ ბავშვებს ცალკეულ ჯგუფებში გაერთიანებული სახლების დათვლაში (მაგ., რამდენი აგურის სახლი გვაქვს? რამდენი ხის სახლი გვაქვს?). აღნიშნული აქტივობას შესრულების შემდეგ დავეხმაროთ ბავშვებს, რომ სახლები დააჯგუფონ ორი ნიშნის მიხედვით (მაგ., აგურის მაღალი სახლი, აგურის დაბალი სახლი; ხის მაღალი სახლი და ა.შ). აქტივობის გართულება შესაძლებელია შემდგომ დღეებში/კვირებში.

ცხრილი 1.

	მასალა	**სახურავის ფორმა**	**სიმაღლე**	**ფერი**
სახლი I				
სახლი II				

1. **შევქმნათ სასურველი სახლის ესკიზი:** ვკითხოთ ბავშვებს: "რომელი სახლი იქნება უფრო მყარი, სელისა თუ ხის? ხისა თუ აგურის? რატომ ფიქრობთ ასე?". შევახსენოთ მათ **,,სამი გოჭის" ზღაპარი,** დავურიგოთ ფურცლები და ვთხოვოთ მათთვის სასურველი სახლის დახატვა.

   გამოვფინოთ ნამუშევრები და ბავშვებს ავუხსნათ, რომ სანამ მშენებლები სახლის შენებას შეუდგებიან, ჯერ არქიტექტორებმა უნდა დახატონ სახლის ესკიზი. შეგვიძლია ვუჩვენოთ სახლის ესკიზებიც.

2. **სახლის აწყობა გეომეტრიული ფიგურებისგან:** ვუჩვენოთ ბავშვებს სხვადასხვა სახის გეომეტრიული ფიგურები (სამკუთხედები, ოთხკუთხედები, წრეები). გავუმახვილოთ ყურადღება მათ ფორმებზე, ვკითხოთ: "რამდენი გვერდი აქვს ამ ფიგურას? მაშ, რა ჰქვია მას?", სხვ. მივცეთ ბავშვებს შესაძლებლობა, რომ დახატონ სახლები. ამის შემდეგ კი ვკითხოთ: "არის თუ არა სახლებში სამკუთხედები? ოთხკუთხედები? წრეები?".

3. **დახატე სახლი ნიმუშის მიხედვით:** ნიმუშით ხელმძღვანელობა (მუშაობა ნიმუშის მიხედვით) მნიშვნელოვანი უნარია, რომლის განვითარებაც შემდგომში დიდად დაეხმარება ბავშვს წერის დაუფლებაში. დავურიგოთ ბავშვებს სახლის გამოსახულება და ვთხოვოთ მისი დახატვა ნიმუშის მიხედვით. მივაქციოთ ყურადღება, გადახატეს თუ არა ბავშვებმა ყველა დეტალი, განალაგეს თუ არა სივრცეში სწორად და ა.შ. (იხ. ნიმუში #4).

ნიმუში 4.



ეს აქტივობა შესაძლებელია წყვილებშიც შესრულდეს. ვთხოვოთ მეწყვილეებს, რომ ერთმანეთს დაუხატონ სახლები და შემდეგ ,,გადაიხატონ'' ერთმანეთის ნამუშევრები.

4. **გააფერადე სახლი:** შევთავაზოთ ბავშვებს გასაფერადებლები სახლების გამოსახულებებით და ვთხოვოთ მათი გაფერადება (იხ. ილუსტრაცია #21).

ნიმუში 5.

5. **ვუჩვენებთ ბავშვებს სხვადასხვა ტიპის სახლებს** (ეს შეიძლება იყოს ოდა სახლი, ბანიანი სახლი, აფრიკული ქვის სახლი, ბამბუკითა და სელით ნაგები ტაილანდური სახლი, იურტა - გადასაადგილებელი სახლი უდაბნოში მცხოვრები მწყემსებისთვის, იარანკა - ცხოველების ტყავისგან შეკრული სახლი ჩრდილოეთში მცხოვრებთათვის, იგლუ; ხის პატარა ქოხები, აგურითა და ბეტონით ნაგები თანამედროვე სახლები). ვაძლევთ ბავშვებს საშუალებას, რომ დაათვალიერონ ფოტოები. ვკითხოთ - თავად რომელ სახლში მოუნდებოდათ ცხოვრება და რატომ? მათი აზრით, რომელი სახლი იქნება ყველაზე მყარი? როგორი უნდა იყოს სახლი, რომ მცხოვრებლებს ნიფნიფივითა და ნუფნუფივით არ მოუვიდეთ?

ოდა სახლი	
ბანიანი სახლები	

ქვის სახლი აფრიკაში	
ბამბუკისგან და სელისგან ნაგები სახლი (ტაილანდი)	
იურტა - გადასაადგილებელი სახლი უდაბნოში მცხოვრები მწყემსებისთვის	
ინდიელთა სახლი ხის ქერქებისგან	

იგლუ	
აგურის სახლი	
ბეტონის მრავალ-სართულიანი სახლი	

6. **დაასახელე სწორად:** უთხარით ბავშვებს, რომ ხმამაღლა წაუკითხავთ მათ სახელებსა და გვარებს, ოღონდ ზოგჯერ შეცდომას დაუშვებთ. ბავშვები მხოლოდ მაშინ უნდა ადგნენ ფეხზე, თუ მათი თანაჯგუფელის სახელსა და გვარს სწორად ამოიკითხავთ.

7. **გაიხსენე სიტყვა**: აქტივობის დაწყებამდე ბავშვებს შევთავაზებთ, გაიხსენონ რაც შეიძლება მეტი სიტყვა, რომელიც იწყება ,,ს'' ასოზე/ბგერაზე - ჩვენ ყველანი ხომ მთელი კვირის განმავლობაში სახლებზე ვმუშაობდით?! ბავშვებს ვუგდებთ ბურთს, მათ კი უნდა დაასახელონ სათანადო სიტყვები.

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. **გამოიცანი დეტალი**: თამაშში გამოვიყენოთ სახლის სხვადასხვა დეტალის სურათები (ეს შეიძლება იყოს -საკვამური, სახურავი, ფანჯარა და ა.შ). ბავშვები ირჩევენ სურათს შემთხვევითობის პრინციპით და პანტომიმით განასახიერებენ, რა არის გამოსახული სურათზე. ჯგუფის სხვა წევრებმა უნდა გამოიცნონ, რომელი დეტალი შეხვდა თამაშის წამყვანს.

2. **არ გამოტოვო დეტალი:** ბავშვებს ვთავაზობთ შემდეგ თამაშს: ჩვენ დავასახელებთ სხვადასხვა სიტყვას. თუკი ჩვენ მიერ დასახელებული სიტყვა აღნიშნავს სახლის რომელიმე დეტალს, მათ ტაში უნდა დაუკრან, დანარჩენ შემთხვევებში კი ხელები უნდა ჩამოუშვან. ჩამონათვალი შეიძლება იყოს შემდეგი: კარი, სპილო, ფანჯარა, საკვამური, ხახვი და ა.შ.

3. **ჩემი სახლი უფრო მყარია**: წინასწარ დავამზადოთ ბარათები ხისა და აგურის სახლების გამოსახულებებით (იხ. ილუსტრაცია #22).

ბავშვები სხედან წრიულად ან მაგიდის გარშემო. თითოეულ ბავშვს მივცეთ 4 ან მეტი ბარათი (თუკი გვაქვს საკმარისი რაოდენობის ბარათები). ბარათები მაგიდაზე, ისე აწყვია, რომ სურათები არ ჩანს (ამოტრიალებულია). თამაშის პირობა ამგვარია: ხის კონსტრუქციის სახლები ნაკლებად გამძლეა, მათზე უფრო გამძლეა აგურის სახლები.

თამაშში შვიდ ბავშვზე მეტი არ მონაწილეობს. პირველი ბავშვი, რომელიც თამაშს იწყებს, ეთამაშება მეორე, მისგან ხელმარჯვნივ მჯდომ ბავშვს; მეორე ბავშვი ეთამაშება მისგან (მეორისგან) მარჯვნივ მჯდომ მესამე ბავშვს; მესამე ბავშვი - მეოთხე ბავშვს, რომელიც მისგან (მესამისგან) მარჯვნივ ზის და ა.შ., ამდენად, თამაში "მოძრაობს" მარჯვენა მიმართულებით. სულ ბოლო მონაწილე ეთამაშება პირველ ბავშვს, რომელიც მისგან ხელმარჯვნივ ზის.

ყველა ბავშვს ეძლევა ორი ხელის თამაშის უფლება. თამაშის პირველი ხელის მიმდინარეობისას ორი მოთამაშე იღებს თავისი დასტიდან ზედა ბარათებს და დებს მათ ნახატიანი მხრიდან. ბავშვს, რომელსაც შეხვდება ბარათი უფრო მყარი სახლის (მაგ., აგურის სახლის) გამოსახულებით, ორივე ბარათი თავის დასტაში მიაქვს.

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვებმა გადმოაბრუნეს თანაბარი სიმყარის მქონე სახლები (მაგალითად, ორი აგურის სახლის ბარათი), ორივე ბავშვი ამბობს, რომ ერთნაირი სახლები შეხვდათ, ამის მერე მოთამაშეები დასტაში აბრუნებენ ამოტრიალებულ ბარათებს და ახალ ბარათებს იღებენ. ბავშვი, რომელსაც შეხვდება ბარათი უფრო მყარი სახლის გამოსახულებით, იღებს 4 ბარათს. იმ შემთხვევაში, თუ ისევ ერთნაირ ბარათებს აიღებენ (იდენტური სახლების გამოსახულებით), მაშინ ,,ორმაგი დამთხვევა'' გამოცხადდება. ბავშვები აბრუნებენ 2 ბარათს და გაითამაშებენ მესამეს. ყველა ბავშვმა უნდა ითამაშოს ორი ხელი. მოგებული იქნება ის, ვისაც ყველაზე მეტი ბარათი ექნება. მოგებული შემდეგ ხელში აღარ მიიღებს მონაწილეობას. იმ შემთხვევაში, თუ თამაში ფრედ დამთავრდება, თამაშს აკლდება 4 ბარათი. თამაში სრულდება მაშინ, როდესაც რჩება ერთი მოთამაშე (თამაშის გასართულებლად შეგვიძლია დავამატოთ სელის სახლი ან ბეტონის სახლი).

4. **დამალული საგნის პოვნა**: ბავშვებს ვეუბნებით, რომ მათ უნდა იპოვონ დამალული ნივთები, მოძებნაში კი ჩვენ დავეხმარებით საჭირო მინიშნებების მიცემით. დამალული ნივთის საპოვნელად ისინი, უბრალოდ, კარგად უნდა დააკვირდნენ ჩვენს მინიშნებებს და მიხვდნენ, რა უნდა მოიმოქმედონ. წინასწარ მოვამზადოთ ფურცლები, რომლებზედაც დატანილი იქნება ნიშნები. გავამზადოთ ამგვარი ნიშნები იატაკზეც. ვთხოვოთ ბავშვებს, მოძებნონ დამალული ნივთი. თუ ატყობთ, რომ აღნიშნული აქტივობა რთულია ბავშვებისთვის, შეგვიძლია მივცეთ სიტყვიერი ინსტრუქციებიც: ორი ნაბიჯი წინ, ერთი ნაბიჯი მარჯვნივ და ა.შ.

5. **ოთხი სტიქია**: ბავშვებს ვეუბნებით, რომ მათთან ერთად შევასრულებთ სხვადასხვა მოქმედებას. როდესაც ვამბობთ: ,,ჰაერი!'', ორივე ხელს ვწევთ მაღლა; როდესაც ვამბობთ: ,,მიწა!'', ორივე ხელს ვუშვებთ დაბლა; ვამბობთ: ,,წყალი!'' - ხელებს ვწევთ წინ, მკერდის სიმაღლზე; ვამბობთ: "ცეცხლი!'' - ვიქნევთ ხელებს. თავდაპირველად ყველანი ერთად ვასრულებთ და ვიმახსოვრებთ მოძრაობებს. ამის შემდეგ კი ბავშვებს ვაძლევთ ახალ ინსტრუქციას: ,,მე ახლა შევეცდები, რომ თქვენ შეგაშლევინოთ, ასე რომ ფრთხილად იყავით, მე ვიტყვი ერთ სტიქიას, მაგ., "წყალი" და შეიძლება სხვა მოძრაობა შევასრულო. თქვენ ყურადღებით მოუსმინეთ მხოლოდ ჩემს ნათქვამს და მოიქეცით, როგორც საჭიროა - აჩვენეთ ის სტიქია, რომელსაც ვიტყვი. ძალზე ყურადღებით იყავით, ვინაიდან სწორად ჩაითვლება მხოლოდ ის მოძრაობა, რომელიც ჩემი ნათქვამის მიხედვით შესრულდება''.

6. **წვიმა**: ჯგუფი ქმნის წრეს. ვუთხრათ ბავშვებს, რომ ჩვენ გავახმოვანებთ წვიმას. როდესაც ვახმოვანებთ წვრილ წვეთებს, ცერით, საჩვენებელი თითითა და შუათითით ვცდილობთ თითების დატკაცუნებას; როდესაც ვახმოვანებთ ძლიერ წვიმას, მაშინ ხელის მტევანს ვირტყამთ ფეხებზე; თუ ჭექა-ქუხილს ვახმოვანებთ, ფეხებს მაგრად ვაბაკუნებთ. როცა ვახმოვანებთ ნიავს, ხელისგულებს ვუსვამთ ერთმანეთზე, მზის ამოსვლაზე კი ყველანი მაღლა ვწევთ ხელებს.

9. **ჰიპ-ჰოპ:** ბავშვებთან ერთად შევქმნათ წრე. ვთხოვოთ ბავშვებს, რომ გვიჩვენონ ჯერ მარჯვენა ხელი, შემდეგ - მარცხენა. თუ ვამჩნევთ, რომ ბავშვებისთვის მხარეების გარჩევა რთულია, შეგვიძლია, მაგ., მარჯვენა ხელზე ყველამ დავიკრათ სტიკერი. ვირჩევთ ბავშვს, რომელიც იქნება წამყვანი. თუკი წამყვანი რომელიმე ბავშვს ეტყვის: ,,ჰიპ'', ბავშვმა უნდა თქვას მის მარჯვნივ მდგომი ჯგუფელი სახელი, თუ წამყვანი ეტყვის: ,,ჰოპ'', - მისგან მარცხნივ მდგომის სახელი.

10. **გადაეცი საჩუქარი**: ბავშვები ქმნიან წრეს. ერთ-ერთი მათგანი მარჯვნივ მდგომ ბავშვს ,,გადასცემს'' საჩუქარს (ყურში ჩუმად ეუბნება, რას ჩუქნის). ბავშვი, რომელიც იღებს "საჩუქარს", პანტომიმით გამოხატავს, რა აჩუქეს, სხვებმა კი უნდა გამოიცნონ. თამაში მთავრდება მაშინ, როცა ყველა ბავშვი მიიღებს "საჩუქარს".

11. **დეტექტივი** - ვქმნით წრეს. ვირჩევთ ერთ "დეტექტივს", რომელიც გარკვეული დროით გადის ოთახიდან/დგება ფანჯარასთან და ნიშნის მიცემამდე არ უყურებს, რა ხდება ჯგუფში. ავირჩიოთ წრეში მყოფი ბავშვებიდან ერთი წამყვანი, რომელიც შეასრულებს მარტივ მოძრაობებს, ჯგუფის სხვა წევრები კი მათ გამეორებას უნდა შეეცადონ. მივცეთ ნიშანი "დეტექტივს", რომელიც ყურადღებით უნდა დააკვირდეს მონაწილეებს და ამოიცნოს, ვის მოქმედებებს ასრულებს მთელი ჯგუფი (შეგვიძლია "დეტექტივს" მივცეთ 2 ვერსიის დასახელების უფლება). წამყვანის ვინაობის ამოცნობის შემთხვევაში შეგვიძლია იგივე ბავშვი დავტოვოთ "დეტექტივად" მომდევნო ხელის განმავლობაში. თუ ვერ გამოიცნობს, "დეტექტივი" იცვლება იმ ბავშვით, რომელიც იყო წამყვანი.

როლური თამაშები

1. **კალატოზი:** სანამ ბავშვები თამაშს დაიწყებენ, გავესაუბროთ იმის შესახებ, რომ სახლებს კალატოზი (მშენებელი) აშენებს. სახლის აშენებისთვის ჯერ საძირკველი უნდა გაიჭრან ძალიან დიდი მანქანით - ექსკავატორით. ექსკავატორებს მიწის დიდი გროვა

ამოაქვთ და გვერდზე ყრიან (აქვე ვკითხოთ, თუ უნახავთ, როგორ მუშაობს ექსკავატორი). ამის შემდეგ კი დუღაბს ასხამენ. დუღაბი ცემენტისა და ქვიშის ნარევია. მერე ძალიან ძლიერ - სატვირთო მანქანას მოაქვს - აგური, ხის მასალა და კალატოზებს კედლები ამოჰყავთ. შემდეგ სახლს გადახურავენ (სახურავს დაადგამენ) და კარ-ფანჯარასაც არ დაივიწყებენ. სთხოვეთ ბავშვებს, გაითამაშონ კალატოზისა და დამკვეთის როლი. "დამკვეთმა" უნდა აუხსნას "კალატოზს", როგორი სახლის აშენება სურს (ქვის, აგურის, მაღალი, დაბალი, სხვ.).

2. **კმაყოფილი მშენებელი:** დავყოთ ბავშვები ჯგუფებად და ვთხოვოთ თითოეულ ჯგუფს, ააგონ მათთვის სასურველი სახლი. ჩვენთან შეთანხმებით, ბავშვებს შეუძლიათ გამოიყენონ ოთახში არსებული ნებისმიერი რესურსი. მას შემდეგ როცა სახლის „აშენებას" დაამთავრებენ, ბავშვებს ვთხოვოთ, დაგვათვალიერებინონ მათ მიერ აშენებული სახლები; მოგვიყვნენ, რითია მათი სახლი გამორჩეული და საინტერესო.

3. **ტურისტები და გიდები** ვკითხოთ ბავშვებს, როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუკი გვინდა, რომ უცხოელ სტუმარს ჩვენი ქუჩა და ქალაქი დავათვალიერებინოთ. არსებობენ ადამიანები - გიდები, რომლებიც სამოგზაუროდ ჩამოსულ ადამიანებს - ტურისტებს ათვალიერებინებენ ქალაქს, ქვეყანას. გიდებმა იციან მრავალი საინტერესო ამბავი (ისტორია), რომლებიც მათ ქვეყანასა თუ ქალაქში მომხდარა (ვკითხოთ ბავშვებს -ჩვენს ქალაქში/ სოფელში თუ მომხდარა საინტერესო ამბავი?). შევარჩიოთ ერთი ბავშვი, რომელიც იქნება "გიდი", დანარჩენი ბავშვები "ტურისტები" იქნებიან. წავახალისოთ "გიდი", რომ გვიამბოს რაიმე საინტერესო ამბავი თავისი ქალაქის ან სოფლის შესახებ, "ტურისტები" დასვამენ კითხვებს, რომლებსაც "გიდმა" უნდა უპასუხოს.

4. **სახლების ყიდვა-გაყიდვა:** შევთავაზოთ ბავშვებს თამაში თემაზე "სახლების ყიდვა - გაყიდვა". შეგვიძლია ბავშვები პირობითად დავყოთ "მყიდველებად" და "გამყიდველებად". "მყიდველებს" ვთხოვთ, მოიფიქრონ თავიანთი ისტორია (ვინ არიან, სად ცხოვრობენ, რა უყვართ, რა მოსწონთ, სხვ.). "მყიდველი" "გამყიდველს" მოუყვება თავის ისტორიას (მაგ., მე ვცხოვრობ უდაბნოში; ხშირად მიწევს მოგზაურობა. როგორ სახლს შემომთავაზებდით? *ან* ძალიან მიყვარს ბევრ ხალხში ყოფნა და მირჩევნია, რომ ბევრი მეზობელი მყავდეს). "გამყიდველები" უჩვენენებენ სახლებს და აუხსნიან, რატომ იქნება მათთვის კარგი ამ სახლში ცხოვრება.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **რკალები და თითები:** აღნიშნული აქტივობა სამკაციან ჯგუფში ტარდება. ერთი ბავშვი იღებს ბარათს, ამბობს, რა არის მასზე გამოსახული და მარცვლავს სიტყვას; მეორე ხატავს იმდენ რკალს, რამდენი მარცვალიცაა სიტყვაში; მესამე ითვლის თითებზე და გვიჩვენებს შესაბამის რაოდენობას.

2. **ლაბირინთები**: ბავშვები დავყოთ წყვილებად და შევთავაზოთ ბარათები ლაბირინთების გამოსახულებით. მათ უნდა იპოვონ, რომელ სახლში ცხოვრობს გოგონა. შეგვიძლია გამოვიყენოთ ნებისმიერი სხვა ლაბირინთი სახლების გამოსახულებებით (იხ. ილუსტრაცია #23).

3. **ამბის შეთხზვა:** დავსხდეთ წრიულად. დავურიგოთ ბავშვებს ლოტოს ბარათები (მათზე აუცილებლად უნდა იყოს სახლების გამოსახულებებიც). ერთ-ერთი მონაწილე აბრუნებს ბარათს და იწყებს თხრობას მასზე გამოსახულ ნახატზე დაყრდნობით, შემდეგ მომდევნო ბავშვი დებს თავის ბარათს და აგრძელებს ისტორიას. ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ ბავშვებს ამბის დაწყებასა და შეჯამებაში. აღნიშნული აქტივობა ბავშვებს ძალზე ეხმარება მეტყველების უნარის განვითარებაში. თუ ბავშვები მწირ ლექსიკას იყენებენ ან არასწორად გამოთქვამენ სიტყვებს, არ გავუსწოროთ და არ შევაწყვეტინოთ თხრობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბავშვი დაასრულებს ლაპარაკს, გავიმეოროთ მისი ნათქვამი სწორი ფორმების გამოყენებით.

4. **იპოვეთ განსხვავება**: დავურიგოთ ბავშვებს ბარათები და შევთავაზოთ, იპოვონ განსხვავებები დაწყვილებულ ბარათებს შორის. ბავშვებმა ფანქრით უნდა აღნიშნონ, რამდენი განსხვავება აღმოაჩინეს (იხ. ილუსტრაცია #24).

8. **ასოებიანი ლოტო**: დავურიგოთ ბავშვებს პატარა კენჭები/ღილები და 9-უჯრიანი ცხრილი, რომელშიც შემთხვევითი შერჩევის პრინციპითაა ჩაწერილი ასოები. სათითაოდ ვუჩვენოთ ბავშვებს ასოები, ბავშვებმა კი თავის ცრილში, შესაბამის ასოზე, უნდა დადონ ღილი. თუ რომელიმე მოთამაშე დაფარავს 5 ასოს ერთ რიგში, ის წამოიძახებს - "ლოტო!" და თამაშიც სრულდება. ამავე აქტივობის შესრულება შეგვიძლია საგნებზე, ციფრებზე და ა.შ.

მსგავსი აქტივობის შესრულება შეგვიძლია სიტყვებზეც, ამ შემთხვევაში ცხრილში სიტყვები უნდა იყოს ჩაწერილი. სასურველია, ეწეროს ის სიტყვები, რომლებზედაც ლოტო უკვე გვაქვს ნათამაშევი. ბავშვები ღილებს სიტყვებზე დადებენ.

9. **აფიშა**: ვუჩვენოთ ბავშვებს აფიშა (შეიძლება მიუზიკლ ,,თოვლის დედოფლის'' აფიშის ფოტოს გამოყენებაც). ვკითხოთ ბავშვებს, რისთვის არის საჭირო აფიშა? (აფიშა გვატყობინებს, თუ რა დროს და სად იმართება ღონისძიება). ვკითხოთ ბავშვებს, რომელი ზღაპრის აფიშის შექმნა სურთ (''თოვლის დედოფლის'' თუ ''სამი გოჭის''?). მოვამზადოთ ფორმატის ქაღალდები და სათაურები. ვუთხრათ

ბავშვებს რომელი სათაური ეკუთვნის კონკრეტულ ნაწარმოებს და დავნომროთ (თუ ორი სპექტაკლის აფიშის გაკეთებას ვთავაზობთ ორი შაბლონი დავამზადოთ. შემდეგ სათაურის შესაბამისად, ბავშვები გააფორმებენ აფიშას ნახატებით და შეეცდებიან საკუთარი სახელების დაწერას. მუშაობის დასრულების შემდეგ გამოვფინოთ ბავშვების ნამუშევრები.

პროექტები

1. **ვაშენებთ სახლს კუბურებისგან**: მივცეთ ბავშვებს შესაძლებლობა, რომ ააშენონ სახლები კუბურების გამოყენებით.

2. **ვაშენებთ სახლს სხვადასხვა მასალისგან:** მას შემდეგ, რაც ბავშვები შეიძენენ სახლის კუბურებით აშენების გამოცდილებას, შევთავაზოთ მათ განსხვავებული სამშენებლო მასალა: ყუთები, ფერადი ფურცლები და ა.შ., დავეხმაროთ მათ სახლების "აშენებაში".

3. **პროექტი "ქალაქის აშენება"**: ბავშვები აგრძელებენ მუშაობას სახლებზე. ვკითხოთ, დაამთავრეს თუ არა სახლის ყველა დეტალი (მივცეთ მუშაობის დასრულების შესაძლებლობა). ამის შემდეგ კი ვკითხოთ: რა იქნება საჭირო, ჩვენი სახლები რომ ქალაქად გავაერთიანოთ? რა არის აუცილებელი ქალაქისთვის? (ეს შეიძლება იყოს შუქნიშნები, შადრევანი, საავადმყოფოს შენობა და ა.შ.). ბავშვები მუშაობენ ქალაქის შექმნაზე და იხსენებენ, რა ნიშნით/ნიშნებით უნდა მიხვდნენ, რომ შენობა საავადმყოფოა, რა ნიშანი აქვს მეტროს ან აფთიაქს, სხვ. ბავშვები ამატებენ შენობებს/ სხვადასხვა ობიექტს.

   ვკითხოთ ბავშვებს, როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც რომელიმე სახლის პოვნა გვსურს? აღვნიშნოთ, რომ ყველა ქუჩას აქვს სახელი, ხოლო სახლს- ნომერი. მოვიფიქროთ, რა სახელს დაარქმევენ მათ მიერ შექმნილ ქუჩას. ვკითხოთ, საიდან დაიწყება ქუჩა. შეიძლება "ნომრები" წინასწარ მოვამზადოთ - დავწეროთ ბარათებზე და მივამაგროთ სახლებს. დავეხმაროთ ბავშვებს სახლების ნომრების დასახელებაში. ვკითხოთ, რა ფერია ესა თუ ის სახლი, რა სამშენებლო მასალაა გამოყენებული და ა.შ.; დავაზუსტებინოთ სახლების ადგილმდებარეობა (მაგ., რომელი სახლია აგურის სახლის წინ? მის მარჯვნივ?) დავეხმაროთ ბავშვებს სივრცული მიმართებების გააზრებაში.

4. **ოთახის გალამაზება:** პროექტის დაწყებამდე წავუკითხოთ ბავშვებს ,,დეკორატორი ტედი'' (იხ. ქვემოთ, "წიგნიერების დრო"). დავურიგოთ ბავშვებს ქაღალდის ყუთები, ფერადი ფურცლები, სხვადასხვანაირი სტიკერები, ქაღალდის წებო და მაკრატელი. ვთხოვოთ, რომ დაეხმარონ ტედის ოთახის გალამაზებაში/შპალერის გაკვრაში.

მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება

1. **გაცოცხლებული ეპიზოდი:** დავუბრუნდეთ ,,სამი გოჭის'' ილუსტრაციებს. დავყოთ ჯგუფი წყვილებად, დავურიგოთ ბავშვებს ილუსტრაციები და ვთხოვოთ, გააცოცხლონ ეპიზოდი - განასახიერონ ილუსტრაციაზე მოცემული სიუჟეტი (დავალება წყვილებში სრულდება). სხვა ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, რომელი ეპიზოდი წარმოადგინეს წყვილებმა (იხ. ილუსტრაციები: #25, 26, 27).

2. **ხმის ლოტო:** მოვიმარაგოთ დაახლოებით 20 პატარა თუნუქის (კონსერვის) თავსახურიანი ქილა. თითოეული მათგანი ერთმანეთის იდენტური უნდა იყოს და არ იძლეოდეს შიგთავსის დანახვის საშუალებას. ბავშვები ერთობლივად არჩევენ და აგროვებენ სხვადასხვა მასალას, რომლებსაც ქილებში ჩაყრიან განსხვავებული ხმების მისაღებად. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, ქაღალდის სკრეპები, პატარა ზომის ხურდა ფული, პატარა კენჭები, მძივები, ქვიშა და ა.შ. შემდეგ ბავშვები დააწყვილებენ ქილებს. დაწყვილებულ ქილებში ჩაყრილი უნდა იყოს ტოლი რაოდენობის ერთნაირი მასალა, რომელიც სხვა წყვილებში ჩაყრილი მასალისგან განსხვავდება როგორც რაოდენობით, ისე რაობით. ბავშვები იმავდროულად შეეცდებიან, რომ თითოეული ქილა დაახლოებით ერთნაირი წონისა იყოს (თუკი ნივთი მსუბუქია, მეტი რაოდენობით ყრიან, თუკი ნივთი მძიმეა - ნაკლები რაოდენობით). ქილებს თავსახურებს დაახურავენ და ერთმანეთში აურევენ. ამის შემდეგ ცალკეულ ქილაში ჩაყრილი მასალის გამოცნობა შესაძლბელია მხოლოდ ხმით, რომელსაც ეს ქილა გამოსცემს მსუბუქი შერყევისას. ბავშვები იწყებენ 10 ქილით (5 წყვილით), ყურადღებით უსმენენ ხმებს, რომლებსაც სხვადასხვა ქილა გამოსცემს და ხმის მიხედვით აწყვილებენ მათ. ქაღალდზე დახატული სქემა დაეხმარება ბავშვებს დაწყვილებული ქილების სწორად დალაგებაში (იხ. აღმზრდელის სახელმძღანელო).

3. მუსიკალური ქანდაკებები: ჩავრთოთ მუსიკა. ბავშვები იწყებენ მოძრაობას/ცეკვას ამ მუსიკის თანხლებით. როგორც კი მუსიკა გაჩერდება, ბავშვებიც უნდა გაჩერდნენ (გაქვავდნენ, გაიყინონ) მუსიკალური ქანდაკების ფორმაში. ის, ვინც გაინძრევა, თამაშიდან გადის და ხდება „მსაჯი". ბავშვებმა უნდა გააკონტროლონ საკუთარი თავი და მოძრაობები. ეს კი არც ისე ადვილია, რადგან ისინი ხალისობენ ცეკვის დროს და თავისუფლად გამოხატავენ ემოციებს. თუ ყველა ბავშვი კარგად იქცევა, ხელმეორედ ჩართეთ მუსიკა. შეგვიძლია თამაშს მივცეთ შეჯიბრის ფორმაც.

4. მოვასმენინოთ ბავშვებს მუსიკა (მაგალითად, მოცარტის ან ჩაიკოვსკის კომპოზიციები). შეგვიძლია ბავშვებს მივცეთ შესაძლებლობა, რომ დაგვიხატონ ,,მუსიკა''. სასურველი იქნება ბავშვების ნამუშევრების გამოფენა, რათა მათი ნახვა შეძლონ ბავშვების ოჯახის წევრებმაც.

რეკომენდაციები წიგნის დროსთვის

1. დავათვალიერებინოთ ბავშვებს წიგნის (მაგ., ზღაპარ "სამი გოჭის") ილუსტრაციები. ვკითხოთ, როგორ დაიწყო ამბავი, შემდეგ რა მოხდა და ა.შ. წავუკითხოთ ზღაპარი. ტექსტის წაკითხვის შემდეგ კი დავუსვათ შეკითხვები, რომლებიც პატარებს დაეხმარება ტექსტის უკეთ გააზრებაში (მაგ., რატომ წავიდნენ გოჭები სახლიდან? რატომ გადაწყვიტა ნიფნიფმა სახლის აშენება? რისგან ააშენა სახლი ნიფნიფმა? ნუფნუფმა? ნაფნაფმა? რატომ ვერ დაანგრია ნაფნაფის

სახლი მგელმა? თქვენ რომ მშენებელი იყოთ, როგორ სახლს ააშენებდით? რა მოხდებოდა, სამივე გოჭს აგურის სახლი რომ აეშენებინა? გოჭები მხოლოდ სახლის სიმყარემ გადაარჩინა?)

ამის შემდეგ ვთხოვოთ ბავშვებს, დახატონ ეპიზოდი, რომელიც მათ ყველაზე მეტად მოეწონათ ზღაპრიდან. გამოვფინოთ ბავშვების ნამუშევრები, დავეხმაროთ, რომ დაიცვან ამბის ლოგიკური თანამიმდევრობა.

2. **წავუკითხოთ ბავშვებს ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპარი ,,თოვლის დედოფალი".**

კითხვის დაწყებამდე ვკითხოთ ბავშვებს, თუ სმენიათ ამ ზღაპრის შესახებ. ტექსტის წაკითხვის შემდეგ დავუსვათ შეკითხვები: როგორი სარკე ჰქონდა თოვლის დედოფალს? რამ შეუცვალა კაის ხასიათი? როგორ მოხვდა კაი ყინულის სასახლეში? ვინ წავიდა კაის მოსაძებნად? ვინ შეიფარა პირველად გერდა? რამ მოაგონა მას კაი? ვინ აჩუქა გერდას ეტლი? ვინ დაეხმარა გერდას ყაჩაღებისგან თავის დაღწევაში? რა შემთხვევაში გაათავისუფლებდა ყინულის დედოფალი კაის? როგორ გათავისუფლდა კაი სარკის ნამსხვრევისაგან?

3. **ცხელი სკამი:** ვკითხოთ ბავშვებს, რომელი პერსონაჟები შეგვხვდნენ ზღაპარში, დავეხმაროთ მათ ჩამოთვლაში. ვკითხოთ ბავშვებს, ვისი როლის შესრულებას მოისურვებდნენ. პერსონაჟის განსახიერების მსურველი ბავშვი დავსვათ ლამაზად გაფორმებულ სკამზე, მის თანაჯგუფელებს კი დავეხმაროთ ,,პერსონაჟისთვის" შეკითხვების დასმაში (მაგ., რატომ წახვედი კაის საძებნად?). შემდეგ პერსონაჟს განასახიერებს ის ბავშვი, რომელმაც, ჯგუფის საერთო აზრით, ყველაზე სახალისო შეკითხვა დასვა.

4. წავუკითხოთ ბავშვებს ლექსი ,,ხურო"

კაკ-კუკ! კაკ-კუკ!
მე ვარ ხურო,
სახლს ვაშენებ,
კი არ ვხუმრობ
ჰა, კედლები ავიყვანე!
ახლა უნდა გადავხურო!
კარგად ვიცი ფიცრის გათლა,
რანდვა, ხერხვა, შალაშინი.
ვინც ხელობას დაეუფლა,
შრომა არის მისთვის ლხინი!
კაკ-კუკ! კაკ-კუკ!
მე ვარ ხურო!
სახლს ვაშენებ,
კი არ ვხუმრობ!
კედლები მთლად ავიყვანე,
ახლა უნდა გადავხურო!

ილია სიხარულიძე

(წავუკითხოთ და შევასრულოთ ის მოქმედებები, რომლებიც ლექსშია აღწერილი.)

5. ვუჩვენოთ ბავშვებს წიგნის ,,365 ძილისპირული ამბის" 99-ე გვერდის ილუსტრაცია და ვკითხოთ - რას აკეთებენ დათუნიები? რის შესახებ იქნება ამბავი? წავუკითხოთ ამბავი ,,დეკორატორი ტედი"

დეკორატორი ტედი

დათუნია ტედი ყურადღებით აკვირდებოდა, როგორ აკრავდა შპალერს მამა. მამიკომ ჯერ კედლისა და შპალერის სიგრძე გაზომა, მერე შპალერი საჭირო ადგილას გადაჭრა, წებო წაუსვა და კედელზე გააკრა. შპალერი ჯაგრისით გაასწორა, რომ ამობურცული ადგილები არ დარჩენილიყო. საქმეს რომ მორჩა, მერე მამიკომ უკან დაიხია და თავისი ნახელავი შეათვალიერა. ტედის ძალიან მოეწონა ყვითელი, კაშკაშა შპალერი. ის გაცილებით ლამაზი იყო, ვიდრე საძინებელში გაკრული ლურჯი შპალერი. მამიკომ წებოწასმული შპალერის ნაკუწები აკრიფა და მაგიდა და წებოთი სავსე ვედრო ფარეხში შეინახა, ტედიმ იფიქრა, ეს რა ადვილია შპალერის გაკვრა, თანაც ამდენი გვაქვს და ჩემს ოთახსაც გავალამაზებო. ამ დროს მამიკო გაზონს კრეჭდა, დედიკო კი სამზარეულოში საქმიანობდა.

ტედიმ ჯერ შპალერი დაჭრა, წებო წაუსვა, კედელზე დააწება და ზედაპირიც გაუსწორა. ორ საათში მუშაობა დაამთავრა და კარისკენ გაემართა, მაგრამ ვერსად იპოვა, მერე ფანჯარას დაუწყო ძებნა, მაგრამ ისიც სადღაც გამქრალიყო. შეშინებულმა ტედიმ მთელი ხმით იყვირა: ,,მიშველეთ!"

დედ-მამა შპალერგაკრულ კარში რომ შევარდა, მთელი ოთახი წებოთი მოთხვრილი დახვდათ, მაგრამ არ გაბრაზებულან, ტედის ხომ მათი დახმარება და ოთახის გალამაზება სურდა. მამიკომ ისიც კი იფიქრა, ხვალ ტედის მოვიხმარ შპალერის გაკვრაშიო.

შეგიძლიათ ბავშვებს დაუსვათ შემდეგი შეკითხვები: რა ფერის შპალერი გააკრა მამამ? ადრე რა ფერი იყო მათი შპალერი? რატომ ვეღარ იპოვა ტედიმ კარი?

მე – 8 კვირა

თემა: „ჩემი უბანი“ – პროფესიები III კვირა

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებე-ლი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივი-დუალი-ზება	**სტუმრად სტილისტთან;** ვკითხოთ ბავშვებს, თუ ყოფილან სტილისტთან, წავახალისოთ ბავშვები, რომ გვიამბონ თავიანთი გამოცდილების შესახებ. ვთხოვოთ, წრეში ბურ-თის გადაწოდებისას დაასახელონ სიტყვები, რომლებიც უკავშირდება სილამაზის სალონს. (თუ შესაძლებელია, გავიკეთოთ განსხვავე-ბული ვარცხნილობა)	**აქტივობა** ,,ნაწნავი''. **აქტივობა** ,,დააწყვე თანამიმდევრობით''. **როლური თამაში** ,,სილამაზის სალონში''	წავუკითხოთ: ,,ხოტორა'' და ,,სილამაზის სალონი'''	მოძრავი თამაში „გუბეები“	,,ცხენის კუდი''. დაითვალე! დაითვალე, რამდენი? არ გამოტოვო მარცვალი	სიმღერა: ,,კრიჭი, კრიჭი''	შეჯამება: ჰკითხეთ, რა მოეწონათ ყვე-ლაზე მეტად დღეს. მოყვე-ბიან საკუთარ გამოცდილე-ბას სილამა-ზის სალონში ვიზიტთან და-კავშირებით.
მასალები, რესურსე-ბი		ერთჯერადი თეფშე-ბი; ფანქრები; ნახატები თანამიმ-დევრობით; ნივთები/სათამა-შოები, რომლებსაც იყენებენ საპარიკმა-ხეროში. ძაფები; ლენტები.	წიგნი	ცარცი	ძაფები; მაკრატელი; ილუსტრაციები სხვადასხვა საგნის გამოსახულებით.	სიმღერის ჩანაწერები	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
სამშაბათი ინდივიდუალიზება	**სტუმრად მზარეულთან:** ვაჩვენოთ ბავშვებს მზარეულის სურათები. ვესაუბროთ მათ ჩაცმულობაზე: რატომ ხმარობენ ქუდებსა და წინსაფრებს? ვუჩვენოთ სამზარეულოს ნივთები და ვესაუბროთ მათ დანიშნულებაზე (ქვაბები, ტაფები, სათქვეფელა, კოვზები და სხვ.). შესაძლებლობის შემთხვევაში ვესტუმროთ საბავშვო ბაღის სამზარეულოს .	**აქტივობა „დაბადების დღე";** **როლური თამაში** -„**წვეულება"** **აქტივობა: სურათის აღწერა** „საჭმლის მომზადება";. **პროექტი „ჩემი უბანი: მზარეული"**	ტოპოტიპი აცხობს	„გადაეცი საჩუქარი"	აქტივობა „შექმენი მზარეულის ქუდი"; თამაში „განასხვავე"; მზარეულის ქუდის მემო; გაფუჭებული ტელეფონი.	სიმღერა: „მზარეულები"	შეჯამება: ჰკითხეთ, თუ გააკეთეს ისეთი რამ, რისი გაკეთების სურვილიც კიდევ აქვთ? ბავშები ისაუბრებენ საკუთარ გამოცდილებაზე სამზარეულოში საქმიანობასთან დაკავშირებით.
მასალები, რესურსები		ფანქრები, ფურცლები, სამზარეულოს ილუსტრაცია.	წიგნი	ბურთი, სამიზნე.	სხვადასხვა ზომის ერთნაირი საგნები; თაბახის ქაღალდები; მაკრატელი; ქუდების გამოსახულებები (დასაჭრელი).		

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ოთხშაბათი ინდივიდუალიზება	**სტუმრად ექიმთან;** ვთხოვოთ ბავშვებს გვითხრან, კიდევ სად დაჰყავთ ხოლმე მშობლებს? (ექიმთან) ვუამბოთ ბავშვებს ექიმების საქმიანობის შესახებ. ვუჩვენოთ ნახატები. ვთხოვოთ ბავშვებს, გაგვიზიარონ ექიმთან ურთიერთობის თავიანთი გამოცდილება. ისაუბრონ, რა არ მოსწონთ და რა მოსწონთ ყველაზე ძალიან. განვუმარტოთ, რომ ექიმები ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნავენ და გვეხმარებიან ან მოვიპატიჟოთ ბაღის ექთანი ან პედიატრი. წავახალისოთ ბავშვები, რომ დასვან წინასწარ მოფიქრებული შეკითხვები;	**როლური თამაში:**,,რა ხდება ექიმის კაბინეტში?'; **აქტივობა:„** მოდი, გავზომოთ"; **პროექტი ,,ჩემი უბანი :ექიმი''**	წაუკითხეთ ლექსები: „წამალი" (ქრესტომათია,) ,,ექიმი'', (ნ. დუმბაძე) ,,ავადმყოფი'' (ნ .დუმბაძე). პალიტრა ლ, 2013 .	მოძრავი თამაში: „გადაეცი და ჩაჯექი"	**თამაში** ,,გამოიცანი''.	სიმღერა: ,,ეს საწყალი კურდღელი''	შეჯამება: თქვენს მშობელს რომ ენახა ყველაფერი, რაც თქვენ დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად გააკეთეთ, რას იტყოდა იგი? შევაჯამოთ, რა უნდა იცოდნენ, როდესაც ექიმთან მიდიან.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებე-ლი შეხვედრა წრეში
მასალები, რესურსე-ბი		საბავშვო საექიმო კომპლექტი; ფურცლები; ფანქ-რები (ფლომასტერები)	ქრესტომათია სკოლამ-დელთათვის, გვ.200.	ბურთი	საბავშვო საექიმო კომპლექტი; ფოტოები	სიმღერის ჩანა-წერი	
ხუთშაბა-თი ინდივი-დუალი-ზება	**სტუმრად მეეზოვესთან** ვესაუბრებით ბავშვებს მეეზოვის საქმიანო-ბაზე. ვთხოვთ, აზრი გამოთქვან, რამდენად საჭიროდ მიაჩნიათ მე-ეზოვის შრომა. ვთხო-ვოთ აღწერონ, როგორი ჩაცმულობა აქვთ მათ. ვაჩვენოთ ფიროს-მანის "მეეზოვე". ვკითხოთ:"მოგწონთ ნახატი? როგორი ფერის ქუდი ახურავს? როგორი შარვალი აცვია?"; ვკითხოთ, რის გაკეთე-ბას ისურვებენ პროექტი-სათვის „ჩემი უბანი"?	**აქტივობა:** ფიროსმა-ნის "მეეზოვე"; **წესებიანი თამაში:** ,,აბა, მოიფიქრე"; **წესებიანი თამაში:** ,,ჟესტებით აღწერა"; **წესებიანი თამაში:** ,,გამოიცანი სიტყვა"; **პროექტი** - /ჟურნალი ,,მეეზოვე".	უილიამ ჯო-ისის "მისტერ მორის ლემო-რის საოცარი მფრინავი წიგნები" 	„არ გაგი-ვარდეს ბურთუ-ლა": აღმზრ-დელის ნი-შანზე მო-თამაშეებმა კოვზზე დადებული ბურთუ-ლით უნდა გადაკვე-თონ ფინი-შის ხაზი/	**ჩვენი ეზო** **აქტივობა:** "ამოვარჩიოთ საჭირო ნივთები".	მოვასმენინოთ სიმღერა ,,ერთ-პატარა ეზოს ჰყავდა ორი რეზო"	ვკითხოთ მი-უღიათ თუ არა ოდესმე მონაწილეობა ეზოს დასუფ-თავებაში?. თუ არა უნახავთ თუ არა ეს პროცესი? და გაუზიარონ ერთმანეთს რა უნდა გააკე-თონ რომ არ დაანაგვიანონ ეზო.
მასალები, რესურსე-ბი	ფიროსმანის "მეეზოვის" რეპროდუქცია		წიგნი	ცარცი	ფანქრები/ფლომას-ტერები,	მასალები, რე-სურსები	ფიროსმანის "მეეზოვის" რეპროდუქცია

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	ეზოს/ ფიზიკური თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემს-რულებლო ხელოვნება	შემაჯამებე-ლი შეხვედრა წრეში
პარასკევი ინდივი-დუალი-ზება	**ჩემი მასწავლებელი** ვისაუბროთ სკოლა-ზე, მასწავლებელზე. ვთხოვოთ ბავშვებს, ჩამოთვალონ საგნები, რომლებიც სკოლასთან არის დაკავშირებული; გავარკვიოთ, რა იციან უფროსი და-ძმების სასკოლო გამოცდილე-ბის შესახებ. ვკითხოთ, რომელიმეს თუ სურს გამოვიდეს მასწავლებე-ლი. ვთხოვოთ აღწერონ, როგორი მასწავლებელი მოსწონთ. ან აღწერონ ვიზიტი სკოლაში	**წესებიანი** თამაში: „გამოიცანი სიტყვა“ **პროექტი** ,,ჩემი უბანი - ჩემი სკოლა''	აღმზრდელი უკითხავს ლექსს ,,ჩვენი მასწავლე-ბელი'' და ესაუბრება ში-ნაარსზე. ასევე შესაძლებე-ლია წაიკით-ხოს ,,ნუცას სკოლა''	ჰიპ-ჰოპ	,,თამაში ჟესტებით''; ,,გამოვიძახო''?	ერთ-ერთი ბავშ-ვი ირგებს მუსი-კის მასწავლებ-ლის როლს. სთავაზობს მე-გობრებს შეარ-ჩიონ საკონცერ-ტო რეპერტუ-არი და შემსრუ-ლებლები .	ბავშვები ისაუბრებენ, როგორ მოემ-ზადებიან სკოლისათვის. რა ნივთების შეძენას სთხო-ვენ მშობლებს და რაში გამო-იყენებენ მათ.
მასალები, რესურსე-ბი			წიგნი	თოკი	წამზომი ან ქვიშის საათი; დაფა/ცარცი; მარკერი		

საქმიანობებათა ინსტრუქციები

აქტივობები

1. **ნაწნავი:** დავამზადებინოთ ბავშვებს ერთჯერადი თეფშებისგან ჯერ "თავები", შემდეგ დავეხმაროთ წებოვანი ლენტით "თმების" დამაგრებაში. "თმებისთვის" შეგვიძლია გამოვიყენოთ ძაფები და ლენტები. ვუჩვენოთ ბავშვებს, როგორ შეიძლება "თმის" ფანქარზე დახვევა.

2. **დააწყვე თანამიმდევრულობის დაცვით**: ბავშვებს ვყოფთ 2- ან 3-კაციან ჯგუფებად და ვთხოვთ, თანამიმდევრულობის დაცვით დააწყონ ნახატები, რომლებიც ასახავს ვიზიტს სილამაზის სალონში. წავახალისოთ ბავშვები, დაარქვან მთავარ გმირს სახელი და მოიფიქრონ ამბავი, ასევე წარმართონ დიალოგი სტილისტსა და კლიენტს შორის (იხ. ილუსტრაცია #28).

3. **დაბადების დღე:** შევთავაზოთ ბავშვებს მოიფიქრონ, თუ რის გაკეთებას მოისურვებდნენ მეგობრის დაბადების დღის წვეულებისთვის. ვთხოვოთ, რომ ყველამ დახატოს თავისი სურვილი სურვილი *ან* ჩავიწეროთ ბავშვების მიერ გამოთქმული სურვილები.

4. **აქტივობა: სურათის აღწერა - სურათი „საჭმლის მომზადება":** შევთავაზოთ ბავშვებს ილუსტრაციები. ვკითხოთ: რას აკეთებენ დედა და ბიჭუნა? რა პროდუქტები აწყვია მაგიდაზე? მათი აზრით, რომელ კერძს ამზადებენ? ამის შემდეგ გადავიდეთ მეორე ილუსტრაციაზე. ვკითხოთ: რამდენი ბავშვი ზის მაგიდასთან? რამდენი ფინჯანი აწყვია? როგორ ფიქრობთ, რატომ? შემდეგ შევთავაზოთ ილუსტრაციაზე გამოსახული ნივთების დათვლა ("მოდით, დავთვალოთ, რამდენ ადამიანს ელიან სტუმრად. ამისთვის ფინჯნები უნდა დავითვალოთ"). ბავშვებს შეიძლება ვთხოვოთ ამბების მოფიქრება ილუსტრაციებზე დაყრდნობით (იხ. ილუსტრაცია #29).

5. **მოდი, გავზომოთ:** შევთავაზოთ ბავშვებს, რომ ნაბიჯებით გაზომონ მათ მიერ მოწყობილი ექიმის ,,კაბინეტი'' (სიგრძესა და სიგანეში); ნაბიჯების რაოდენობა ცხრილში ჩაინიშნონ შესაბამისი ხაზების სახით.

6. **ფიროსმანის "მეეზოვე":** დავყოთ ბავშვები 4-კაციან ჯგუფებად, შევთავაზოთ ფიროსმანის ,,მეეზოვის'' რეპროდუქცია. ამის შემდეგ თითოეულ ჯგუფს მივცეთ ნაწილებად დაჭრილი ნახატი (ფაზლი) და ვთხოვოთ მისი აწყობა.

წესებიანი თამაშები /მოძრავი თამაშები

1. **აბა, მოიფიქრე:** წავახალისოთ ბავშვები, მოიფიქრონ პროფესიები, რომლებიც, სიტყვა "მეეზოვის" მსგავსად, იწყება ,,მ''-ზე (მაგ. მკერავი, მზარეული, მემანქანე, მოკრივე, მფრინავი). მოგვიანებით ვთხოვოთ ბავშვებს, ცალკე დაჯგუფდნენ ის ბავშვები, რომელთა სახელებიც იწყება ,,მ''-ზე.

2. **ჟესტებით აღწერა:** წავახალისოთ ბავშვები, ჟესტებით გამოხატონ მოქმედებები, რომლებიც აღწერს რომელიმე პროფესიის წარმომადგენლის საქმიანობას. სხვა ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, რა მოქმედება (რომელი პროფესიის წარმომადგენლის სპეციფიკური ქმედება) განასახიერა თანაჯგუფელმა.

3. **გამოიცანი სიტყვა:** ვუთხრათ ბავშვებს, რომ ჩავიფიქრეთ სიტყვა, რომელიც იწყება, მაგალითად, "ა"-ზე ("ა" ბგერაზე). გავუზიაროთ დამატებითი ინფორმაციაც (მაგ., ჩაფიქრებული სიტყვა არის ტრანსპორტი, აქვს ოთხი ბორბალი და ა.შ.), გავაგრძელოთ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება მანამდე, სანამ ბავშები არ გამოიცნობენ ჩაფიქრებულ სიტყვას. მგავსი წესებიანი თამაშის გამოყენება შეიძლება ტრანსპორტის სხვა სახეობებზეც.

4. **გადაეცი და ჩაჯექი**: ბავშვები იყოფიან ორ რიგად. პირველი გუნდი გაათამაშებს ბურთს: თანაგუნდელებს შორის, შემდეგ ამ გუნდის ერთ-ერთი მოთამაშე ბურთს საპირისპირო მხარეს გადააგდებს. ბურთის მეორე ჯგუფისთვის გადაცემის შემდეგ პირველი გუნდის მოთამაშეები ჩასხდებიან, ხოლო მეორე გუნდი ცდილობს დაიჭიროს. ახლა მეორე გუნდის წევრები იწყებენ ბურთის გათამაშებას. თუ რომელიმე ბავშვი ვერ მოასწრებს ჩაჯდომას, ის ტოვებს თამაშს და გულშემატკივრებში გადადის. იმარჯვებს ის გუნდი, ვისაც მეტი მოთამაშე რჩება.

5. **სილამაზის სალონში:** მოვიმარაგოთ სილამაზის სალონში საჭირო ნივთები: თმის საშრობი, სკამები, თმის სამაგრები, სავარცხლები, სარკეები და ა.შ. შესაძლებელია გამოვიყენოთ თემატური სათამაშოები ან რაიმე მიმსგავსებულ საგანს დავარქვათ ,,ფენი'' და ა.შ. წაახალისეთ ბავშვები, რათა განასახიერონ საქმიანობები, რომლებსაც, მათი აზრით, სილამაზის სალონში ასრულებენ. შეეცადეთ, რომ ამ დროს ბავშვებმა შესაბამისი დიალოგებიც წარმართონ ერთმანეთთან.

6. **წვეულება:** ვამზადებთ სუფრას წვეულებისათვის. ბავშვები თავად გაანაწილებენ როლებს (ვინ რას გააკეთებს) და განსაზღვრავენ დროს. ერთმა ჯგუფმა შეიძლება „დაამზადოს" იმდენი ნამცხვარი, რამდენი ბავშვიცაა ჯგუფში, მეორე ჯგუფმა - იმავე რაოდენობის ხილი. სხვადასხვა "კერძის" მომზადების შემდეგ ბავშვები ქმნიან

თავიანთი "რეცეპტის" ბარათს და ხატავენ კერძს. იქმნება "რეცეპტების წიგნი" წვეულებისთვის.

7. **რა ხდება ექიმის კაბინეტში?** ოთახის სივრცე ეწყობა საავადმყოფოს ექიმის კაბინეტის მსგავსად; ბავშვები ინაწილებენ ექიმების, ექთნებისა და პაციენტების როლებს. "ექიმი" სინჯავს "პაციენტს", წერს ,,დანიშნულებას''; "ექთანი" სიცხეს ზომავს ,,თერმომეტრით''. ამ დროს ბავშვები იყენებენ ხელნაკეთ ,,ჩანთას'', რომელშიც მოთავსებულია მათ მიერვე დამზადებული ხელსაწყოები.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **ცხენის კუდი**: წავახალისოთ ბავშვები, რომ დაწყვილდნენ და შეეჯიბრონ მეწყვილეს იმაში, თუ ვინ უფრო მალე მოჭრის "ცხენის კუდს" (მზადდება ძაფებისგან). გასათვალისწინებელია, რომ თითოეული ძაფი ცალ-ცალკე, სათითაოდ უნდა მოიჭრას.

2. **დაითვალე, რამდენი?** ბავშვებს ვყოფთ პატარა ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ვურიგებთ თითო ილუსტრაციას; ვთხოვთ დაითვალონ, რამდენი მაკრატელია გამოსახული ილუსტრაციაზე, რამდენი სავარცხელი ან სარკე. ამის შემდეგ კი შეგვიძლია მივცეთ მითითებები: "ხელი ასწიონ იმ ჯგუფის წევრებმა, რომელთა ილუსტრაციაზეც ხატია 5 სავარცხელი და 2 მაკრატელი", სხვ. შეგვიძლია უფრო დეტალური ინსტრუქციების მიცემაც, მაგალითად: "ვისი ნახატის ქვედა მარჯვენა კუთხეში პატარა მაკრატელია" და ა.შ. (იხ. ილუსტრაცია # 30).

3. **არ გამოტოვო მარცვალი:** ბავშვებს მივცეთ შემდეგი ინსტრუქცია: ჩვენ მათ ჩამოვუთვლით მარცვლებს, მათ კი ტაში უნდა შემოკრან წინასწარ შერჩეული მარცვლის წარმოთქმისას. მაგ., ბავშვებს ვუთანხმდებით, რომ ტაშს შემოკრავენ მარცვალზე ,,მა'' და ვუსახელებთ სხვადასხვა მარცვალს. აღნიშნულ აქტივობას ვიმეორებთ კვირის განმავლობაში სხვადასხვა მარცვლის გამოყენებით. როდესაც შევატყობთ, რომ ბავშვებმა კარგად აითვისეს ეს აქტივობა, შეგვიძლია შევთავაზოთ მსგავსი ჟღერადობის მარცვლები (კუ/ქუ/გუ; ჯი, ჩი, ცი) და ა.შ.

4.

დაამზადე მზარეულის ქუდი: აღნიშნული აქტივობა შეიძლება შესრულდეს წყვილებში. ბავშვებს ვუჩვენოთ ჩვენ მიერ შექმნილი მზარეულის ქუდი; ავუწეროთ, როგორ მზადდება იგი (მაგ., ჯერ ვჭრით თაბახის ფურცელს შუაზე; ამის შემდეგ გადავაწებებთ იმგვარად, რომ რკალი გამოვიდეს; შემდეგ ვიღებთ თაბახის ორ ფურცელს, რომლებსაც მარაოსავით ვკეცავთ და ვამაგრებთ ჩვენს რკალზე). ინსტრუქციის მიცემის შემდეგ ბავშვები წყვილებში მუშაობის გზით ქმნიან მზარეულის ქუდს.

5. ჩააწყვე ზომის მიხედვით: დავეხმაროთ ბავშვებს, რომ გაითამაშონ სამზარეულოს მოწესრიგების სცენა. შეგვიძლია რესურსად გამოვიყენოთ სათამაშო ჭურჭელი, რომელიც ერთმანეთში თავსდება (კალათები, ქვაბები, ტაფები). წავახალისოთ ბავშვები, რომ ეს საგნები ერთმანეთში ჩააწყონ (პატარები მოათავსონ დიდებში). აქტივობის დასასრულს დავუსვათ კითხვები: ,,რომელი იყო ყველაზე პატარა?'', ,,რომელი იყო ყველაზე დიდი?''.

6. მზარეულის ქუდის მემო: თამაშისთვის გამოვიყენოთ თავდაპირველად 6 წყვილი ბარათი. მზარეულის ან სხვა პროფესიების ადამიანების ქუდების გამოსახულებით (ბარათების დამზადება თავადაც შეგვიძლია). ვუჩვენოთ ბავშვებს სურათები, შემდეგ გადავაბრუნოთ იმგვარად, რომ ნახატი არ ჩანდეს. ავურიოთ ბარათები ერთმანეთში. პირველ ჯერზე რომელიმე ბავშვი აბრუნებს ბარათს, შემდეგ მისგან მარჯვნივ მჯდომი ბავშვი. თუ ბარათები არ არის ერთნაირი, უკანასკნელ ბარათს აბრუნებენ თავის ადგილზე. ამ დროს სხვა ბავშვები უნდა შეეცადონ დაიმახსოვრონ, თუ სად რომელი ბარათი დევს. ამის შემდეგ მომდევნო ბავშვი აბრუნებს ბარათს. თუ ბარათები დაემთხვევა, ამ ბარათს ტოვებენ ამობრუნებულს *ან* ბარათი მიაქვს მეორე (მომდევნო) ბავშვს. თამაშს აგრძელებს მისგან მარჯვნივ მჯდომი ბავშვი (იხ. ილუსტრაცია #31).



7. **გაფუჭებული ტელეფონი:** ბავშვები წრიულად სხდებიან. ჩავჩურჩულოთ ერთ-ერთ ბავშვს ფრაზა, მაგალითად: ,,გუშინ მზარეულმა იფ-იფმა შოკოლადის ორი ტორტი და ვაშლის უგემრიელესი ღვეზელი გამოაცხო''. ის, თავის მხრივ, ჩასჩურჩულებს ამ ფრაზას მისგან ხელმარჯვნივ მჯდომ ბავშვს და ა.შ. თითოეული ბავშვი ჩურჩულით გადასცემს ფრაზას მისგან ხელმარჯვნივ მჯდომს. ბოლო ბავშვმა ხმამაღლა უნდა წარმოთქვას ფრაზა. თუ ამბავი სწორად არის გადაცემული, მაშ ,,ტელეფონს'' კარგად უმუშავია. თუ ფრაზა შეცდომით იქნება ნათქვამი, ბავშვებს ვთხოვთ გაიმეორონ მეზობლის მიერ ჩურჩულით ნათქვამი ფრაზა. მას შემდეგ, რაც აღმოვაჩენთ, თუ სად მოხდა ცვლილება (ვინ შეცვალა ფრაზა), ,,ფრაზის შემცვლელი'' ბავშვი მოიგონებს ახალ წინადადებას.

8. **გამოიცანი:** წინასწარ გადავუღოთ ფოტო სათამაშო საექიმო ნივთებს, რომლებიც მოგვეპოვება ან გამოვიყენოთ სათანადო ილუსტრაცია. ამის შემდეგ ჩანთაში/ტომარაში ჩავყაროთ სათამაშო საექიმო კომპლექტი; ვუჩვენოთ ბავშვებს ილუსტრაცია და ვთხოვოთ, რომ ტომარაში ჩაუხედავად ამოიღონ ილუსტრაციის შესაბამისი ნივთი (უნდა ამოიცნონ შეხებით). შემდეგ ვისაუბროთ ბავშვებთან იმაზე, თუ რას წარმოადგენს ამოღებული ნივთი და რა დანიშნულება აქვს მას.

9. **ამოვარჩიოთ საჭირო ნივთები:** ვთხოვოთ ბავშვებს, რომ უსიტყვოდ, ჟესტების მეშვეობით აუხსნან ერთმანეთს ფოტოზე გამოხატული მეეზოვის ნივთების რაობა. ერთი ბავშვი "განასახიერებს" ნივთს (სხვები ილუსტრაციას ვერ ხედავენ), დანარჩენებმა უნდა გამოიცნონ: დაასახელონ ნივთები და აღწერონ, რისთვის გამოიყენება თითოეული მათგანი (იხ. ილუსტრაცია #32).

10. **თამაში ჟესტებით:** ვსხდებით წრიულად. თითოეულმა ბავშვმა დანარჩენებს ჟესტებით უნდა აუხსნას ისეთი რამ, რისი დამოუკიდებლად კეთებაც ცოტა ხნის წინ ისწავლა (მაგალითად, კბილების გამოხეხვა, ხელების დაბანა, თმის დავარცხნა, ფეხსაცმლის თასმის შეკვრა და სხვ.). დანარჩენებმა უნდა გამოიცნონ.

11. **გამოვიძახო?:** გავაკრათ ფორმატის ქაღალდი, რომელზედაც 6 ციფრია გამოსახული. თითოეულ ციფრს რიამე კონკრეტული დავალება შეესატყვისება. დავალებების მოფიქრება შეგვიძლია დამოუკიდებლად ან ბავშვების თანამონაწილეობით. დავალებთა ნიმუშები: 1) ლექსის თქმა; 2) ხატვა დაფაზე; 3) ასკინკილა 10 -ჯერ; 4) სამი ცხოველის დასახელება; 5) დასახელება 3-5 სიტყვისა, რომლებიც შერჩეულ ბგერაზე იწყება; 6) სასაცილო ამბის მოყოლა/მოგონება. ვირჩევთ ჯგუფიდან ერთ ბავშვს, რომელიც სხვებისკენ ზურგით დადგება. მივუთითოთ

რომელიმე ბავშვზე (ისე, რომ ზურგშექცევით მდგომი ამ ბავშვს ვერ ხედავდეს) და შეეკითხოთ: ”გამოვიძახო?”, წამყვანს შეუძლია გვითხრას „კი” ან „არა” (”არას” თქმა მხოლოდ 2-ჯერ შეუძლია). თანხმობის შემთხვევაში ბავშვი ასახელებს დავალების ნომერს. მითითებული ბავშვი ასრულებს დავალებას. თუ მას არ სურს კონკრეტული დავალების შესრულება, ამას ვითხოვთ მოხალისეებისგან. ამის შემდეგ გამოძახებული ბავშვი დადგება ჯგუფისკენ ზურგით, დავალების შესასრულებლად კი ხელახლა ამოვირჩევთ ახალ მონაწილეს და ა.შ.

პროექტები

1. **პროექტი „ჩემი უბანი - მზარეული”:** ბავშვები მუყაოს ყუთებისა და ფერადი ფურცლებისგან აკთებენ მაცივარს, გაზის ქურას. ძერწავენ ტაფებს, ქვაბებს. აწყობენ პატარა სამზარეულოს.

2. **პროექტი „ჩემი უბანი -ექიმი”:** ვხატავთ ექიმს, ექიმის კაბინეტს/ექიმის ნივთებს *ან* პატარა ყუთებში ვქმნით ექიმის კაბინეტს სათამაშოების, ფერადი ფურცლებისა და სხვა ნივთების გამოყენებით.

3. **პროექტი „ჩემი უბანი - მეეზოვე”:** ბავშვები ხატავენ, ქმნიან კოლაჟებს ან დიორამებს’, რომლებიც ასახავს მეეზოვის საქმიანობას. დიორამის კონსტრუქციის დამზადება შესაძლებელია თაბახის ფურცლების ყუთებისა და სათამაშოების გამოყენებით. მათში ბავშვები შექმნიან სამგანზომილებიან კომპოზიციებს.

4. **პროექტი „ჩემი უბანი - სკოლა”**: ბავშვები ქმნიან ნამუშევრებს საოცნებო სკოლის / მასწავლებლის თემაზე. დასასრულ, გავაერთიანებთ კვირის განმავლობაში შექმნილ ნამუშევრებს და წარმოვადგენთ მათ.

წიგნის დრო

ხოტორა

ზაფხულია, ცხელა, ცხელა,
ბუღი ასდის ქალაქს
და დედიკომ ჩვენი გელა
წაუყვანა დალაქს.
მაკრატელი აღუღუნდა:
კრიჭი, კრიჭი, კრიჭი:
და ხოტორა დაგვიბრუნდა
თმაქოჩორა ბიჭი.
დასცინიან მეგობრები,
ამშვიდებენ დები:
შემოდგომით ამოგივა
უკეთესი თმები.

ნ. კილასონია

***

სილამაზის სალონი

წერომ გახსნა ტბისპირზე
„სილამაზის სალონი“,-
გამოხადა „ჭინჭრის რძე“,
„პიტნის ოდეკალონი“.
მაკრატელი უჭირავს
ხელში, როგორც წესია,
რა ვუყოთ, რომ ბლაგვია,
ცოტა გასალესია.
რიგი დახვდა მხეცების,
რიგი ყველგან რიგია,-
მახინჯები მოდიან,
ლამაზები მიდიან.
სპილომ იგრძნო პირველმა
სიკოხტავის სიკეთე-
ყოველ დილა-საღამოს
„პედიკურებს“ იკეთებს.
ვინ ახსენა აუგად,
მგელზე თქვეს, რომ ავია?
ავკაცობის რა უგავს,
წვერგაუპარსავია.
ლომს ნურავინ ნუ არცხვენს,
სასაცილო რა სცხია,-
ცოტა გასაკრეჭია,
ცოტაც დასავარცხნია.
კუს გაკრეჭა რად უნდა? –
მწყრალად არის ბალანთან.
თავხოტორა - კოტორა
მაინც დადის დალაქთან.
ზღარბმა ბევრი იფიქრა,
ბოლოს ტყისკენ გაბრუნდა,
რა ქნას, რაკი მაკრატლის
გაგონებაც არ უნდა?!

მ. ფოცხიშვილი

წამალი

- ძია, არ შეიძლება, უფრო ადრე დაამზადო წამალი? ავადაა დედაჩემი, მეჩქარება. თუ მატარებელს ვერ მოვუსწარი, ფეხით უნდა წავიდე სოფელში.

- რა გიყო ბიჭუნა, წამლის დამზადებას დრო სჭირდება. უნდა მოიცადო! - უპასუხა აფთიაქარმა.

სანდრომ ერთხანს აფთიაქის წინ იტრიალა, შემდეგ ქალაქის ბაღისაკენ შეუხვია. ბაღის წინ მინაში ჩასმულ სურათებს დაუწყო თვალიერება. სურათები რომ დაათვალიერა, სანდრო მოედანზე გავიდა. ქალაქის საათს შეხედა და აფთიაქს მიაშურა. როცა წამალი მისცა, აფთიაქარმა ჰკითხა:

- სად ცხოვრობ?
- აქვე, მეზობელ სოფელში, - უპასუხა სანდრომ.
- აბა გაიქეცი, არ დაგაგვიანდეს!

სანდრომ შუშა ხელში ჩაბღუჯა და კარებისკენ გაიქცა. აფთიაქარმა თავი გააქნია:

- საწყალი ბიჭი, მიუსწრებს? .....

სანდრო სწორედ მაშინ გავიდა ბაქანზე, როცა უკანასკნელი ვაგონი ბაქანს შორდებოდა.

რა ქნას, იცადოს ხვალამდე? როგორ შეიძლება ლოდინი, დედა წამალს ელის. სანდრომ გადაწყვიტა, ფეხით წასულიყო. მის სოფლამდე ათიოდე კილომეტრია. ჩქარა დაღამდება კიდეც, მაგრამ ეჭვი არ ეპარება, რომ დროზე მიუტანს დედას წამალს.

თვალწინ მხოლოდ ავადმყოფი დედა ედგა. ბიჭი მოტრიალდა და გაუდგა გზას. შორს ტყე გამოჩნდა. სწორედ ეს ტყე უნდა გაევლო სანდროს. ბიჭი სულმოუთქმელად გარბოდა.

ბნელი ღამე ჩამოწვა.

ერთგან რაღაც უზარმაზარი აისვეტა სანდროს წინ. იმ უზარმაზარს ხელები აშვერილი ჰქონდა, თავი კი დახრილი, თითქოს სანდროსაკენ მოდიოდა. სანდრო განზე გახტა. ხეს ამოეფარა. მერე უცებ გაიცინა, მიხვდა, რომ გატეხილი ხე იყო, რომელსაც ორი ტოტიღა შერჩენოდა.

„ფუ, ხემ როგორ უნდა შემაშინოს!“ - გაიფიქრა და თავის გასამხნევებლად სიმღერა დაიწყო.

უცებ ცეცხლივით მბზინავმა წერტილმა გაიელვა.

„მგელი!“ - გააჟრჟოლა სანდროს და წამლის შუშა მკერდზე მიიკრა. მაგრამ მგელი არსად ჩანდა. ის წერტილი კვლავ ანათებდა.

„ფუტურო კუნძი ანათებს, როგორ ვერ მივხვდი?!“ - გადაწყვიტა სანდრომ და ტყეში გზა განაგრძო, მაგრამ გულს მაინც ბაგაბუგი გაჰქონდა. ისევ სიმღერა წამოიწყო. თითქოს ამ სიმღერით შიშს ივიწყებდა. აი, რას მღეროდა:

დედა, დედა, ჩემო დედა,

ჩემო კარგო დედიკონა!

„რამდენი გზა გავიარე!“ - გაიფიქრა სანდრომ და სული მოითქვა. უცებ ძახილი მოესმა:

- სანდრო!, ა-უ-უ-უ!

გაშეშდა. ვინ ეძახის? ვინ იცის, რომ სანდრო ბნელ ტყეში მარტო მიდის?

- სანდროო! - ისევ მოესმა სანდროს. უპასუხოს? არა, არ უპასუხებს.... სანდრომ გზა განაგრძო. მიდის გამალებული.

უცებ ღამის სიჩუმეში თოფმა იგრიალა.

სანდრო შეკრთა: უთუოდ ვიღაც კაცია შორიახლოს, ჩქარა თოფის ხმას ადამიანის ძახილიც მოჰყვა:

- სანდრო, ა-უ-უ-უ!

„ნაცნობი ხმაა!“ - გაიფიქრა სანდრომ, სიხარულისგან აცახცახდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა.

- აქა ვარ! უ-უ-უ!
- არ შეგეშინდეს მე ვარ, ამბაკო! - მოესმა სანდროს.
- ამბაკო ბიძია! - წამოიძახა სანდრომ და წინ გაიქცა.

მალე ღამის სიბნელეში მაღალი, თოფიანი კაცი გამოჩნდა. კაცმა გულში ჩაიკრა ბავშვი.

- ხომ არ შეგეშინდა, ბიჭო?
- ცოტა კი... მაგრამ სულ სიმღერ-სიმღერით მოვდიოდი. - უთხრა სანდრომ.
- მღეროდი? ჰო, ჰო მეც გამომიცდია, შიშს სიმღერის ეშინია! - გაიცინა ამბაკომ.
- ჰო, მაგრამ საიდან იცოდით, რომ ფეხით წამოვედი?
- აფთიაქარმა დარეკა ჩვენთან სოფელში. მე დამავალეს შენ შეგხვედროდი. აბა, ვიჩქაროთ, წამალი მივუტანოთ დედაშენს!

წამალი დროზე მიუტანეს დედას!

როდიონ ქორქია

მე-9 კვირა

თემა: „როგორ ქმნიან ნივთებს” – I კვირა

თემა მუშავდება ორი კვირის განმავლობაში. პირველ კვირას ბავშვები ეცნობიან, როგორ მზადდება სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთი: ავეჯი, ტექნიკა, ჭურჭელი; იგებენ, რა პროფესიის ადამიანები ამზადებენ მათ; რა მასალისგან მზადდება ეს ნივთები და რა ფუნქციები აქვს თითოეულ ნივთს; დააკვირდებიან, რამდენად განსხვავდება მათი დიზაინი.

მეორე კვირის განმავლობაში ბავშვები გაეცნობიან ხელოვნების ნიმუშებს, კლასიკურ და თანამედროვე ქანდაკებებს; იმსჯელებენ მათ დანიშნულებასა და ფორმებზე.

თემაზე მუშაობისას ბავშვებს მიეცემათ შესაძლებლობა, დააკვირდნენ სხვადასხვა მასალას, დააჯგუფონ ისინი გარკვეული ნიშნის მიხედვით, იპოვონ მსგავსება და განსხვავებები, ჩაიხატონ და შექმნან სამგანზომილებიანი ნაკეთობები, აღწერონ საკუთარი ნამუშევრები. თემა იძლევა აგრეთვე მრავალი სხვადასხვა როლური თამაშის წარმართვის საშუალებას: ეს შეიძლება იყოს "სახელოსნოში", "სადურგლოში" ან "მაღაზიაში" გასათამაშებელი სცენები.

თემა განსაკუთრებით შეუწყობს ხელს შემოქმედებითი და კრიტიკული ანალიზის უნარების, ნატიფი მოტორიკისა და მეტყველების განვითარებას.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი ინდივიდუალიზება	საუბარი ნივთებზე	აქტივობა: ნივთების დახატვა, ნივთების დამზადება. წესებიანი თამაში:საოჯახო ნივთებისა და ავეჯის ლოტო. როლური თამაში: ძველებური ნივთების მაღაზია. **აქტივობა:** როგორ მუშაობს?	ჯანი როდარის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“ 	იპოვე საჭირო ფერი.	წესებიანი თამაში: გამოიცანი, რა ნივთია; თამაში: ვინ რა გაკეთა ?; აქტივობა: მარცვლის ამოცნობა სიტყვის დასაწყისში.	ნივთების მუსიკა https://www.youtube.com/watch?v=Svg_fIoHij8	შეჯამება: ვისაუბროთ მიღებული გამოცდილების შესახებ, ბავშვები აღწერენ და წარმოადგენენ აქტივობების შედეგებს .

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები, რესურსები	ჯგუფში არსებული ან სახლიდან მოტანილი სხვადასხვა საინტერესო ნივთი ან ავეჯი(საფანქრე, სკამი, თარო, ჩაიდანი, ძველებური ტელეფონი, კედლის საათი და სხვა).	ნივთები, ფურცლები და უბრალო ფანქრები, სათამაშო სალარო, სათამაშო ფული, საინტერესო ნივთი ან ავეჯი; საფანქრე, სკამი, ჩაიდანი, ძველებური ტელეფონი, კედლის საათი და სხვა.	ჯანი როდარის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“		ოთხი ან ხუთი სხვადასხვანაირი სკამი, ცხრილები მონაცემების ჩასანიშნად, ფერადი ფანქრები.	ტელეფონი, ჩაიდანი, ქვაბის თავსახურები და კოვზები, წყლიანი ჭიქა და სხვა.	
სამშაბათი	ნივთების შედარება; აქტივობა: მოიფიქრე სიტყვა	პროექტი:„სკამი“ 1 კვლევა - რამდენ ფეხიანი სკამი არის უფრო მყარი. როლური თამაში: ძველებური ნივთების მაღაზია წესებიანი თამაში: აღწერე შენი ნივთი.	ჯანი როდარის ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები: „უკუთხო და უკუნჭულო ქვეყანა“, „დასანგრევი სახლი“	ეზოს სკამი დარბაზი: მუსიკალური სკამი	მონაცემების ცხრილი.	ვიდეოს ნახვა. სკამების მუსიკა https://www.youtube.com/watch?v=a9OEBH4HmzY	შეჯამება: ბავშვები ისაუბრებენ მიღებული გამოცდილების შესახებ, აღწერენ და წარმოადგენენ დაკვირვების შედეგებს, მოყვებიან, რა გაუჭირდათ და როგორ გადაჭრეს პრობლემა.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები	ერთი სახეობის რამდენიმე განსხ-ვავებული ნივთი (მაგ. სხვადასხ-ვანაირი სკამი: ტა-ბურეტი, მისაყუ-დებელი, სამფეხა, პლასტ-მასისა და სხვა).	კუბურებისა და ხელოვნების ცენ-ტრის მასალები, რამდენიმე სახის სკამი: ტაბურეტი, მისაყუდებელი, სამფეხა, პლასტ-მასისა და სხვა. სათამაშო სადურ-გლო აღჭურვი-ლობა	ჯანი როდარის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“	ხელმისაწვდო-მი ბუნებრივი მასალები. მუსიკალური ცენტრი, ჯგუ-ფის ბავშვების რაოდენობის შე-საბამისი სკამი.	რამდენიმე სახის სკამი: ტაბურეტი, მისაყუდებელი, სამფეხა, პლასტმა-სისა და სხვა.	დივიდი ან მუ-სიკალური ცენ-ტრი, სკამები.	
ოთხშაბა-თი ინდივი-დუალი-ზება	ძველებური ნივ-თები	წესებიანი თამაში:ნივთების მემო. პროექტი „სკამი“ 2.ორნამენტები აქტივობა:მუყაოს ავეჯი როლური თამაში : ძველებური ნივ-თების მაღაზია.	ჯანი როდარის ტელეფონით მო-ყოლილი ზღაპ-რები: "ზარების ომი“, „შოკოლა-დის გზა“.	თამაში: სკამე-ბის შეცვლა.	აქტივობები: დააწყ-ვილე ნივთები. რომელია უფრო მძიმე?	სკამების მუ-სიკა	შეჯამება: ბავშვები ისაუბ-რებენ მიღებული გამოცდილების შესახებ, წარმოადგენენ აქტივობების შედეგებს, ასევე შექმნილ ნამუშევ-რებს.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები	ძველებური სკამე-ბის ფოტოები. http://amigo.ge/saunjegallery/thumbnails.php?album=373&page=1 http://www.antiquesatlas.com/antiques/antique-furniture/Chinese	სკამების ფოტო-ების წყვილები (ვიწყებთ ოთხით და ავდივართ ათ წყვილზე). ორნამენტების ფოტოები მუყაოს ყუთები, სკოჩი, წებო. ქსო-ვილები. http://platinum-im.net/?im=-ancient-greek-ornament-set-for-design-&image_id=4744293&system_id=1http://www.123rf.com/photo_8325145_set-of-antique-furniture.html	ჯანი როდარის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“	ჯგუფის ბავშ-ვების რაოდენო-ბის შესაბამისი სკამი.	სხვადასხვა სახის სკამების ფოტოები (დაახლოებით ერთი ზომის ხის ,რკინის, პლასტმასის სკამები);ნაჭრები, სასწორი.	სკამები.	
ხუთშაბა-თი ინდივი-დუალი-ზება	თანამედროვე ნივ-თები	პროექტი: სკამი (3 სკამის დიზაინი); როლური თამა-ში: დიზაინერის ოფისი; აქტივობა: შექმე-ნი მარტივი მოძ-რავი მექანიზმი.	ჯანი როდარის ”ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები: “შუ-შის ბიჭი” “ყავარჯენი”.	აქტივობა: იპოვე საჭირო მასალა. (ვარიაცია)	მონაცემების ცხრი-ლი შეუსაბამე ნივთი ადგილს.	სკამების მუ-სიკა	ბავშვები მოყვე-ბიან მათ მიერ შექმნილი სკამე-ბის ესკიზების შესახებ.

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
მასალები/ რესურსები	თანამედროვე მულტიფუნქცი-ური ავეჯისა და ნივთების ფოტო-ები.	ფურცლები, უბ-რალო და ფერადი ფანქრები. ნაყინის ჯოხები, საკანცელარიო რეზინა, სკოჩი, ასანთის ცარიელი კოლოფები, სა-თამაშო მანქანის ბორბლები ან ღი-ლები და სხვა.	წიგნი „ტელე-ფონით მოყოლი-ლი ზღაპრები“		წინასწარ გამზადე-ბული ცხრილები. სხვადასხვანაირი სკამები.	სკამები	
პარასკევი ინდივი-დუალი-ზება	სტუმრად ექსპერ-ტი	პროექტი: სკამი (4. სკამების დამ-ზადება).	ჯანი როდარის ”ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები: “რა-ტომელა უკუღ-მართის არაკი”, “ამბავი ვარსკ-ვლავებისაკენ წასული ლიფტისა”.	შეჯიბრი:გრძელ სკამზე	თამაში : კუბი	სკამების გამო-ყენება დასაკ-რავად. სკამების მუსი-კის შექმნა.	ბავშვები შეაჯა-მებენ მიღებულ ინფორმაციას.
მასალები და რესურ-სები	ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, მავთუ-ლი, თოკი, სკოჩი, ხის ნაჭრები და სხვა წინასწარ შერ-ჩეული საჭირო მასალა.	ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, თოკი, სკოჩი, ხის ნაჭ-რები და სხვა წი-ნასწარ შერჩეული საჭირო მასალა.	ჯანი როდარის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“	შეჯიბრი გრძელ სკამზე	კუბი	სკამები	

საქმიანობათა ინსტრუქციები

აქტივობები

1. **საუბარი ნივთებზე: გ**ავესაუბროთ ბავშვებს ჩვენ გარშემო არსებულ ნივთებზე; ვთხოვოთ, ჩამოთვალონ ჯგუფში ან სახლში არსებული სხვადასხვა ნივთი; ვკითხოთ - ვინ იგონებს და ქმნის ნივთებს? რისთვის ვიყენებთ სხვადასხვა ნივთს?

2. **ნივთების ჩახატვა:** ბავშვები იყოფიან მცირე ჯგუფებად და ირჩევენ საგანს, რომელსაც ჩაიხატავენ.

3. **ნივთების დამზადება:** ხელოვნების ცენტრის მასალების გამოყენებით ბავშვები ამზადებენ არჩეული ნივთების მოდელებს.

4. **„ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“**: ჯანი როდარის ამ წიგნიდან რეკომენდებულია ზღაპრები სხვადასხვა სახის ნივთებზე. შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ იმ ნივთებზე, რომლებიც გვხვდება ზღაპრებში; მასალაზე, რომლისგანაც ეს ნივთებია დამზადებული, ნივთების დანიშნულებაზე.

5. **როგორ მუშაობს:** შევთავაზოთ ბავშვებს რაიმე მექანიზმიანი ნივთის დაშლა. ამ გზით ბავშვები გაეცნობიან მექანიზმის მუშაობის პრინციპს. ეს შეიძლება იყოს სათამაშო მანქანა, დიდი საათი, ტელეფონი და ა.შ. (დავიცვათ უსაფრთხოების წესები).

6. **ნივთების შედარება:** შევთავაზოთ ბავშვებს, შეადარონ ერთმანეთს ბაღში არსებული სხვადასხვანაირი ნივთები: სკამები, მაგიდები და სხვ. (ფორმის, ზომის, ფერის, მასალის/ფაქტურის მიხედვით).

7.

   ეზოს სკამი: ბავშვები ეზოში არსებული ხელმისაწვდომი ბუნებრივი მასალებისგან (ქვებისგან, ტოტებისგან, ფოთლებისგან, სხვ.) ქმნიან სკამების მოდელებს.

8. **ძველებური ნივთები:** ვუჩვენოთ ბავშვებს ძველებური ავეჯისა და სხვა ნივთების ფოტოები ენციკლოპედიიდან (ქართული ჩუქურთმიანი, ძველებური აღმოსავლური და ევროპული ავეჯის ნიმუშები). ბავშვები აღწერენ ნივთებს და საუბრობენ, რომელი მოეწონათ ყველაზე მეტად და რატომ (იხ. ილუსტრაცია 33).

9. **მუყაოს ავეჯი:** ბავშვები ამზადებენ ძველებური ავეჯის სამგანზომილებიან მოდელებს მუყაოს დიდი ყუთებისგან და აფორმებენ ქსოვილებით.

10. **თანამედროვე ნივთები:** ვიმსჯელოთ ბავშვებთან თანამედროვე დიზაინის ავეჯსა და ნივთებზე (მათ შორის სკამებზე): ვისაუბროთ იმაზე, თუ ვინ ქმნის ამ ნივთებს, რა დანიშნულება აქვთ მათ, როგორი სკამები სჭირდებათ ადამიანებს, რომლებიც ვერ დადიან (ვერ ხედავენ?). ვკითხოთ ბავშვებს აზრი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ნივთების დიზაინი, რა ფუნქცია შეიძლება დაემატოს ამა თუ იმ ნივთს.

11. **შექმენი მარტივი მოძრავი მექანიზმი:** ასეთი მექანიზმის დასამზადებლად ბავშვებს დასჭირდებათ პატარა ბორბლები, საჰაერო ბუშტი, საკანცელარიო რეზინი, მავთულები, ასანთის კოლოფები, ნაყინის ჯოხები და ა.შ. მოვიფიქროთ და განვსაზღვროთ, როგორი მექანიზმი უნდა ვუჩვენოთ ბავშვებს იმისათვის, რათა შემდეგ დამოუკიდებლად შეძლონ მისი სხვადასხვა ვარიაციის შექმნა. ეს შეიძლება იყოს: სათამაშო მანქანაზე დამაგრებული საჰაერო ბუშტი, რომელიც ჩაფუშვისას აამოძრავებს მანქანას (იხ. http://www.clohe-movingtoys.eu/www/Home_EN/Automata_Gallery_Mechanisms.htm); ნაყინის ჯოხებისგან შექმნილი მანქანა, რომელიც რეზინის თოკით მოძრაობს (იხ. http://www.instructables.com/id/Slingshot-Cars/?ALLSTEPS_; ასანთის კოლოფების პინოქიო.



გთავაზობთ მოძრავი მანქანის შექმნის ინსტრუქციას:

ბავშვები შექმნიან ავტომობილს, რომელსაც შეუძლია გადაადგილდეს, სულ მცირე, 10 მეტრის მანძილზე. მის შესაქმნელად შეგვიძლია გამოვიყენოთ: ნაყინის 8 ჯოხი, 4 ბორბალი, 2 ფანქრის სისქის ჯოხი, რეზინის რგოლი, წებოვანი ლენტი, წებო და კუბები (თუ ბავშვები მოისურვებენ მანქანის მოდიფიცირებას).



ნაბიჯი 1. ვქმნით ძირითად ჩარჩოს. იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფორმისა ან ზომის. ჩვენ ვიყენებთ მართკუთხა ჩარჩოს, რადგან მას ნამდვილი მანქანის მსგავსი პროპორციები აქვს და ასაწყობადაც ძალზე ადვილია.



ნაბიჯი 2. ფანქრის სისქის ჯოხზე ვამაგრებთ ბორბლებს.

ნაბიჯი 3. ვკრავთ ჩარჩოს ისე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები.

ნაბიჯი 4. ვაკეთებთ სკრეპიდან კაუჭს.

ნაბიჯი 5. წებოვანი ლენტით ვამაგრებთ კაუჭს ნაყინის ჯოხზე.

ნაბიჯი 6. აღნიშნულ ჯოხს ვამაგრებთ უკვე შექმნილ კონსტრუქციაზე.



ნაბიჯი 7. ვამზადებთ გამწევს.

ნაბიჯი 8. ავამოძრავებთ ავტომობილს. ავტომობილი მოვათავსოთ სწორ ზედაპირზე. კაუჭის მიმართულება გვიჩვენებს მანქანის მოძრაობის მიმართულებას. ერთი ხელით დავიჭიროთ მანქანის უკანა ხიდი, ხოლო გამწევი დავიჭიროთ დიდი და საჩვენებელი თითებით. ფრთხილად გავწიოთ კონსტრუქცია წინ და ავამოძრავოთ მანქანა.



ექსპერტის სტუმრობა: მოვიწვიოთ ადამიანი, რომელიც შეძლებს, გაესაუბროს ბავშვებს ნივთებისა და ავეჯის დამზადების ტექნიკურ ხერხებზე (მაგ.: ქაღალდის, მუყაოს, ხის, ქსოვილის ერთმანეთზე დამაგრება, დაწებება, დასტეპლერება, თოკით შეკვრა და ა.შ.). ამ ცოდნას ბავშვები გამოიყენებენ პროექტზე მუშაობისას, სტუმრად შეიძლება მოვიწვიოთ სათანადო გამოცდილების მქონე მშობელიც. სასურველია, ექსპერტი დაეხმაროს ბავშვებს პროექტზე მუშაობის დროს.

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. **იპოვე საჭირო ფერი**: ავირჩევთ წამყვანს, დანარჩენები მის გარშემო დგანან. წამყვანი ასახელებს რომელიმე საგანს, მოთამაშეები უნდა აქეთ-იქით გაიფანტონ, იპოვონ ამ საგნის ფერის შესაბამისი მასალა და შეეხონ მას ხელით, ამ დროს წამყვანი ცდილობს დაიჭიროს ბავშვი, რომელიც ჯერ არ შეხებია საჭირო საგანს, დაჭერილი მოთამაშე ხდება წამყვანი.

2. **აღწერე შენი ნივთი:** ორი ბავშვი სხდება ერთმანეთის პირისპირ. ერთ-ერთი ბავშვი აღწერს ნივთს (რა ფერია, რა მასალისგანაა დამზადებული), მეორე იხატავს და დასრულების შემდეგ აჩვენებს მოკარნახეს თავის ნახატს. ბავშვები შეადარებენ, ჰგავს თუ არა ნახატი ჩაფიქრებულ საგანს.

3. **მუსიკალური სკამი:** თამაშისთვის დაგვჭირდება ბავშვების რაოდენობაზე ერთით ნაკლები სკამი. სკამები დავაწყოთ წრიულად, ზურგით წრის ცენტრისკენ და ჩავრთოთ მუსიკა, ბავშვები მოძრაობენ სკამების გარშემო. მუსიკის გათიშვის შემდეგ ბავშვები სკამებზე სხდებიან. ბავშვი, რომელიც სკამის გარეშე დარჩება, თამაშიდან გადის, თამაშის გასაგრძელებლად ისევ გამოვაკლებთ ერთ სკამს, შემდეგ - კიდევ ერთს და ა.შ. გამარჯვებულია ბოლოს დარჩენილი მონაწილე.

4. **ნივთების მემო:** მეხსიერების თამაშის, მემოს, სათამაშოდ შევთავაზოთ ბავშვებს ნივთების ფოტოების ან ნახატების წყვილები.

5. **სკამების შეცვლა:** ბავშვები სხედან წრიულად მდგარ სკამებზე. ბავშვებს ვაცნობთ პირობას - ვეუბნებით, რა შემთხვევაში უნდა გაცვალონ სკამები. მაგალითად, როდესაც ვიტყვით: "შეცვალეთ სკამები, თუ გაცვიათ ლურჯი". ის ბავშვები რომლებსაც ლურჯი ფერის სამოსი აცვიათ, დგებიან და ადგილს უცვლიან ერთმანეთს.

6. **იპოვე საჭირო მასალა:** ბავშვები აირჩევენ წამყვანს, დანარჩენები მის გარშემო დგანან. წამყვანი ასახელებს რომელიმე საგანს, მოთამაშეები უნდა გაიფანტონ და იპოვონ რაიმე საგანი, რომელიც დამზადებულია დასახელებული ნივთის მასალის გამოყენებით. მოძებნილ ნივთს ბავშვები ხელით უნდა შეეხონ. ამ დროს წამყვანი ცდილობს დაიჭიროს ბავშვი, რომელიც ჯერ არ შეხებია საჭირო საგანს.დაჭერილი მოთამაშე ხდება წამყვანი.

7. **შეჯიბრი გრძელ სკამზე:** დავყოთ ბავშვები ორ ჯგუფად და მოვაწყოთ ესტაფეტა გრძელი სპორტული სკამების გამოყენებით: სიარული, გარბენა, წონასწორობის შენარჩუნება. სკამები შეიძლება ჩავანაცვლოთ იატაკზე ცარცით დახაზული ზოლით ან დაწებებული ფერადი ლენტით.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **მარცვლის ამოცნობა სიტყვის დასაწყისში:** ბავშვებს გავაცნობთ აქტივობის არსს - ჩვენ ჩამოვთვლით სხვადასხვა სიტყვას, მათ კი ტაში უნდა შემოკრან, თუ სიტყვა იწყება მარცვალზე „პა". ვასახელებთ სიტყვებს: პატარა, პური, პაპა, მაწონი და ა.შ. აღნიშნული აქტივობის განხორციელება შეგვიძლია კვირის განმავლობაში.

2. **გამოიცანი, რა ნივთი ჩავიფიქრე:** ვთხოვოთ ერთ-ერთ მონაწილეს, ჩაიფიქროს რაიმე ნივთი, შემდეგ კი აღწეროს ისე, რომ არ დაასახელოს იგი. დანარჩენი მონაწილეები ცდილობენ გამოიცნონ ჯგუფელის მიერ ჩაფიქრებული ნივთი. ის მონაწილე, რომელიც არასწორად დაასახელებს ნივთის სახელს, გამოეთიშება თამაშს. ის, ვინც გამოიცნობს, ჩაიფიქრებს შემდეგ ნივთს.

3. **ვინ რა გააკეთა?:** შევთავაზოთ ბავშვებს ფოტოები სხვადასხვა საგნის გამოსახულებებით. ბავშვები აჯგუფებენ ნივთების ფოტოებს იმის მიხედვით, თუ ვინ/რამ შექმნა ეს ნივთები. ნივთები ორ კატეგორიად იყოფა: 1.ადამიანის მიერ შექმნილი ნივთები. 2. ბუნების მიერ შექმნილი ნივთები (აქტივობის გასართულებლად შეიძლება დავამატოთ მესამე კატეგორიაც - ბუნებისა და ადამიანის მიერ შექმნილი ნივთები).

4. **მონაცემების ცხრილი:** შევთავაზოთ ბავშვებს ცხრილი, რომელშიც ისინი შეძლებენ ნივთებზე დაკვირვების შედეგების ჩანიშვნას გრაფიკული სახით.

   1. ფერი
   2. მასალა
   3. ფორმები (რა ფორმებისგან შედგება)

ფერი	
მასალა	
ფორმები	

5. **დააწყვილე ნივთები:** შევთავაზოთ ბავშვებს სხვადასხვა ნივთის ფოტოები ან ნახატები, ბავშვებმა უნდა დააწყვილონ გამოსახულებები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (მაგ. ორი ხის, ორი ძველებური, ორი შავი და ა.შ.).

6. **რომელია უფრო მძიმე?** შევთავაზოთ ბავშვებს დაახლოებით თანაბარი ზომის საგნები, რომლებიც დამზადებულია სხვადასხვა მასალისგან (ხისგან, რკინისგან, პლასტმასისგან). ბავშვები წონიან ამ მასალას პინებიანი (თეფშებიანი) სასწორის მეშვეობით, ადარებენ ერთმანეთს; ინიშნავენ, რომელია ყველაზე მძიმე ან ყველაზე მსუბუქი; ახარისხებენ საგნებს წონის მიხედვით (იწყებენ ყველაზე მსუბუქიდან, ამთავრებენ ყველაზე მძიმეთი ან პირიქით).

7. **მონაცემების ცხრილი:** ვთხოვოთ ბავშვებს, შეავსონ ცხრილი სამ მონაცემზე დაკვირვების საფუძველზე. ეს მონაცემებია: 1. ზომა; 2. კონსტრუქცია; 3. წონა. ბავშვები თავდაპირველად ცხრილში ჩაინიშნავენ, რომელი ნივთია ყველაზე დიდი, რომელია შედარებით უფრო პატარა; რომელია ყველაზე მსუბუქი და ა.შ.

8. **შეუსაბამე ნივთი ადგილს:** წინასწარ დავხატავთ ან ამოვჭრით ფოტოებს და გავაკეთებთ სამუშაო ფურცელს, რომელზედაც არეულად იქნება გამოსახული ადგილები და მათი შესაბამისი ნივთები (მაგ., ავტობუსის სკამი, თეატრის სკამი, სკოლის სკამი, ეზოს სკამი). ბავშვებმა უნდა დააკავშირონ ნივთი შესაბამის ადგილთან (თეატრის, ავტობუსის, ეზოს გამოსახულებებთან).

9. **თამაში - კუბი:** ქაღალდის ან მუყაოსგან დავამზადოთ კუბი, რომლის წახნაგებზე დავაწერთ ექვს მითითებას:

   1. დაასახელე, რა ნივთია?
   2. შეადარე ჩვენს ოთახში არსებულ ნივთებს.
   3. თქვი, რას გაგონებს?
   4. აღწერე, როგორია (რა ფერია, დიდია თუ პატარა, რა მასალისგანაა დამზადებული);
   5. რაში შეიძლება ის გამოიყენო?
   6. შეაფასე, მოგწონს თუ არა?

ბავშვებს დავურიგებთ სხვადასხვა ნივთის ფოტოებს და კამათლის გაგორების შემდეგ წავუკითხავთ შეკითხვას.

პროექტები

პროექტი „სკამი“

1. **კვლევა:** შევთავაზოთ ბავშვებს გამოიკვლიონ, რამდენფეხიანი სკამია უფრო მყარი. ბავშვები გააკეთებენ კონსტრუქციას ხის ტოტების *ან* კუბურების ნაჭრების *ან* სხვა მოსახერხებელი მასალის გამოყენებით, იმსჯელებენ, რომელი სკამია უფრო მყარი, გამოცდიან ორ-, სამ, ოთხ-, ხუთფეხიან ან სხვა დიზაინის/ფორმის სკამებს; იმსჯელებენ, რომელი ფორმის სკამი უფრო მოსახერხებელია და რატომ. ბოლოს ბავშვები წარმოადგენენ სკამს, რომელიც მათ ყველაზე მყარად მიაჩნიათ და ახსნიან თავიანთ მოსაზრებას (შეეცდებიან დასაბუთებასაც).

2. **ორნამენტები:** დავათვალიერებინოთ ბავშვებს ძველებურ სკამებზე გამოყენებული ორნამენტები; შევთავაზოთ მათი გადახატვა, ასევე საკუთარი ორნამენტების შექმნა მოზაიკის ან გეომეტრიული ფიგურების გამოყენებით (იხ. ილუსტრაცია #34).

3. **სკამის დიზაინი:** ბავშვები მოიფიქრებენ და ჩაიხატავენ საკუთარი ფანტაზიით შექმნილ სკამებს. ვთხოვოთ დაასახელონ, რა დამატებითი ფუნქციები აქვს მათ მიერ შექმნილ მოდელებს (მაგ., გადაადგილდება ბორბლებით, ღილაკებით, სხვ.) და რა დასჭირდებათ მათ დასამზადებლად.

4. **სკამების დამზადება:** ბავშვები ამზადებენ სკამის სამგანზომილებიან მოდელებს საკუთარი პროექტების მიხედვით.



როლური თამაშები

1. **ძველებური ნივთების მაღაზია:** სასურველია, კვირის ბოლოს გავაფრთხილოთ მშობლები, რომ მომავალ კვირის თემა ნივთებთან იქნება დაკავშირებული. ვთხოვოთ, გვათხოვონ სხვადასხვა საინტერესო ძველებური ნივთი. მოტანილი ნივთები დავაწყოთ როლური თამაშების ადგილას და შევთავაზოთ ბავშვებს მაღაზიის მოწყობა. შევიტანოთ ჯგუფში წინასწარ დამზადებული დახლი, სალარო, სათამაშო ფული და სხვა საჭირო რესურსი (შეგვიძლია გამოვიყენოთ ფოტოებიც).

2. **დიზაინერის ოფისი:** შევიტანოთ როლური თამაშების კუთხეში ფურცლები და ფანქრები, ასევე ბავშვების დამზადებული სამგანზომილებიანი სკამები. ჩავერთოთ თამაშში; ვთხოვოთ ბავშვებს, დაამზადონ სკამი ჩვენი სახლისთვის; აღვწეროთ, როგორი სახლი გვაქვს და როგორი სკამი გვჭირდება. წავახალისოთ ბავშვები, რათა დამოუკიდებლად შეძლონ თამაშის გაგრძელება.

მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება

1. **ნივთების მუსიკა:** ამ აქტივობისთვის დაგვჭირდება სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთი, რომელთა მეშვეობით ნაირგვარი ჟღერადობა შეიძლება მივიღოთ. ესენია: ქვაბის თავსახური, კოვზები, ძველებური ტელეფონი, თიხის ქოთანი და ა.შ. წავახალისოთ ბავშვები, რათა გააჟღერონ და მოუსმინონ მათ ხმებს, მოიგონონ რაიმე რიტმი ამ ჟღერადობების გამეორებით.

2. **სკამების მუსიკა:** თუ გვაქვს ამის შესაძლებლობა, ვაჩვენოთ ბავშვებს ვიდეოფილმი, რომელშიც სკამები გამოყენებულია დასარტყამი ინსტრუმენტების ფუნქციით ან თავად მოვახდინოთ ამის დემონსტრირება - შევთავაზოთ ბავშვებს სკამების გამოყენება დასარტყამი ინსტრუმენტების ფუნქციით. შევქმნათ სხვადასხვა რიტმი და ვთხოვოთ მათი გამეორება. https://www.youtube.com/watch?v=a9OEBH4HmzY

თემა: ,,როგორ ქმნიან ნივთებს” –II კვირა

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ორშაბათი	ქანდაკებები ჩვენ გარშემო, ქანდაკება.	**აქტივობა**: ძერწვა **წესებიანი თამაში:**სიტყვები ”ქა”-ზე.”. **აქტივობა**: იპოვე ფორმები და შეავსე ცხრილი. 	მონტეირუ ლობატუს „ყვითელი კოდალას ორდენი“, პირველი ნა-წილი (1-3 თავები). 	თამაში: ნიანგი და ბაყაყები.	გაანაწილე ჩხირები; დაამატე მარც-ვალი	თამაში "გაშეშდი"!	ვესაუბროთ ბავშვებს დღის შთაბეჭდილე-ბებზე. ბავშვები მოყვებიან, რო-მელი იყო მათ-თვის საინტერე-სო აქტივობა და რატომ.
მასალები რესურსები	სხვადასხვა ქანდა-კებების ფოტოები ან ალბომი; ქაღალდი, ფანქრები, ფოტოაპარატი ან მობილური ტელე-ფონი.	თიხა და პლასტილინი. მავთული ან ფაფუკი ღერო; პატარა მაგიდა, „დაზგა“,მოქანდაკის სა-თამაშო იარაღები, ჩაქუჩი, საჭრეთელი. ქანდაკებების ფოტოები,წინასწარ გამზა-დებული გეომეტრიული ფორმები, ცხრილი.	„ყვითელი კოდალას ორდენი“		პინოქიოს სი-უჟეტის ამსახ-ველი ილუსტ-რაციები, გასა-ფერადებლები (შესაძლოა ბავშ-ვების დახატუ-ლიც).	მუს.ცენტრი	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
სამშაბათი ინდივიდუ-ალიზება	ეგვიპტური ქანდაკებები	**აქტივობა:** პაპიე მაშეს ეგვიპტური ქანდაკებები. **როლური თამაში:** სამარხების აღმოჩენა, არქეოლოგიური გათხრები. **პროექტი "ქანდაკება"** 1. კვლევა . **წესებიანი თამაში:** კამათლების გაგორება.	„ყვითელი კოდალას ორდენი", I ნაწილი (4-6 თავები).	ფაქტურების მოძიება თამაში: ნიანგი და ბაყაყები.	გამოიცანი ქანდაკება.	ეგვიპტური მუსიკა და ცეკვა	ბავშვები ყვე-ბიან შთაბეჭ-დილებებზე, რომელი ქან-დაკება დაამახ-სოვრდათ, რო-მელი აქტივობა მოეწონათ და რატომ.
მასალები/ რესურსები	ეგვიპტური ქანდაკებების ფოტოები ან ალბომი.	სხვადასხვა მეორადი მასალა ქანდაკებებისათვის ფორმის მისაცემად, სახამებლის მასა, ძველი გაზეთები ან ქაღალდები, საღებავი. პატარა ფიგურები ან ნივთები; მიწიანი ან ქვიშიანი კონტეინერები, ფანარი, ფუნჯები, რეზინის ჩექმები, პატარა სამუშაო იარაღები; სხვადასხვა მასალის პატარა ნაჭრები, ქვასანაყი ან პატარა ჩაქუჩი, ლუპები.	მონტეირუ ლობატუს „ყვითელი კოდალას ორდენი"	ქაღალდი, ფანქრები.	ქანდაკებების ფოტოები	ფოტოები ეგვიპტური ფრესკებისა და რელიეფების გამოსახულე-ბით. ქსოვილები კაბებისა და ვარცხნილო-ბის იმიტაცი-ისათვის. მუს. ცენტრი.	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ოთხშაბათი ინდივიდუ-ალიზება	ბერძნული ქანდაკებები	**პროექტი:** ბავშვები დაასრულებენ წინა დღით დაწყებულ პაპიე მაშეს ქანდაკებებს. **როლური თამაში:** სამარხების აღმოჩენა, არქეოლოგიური გათხრები. **აქტივობა:** თიხით ან პლასტილინით რელიეფების დამზადება. **წესებიანი თამაში:** შაში	„ყვითელი კოდალას ორდენი“, II ნაწილი.	ეზოს ქანდაკებები	გამოიცანი ქანდაკება 2, ვარიაცია.	მიბაძე ქანდაკებას. ბერძნული ცეკვა და მუსიკა	ბავშვები ისაუბრებენ, რომელი მითი მოეწონათ და რატომ.
მასალები/ რესურსები	ბერძნული მითების წიგნი. ბერძნული ქანდაკებების ფოტოები ან ალბომი	გუაშის ან აკრილის საღებავი, ფუნჯები. თიხა ან პლასტილინი, ფანქარი, შაში; პატარა ქანდაკებები, მიწიანი ან ქვიშიანი კონტეინერები, ფანარი, ფუნჯები, რეზინის ჩექმები, პატარა სამუშაო იარაღები.	„ყვითელი კოდალას ორდენი“	ეზოში არსებული ბუნებრივი მასალები (ქვები, ჯოხები, ფოთლები და ა.შ.)	ცნობილი ქანდაკებების ფოტოები.	ცნობილი ქანდაკებების ფოტოები; მუს.ცენტრი; დისკი სხვადასხვა ტიპის მუსიკის ჩანაწერებით.	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
ხუთშაბათი ინდივიდუ-ალიზება	თანამედროვე ქანდა-კებები.	**პროექტი"ქანდაკება" 2** ქანდაკების პროექტი. ქანდაკებების დამზადება. **როლური თამაში:**არქეოლოგიური გათხრები. **სამაგიდო თამაში:** შაში **აქტივობა**: ყველაზე მაღა-ლი ქანდაკება	„ყვითელი კოდალას ორდენი", III ნაწილი (სამი თავი).	თამაში: იპოვე ფორმა.	დახარისხების თამაში	თამაში: გაშემ-დი!	ბავშვები წარ-მოადგენენ ნა-მუშევრებს და იმსჯელებენ სირთულეებ-ზე.
მასალები/ რესურსები	თანამედროვე განს-ხვავებული ქანდა-კებების ფოტოები ან ალბომები	ქაღალდი და უბრალო ფანქრები; სხვადასხვა მასალა ხე-ლოვნების ცენტრიდან; შაში; კუბურები.	„ყვითელი კოდალას ორდენი"	3-4ფერადი ფორმატის ქაღალდის-გან გამოჭ-რილი დიდი გეომეტრი-ული ფორმა; ფერადი ფორმატის ქაღალდის-გან გამოჭ-რილი პა-ტარ- პატარა გეომეტრი-ული ფორ-მები.	პატარა ზომის სხვადასხვა ნივთები.	მუს.ცენტრი	

	პირველი შეხვედრა წრეში	კვლევა და აღმოჩენა	წიგნის დრო	მოძრავი თამაშები	საქმიანობები მცირე ჯგუფებში	მუსიკა/საშემ-სრულებლო ხელოვნება	შემაჯამებელი შეხვედრა წრეში
პარასკევი ინდივიდუ-ალიზება	ქანდაკების ადგილი	**პროექტი"ქანდაკება" 3** ქანდაკებების დამზადება. **წესებიანი თამაში:** კუბი(ქანდაკებებზე) **როლური თამაში:**არქეოლოგიური გათხრები. **აქტივობა:** გამოჭრილი გეომეტრიული ფორმებით ქანდაკებების აწყობა.	„ყვითელი კოდალას ორდენი", III (ბოლო ორი თავი).	თამაში: მო-ქანდაკე და ქანდაკება	თამაში: „თევზა-ობა"	მოცეკვავე ქანდაკება	ბავშვები შეაჯამებენ კვირის სამუ-შაოს.
მასალები და რესურსები		სხვადასხვა მასალა ხე-ლოვნების ცენტრიდან; პატარა გეომეტრიული ფორმები	მონტეირუ ლობატუს „ყვითელი კოდალას ორდენი"	ქსოვილები, აქსესუარე-ბი.	ბარათები წერ-ტილებით.	მუსიკალური ცენტრი; ჩანა-წერი.	

საქმიანობათა ინსტრუქციები

აქტივობები

1. **ქანდაკებები ჩვენ გარშემო:** ეს აქტივობა შეგვიძლია ჩავატაროთ იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენი ბაღის ახლომდებარე ქუჩაზე რაიმე ქანდაკება დგას, გავასეირნოთ ბავშვები მის სანახავად, წავიღოთ პატარა პლანშეტები, ფურცლები და ფანქრები, წავახალისოთ ბავშვები, რათა დააკვირდნენ და ჩაიხატონ ქანდაკება. ვუთხრათ, ვისი შექმნილია იგი. თუკი ამის შესაძლებლობა არ არის, ჩავატაროთ მომდევნო აქტივობა.

2. **ქანდაკება:** ვიმსჯელოთ ქანდაკებებზე. ვკითხოთ ბავშვებს, თუ უნახავთ ქანდაკებები და რა იციან მათ შესახებ. ვთხოვოთ ბავშვებს გაიხსენონ, სად უნახავთ ქანდაკება და აღწერონ ის. ვკითხოთ: რა ჰქვია იმ ადამიანს, რომელიც ქმნის ქანდაკებებს; გამოვიკითხოთ მათი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა ზომის, მასალისა და ფორმის შეიძლება იყოს ქანდაკება. მოვუყვეთ ბავშვებს უძველეს დროში შექმნილ ქანდაკებებზე/სკულპტურებზე, რომლებიც ნაპოვნია საქართველოში ჩატარებული გათხრების შედეგად.

3. **ძერწვა:** ბავშვები გამოძერწავენ ქანდაკებებს პლასტილინისგან ან თიხისგან.

4. **იპოვე ფორმები და შეავსე ცხრილი:** დავურიგოთ ბავშვებს ქანდაკებების ფოტოები; წავახალისოთ, რომ აღმოაჩინონ მათში გეომეტრიული ფორმები და ჩაინიშნონ ,,რაოდენობის ცხრილში''. შემდეგ დათვალონ და დაადგინონ, რომელი გეომეტრიული ფიგურა გვხვდება ყველაზე მეტი რაოდენობით ცხრილში (იხ. ილუსტრაციები # 35, 36).

○	//
△	/
□	///
▭	///

5. **„ყვითელი კოდალას ორდენი“**: მონტეირუ ლობატუს ზღაპარში მოთხრობილია ნაჭრის თოჯინა ემილიაზე, რომელიც პატარა გოგონად გადაიქცევა და მეგობრებთან ერთად ბევრი საინტერესო ამბავი გადახდება თავს.

6. **ეგვიპტური ქანდაკებები:** წინასწარ მოვიძიოთ ინფორმაცია ეგვიპტურ ხელოვნებაზე. მოვუყვეთ ბავშვებს ძველი ეგვიპტის სამეფოზე, პირამიდებსა და ფარაონებზე, ასევე ეგვიპტეში ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებზე; ვაჩვენოთ ფარაონების, მონებისა და ცხოველების ქანდაკებები. შეგვიძლია წავუკითხოთ და დავათვალიერებინოთ ,,ჩემი პირველი კითხვებისა და პასუხების წიგნი''.

(იხ. ილუსტრაციები ##37, 38, 39,40,41).





7. პაპიემაშეს **ქანდაკებები:** დავეხმაროთ ბავშვებს ეგვიპტური ქანდაკებების დამზადებაში პაპიემაშეს ტექნოლოგიის გამოყენებით.

8. **ბერძნული მითები და ქანდაკებები**: წინასწარ მოვიძიოთ ინფორმაცია საბერძნეთისა და მისი ხელოვნების შესახებ. შეგვიძლია ბავშვებს დავათვალიერებინოთ და წავუკითხოთ მარტივად აღსაქმელი ბერძნული მითები, გადამუშავებული ბავშვებისთვის (მაგალითად, მითი ქალაქ ათენის მფარველის არჩევაზე). ვუჩვენოთ ბავშვებს ბერძნული ქანდაკებების ფოტოები და ვთხოვოთ, აღწერონ ისინი (იხ. ილუსტრაციები # #42, 43).



9. **ფაქტურების შესწავლა:** ბავშვები გადიან ეზოში და მოიძიებენ განსხვავებული ზედაპირის (პრიალა და ხაოიანი) ნივთებს. ნაპოვნ ნივთებს ბავშვები დაადებენ ფურცელს, გაუსვამენ ფანქარს და ნახავენ, რომ ფურცელზე სხვადასხვა ზედაპირის მქონე საგანი სხვადასხვა ანაბეჭდს ტოვებს.

ეზოს კონსტრუქციები: ბავშვები შექმნიან კოსტრუქციებს ან ქანდაკებებს ეზოში ხელმისაწვდომი ბუნებრივი მასალების გამოყენებით.

10. **თანამედროვე კონსტრუქციები:** დავათვალიერებინოთ ბავშვებს თანამედროვე ქანდაკებების ფოტოები, ბავშვები აღწერენ და მსჯელობენ, რას გამოსახავს მოქანდაკე და რატომ (იხ. ილუსტრაციები ## 44, 45).

11. **ყველაზე მაღალი ქანდაკება/კონსტრუქცია:** ბავშვები კუბურების მეშვეობით აშენებენ ყველაზე მაღალ ქანდაკებას/კონსტრუქციას.

12. **ქანდაკების ადგილი:** ბავშვებთან ერთად ვიმსჯელოთ და მოვიფიქროთ, რომელი ადგილია ყველაზე მეტად შესაფერისი ქანდაკებებისთვის. ბავშვები ჯგუფის ოთახში ან ეზოში შეარჩევენ ადგილს საკუთარი ქანდაკებებისათვის.

წესებიანი თამაშები/მოძრავი თამაშები

1. **სიტყვები "ქა"-ზე:** თამაშობს ბავშვების ორი წყვილი. სიტყვა ქანდაკება იწყება მარცვლით "ქა". ვთხოვოთ ბავშვებს, მოიფიქრონ და დახატონ ის სიტყვა, რომელიც იწყება იმავე მარცვალზე (მაგ., ქარი, ქაღალდი, ქაფი, ქატო, ქაბაბი, ქადა, ქათამი, ქალი, ქამარი). ბავშვები ხატავენ სიტყვის შესაბამის გამოსახულებას/ნივთს. მოგებულია ის წყვილი, რომელიც ყველაზე მეტ სიტყვას მოიფიქრებს და დახატავს.

2. **ნიანგი და ბაყაყები:** წინასწარ გამოვჭრით დიდი ზომის დუმფარას ფოთლებს ფორმატის ქაღალდისგან, დავაწყობთ ბავშვების რაოდე-

ნობაზე ერთით ნაკლებ გამოსახულებას, ბავშვები დარბიან წრის ირგვლივ, ერთი ბავშვი არის "ნიანგი", დანარჩენები - "ბაყაყები". "ნიანგის" გამოჩენისთანავე "ბაყაყები" უსაფრთხო ადგილს იკავებენ - "ფოთლებზე" დგებიან. ვინც ვერ მოასწრებს, ის ან "ნიანგი" გახდება, ან თამაშს დატოვებს.

3. **კამათლების გაგორება:** ბავშვები რიგრიგობით აგორებენ კამათელს და ინიშნავენ, ვის რამდენი ამოუვიდა. ხუთი სვლის მერე ითვლიან ქულებს. გამარჯვებულია ის, ვინც ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს.

4. **მიბაძე ქანდაკებას:** ერთ ბავშვს ან ბავშვების პატარა ჯგუფს ვუჩვენებთ რომელიმე ქანდაკების ფოტოს, ბავშვებმა უნდა გაიმეორონ ქანდაკების პოზა.

5. **იპოვე ფორმა:** ეზოში ან დარბაზში, ერთმანეთის დაშორებით, ძირს დავაფინოთ და დავამაგროთ ფორმატის ქაღალდისგან წინასწარ გამოჭრილი სამი ან ოთხი დიდი ზომის გეომეტრიული ფორმა. ასეთივე, მაგრამ პატარა ზომის ფორმები შერეულად გავფანტოთ დანარჩენ ადგილებში. ვუჩვენოთ ბავშვებს მოძრაობა, რომლითაც ისინი უნდა გადაადგილდნენ (მაგ., ასკინკილით ან ხტუნვით). ბავშვების ამოცანაა პატარა ზომის ფორმების მიტანა შესაბამის დიდ ფორმებთან.

6. **მოქანდაკე და ქანდაკება:** ბავშვები წყვილდებიან "მოქანდაკეებად" და "ქანდაკებებად". "მოქანდაკე" მოიფიქრებს, როგორი ქანდაკება უნდა და "აქანდაკებს" მას. "მოქანდაკეს" არ შეუძლია დალაპარაკება, მან "ქანდაკებას" პოზაზე უნდა მიანიშნოს მოძრაობით, მიმიკით ან დაეხმაროს ფიზიკურად. მნიშვნელოვანია ყველა დეტალი! დასრულების შემდეგ "ქანდაკება" გაშეშდება. ბოლოს ყველანი ერთად ათვალიერებენ "ქანდაკებების" გამოფენას.

საქმიანობები მცირე ჯგუფებში

1. **გაანაწილე ჩხირები:** დავურიგოთ ბავშვებს ჭიქები ციფრების გამოსახულებებით, აგრეთვე ხის ან პლასტმასის სათვლელი ჩხირები. ვთხოვოთ, გაანაწილონ ჭიქებში ციფრების შესაბამისი რაოდენობის ჩხირები.

2. **დაამატე მარცვალი:** ბავშვებს ვეუბნებით, რომ გადავუგდებთ ბურთს, ბურთის მიმღებმა კი უნდა მიამატოს საკუთარ სახელს მარცვალი "კო" (მაგ., ანა -კო, ნინო-კო). იმავე აქტივობის შესრულება შეგვიძლია სიტყვების გამოყენებითაც.

3. **გამოიცანი ქანდაკება:** ბავშვებს აქვთ ცნობილი ქანდაკებების ფოტოები. ისინი იყოფიან პატარა ჯგუფებად. პირველი იღებს ფოტოს, აღწერს ქანდაკებას, მაგრამ არ ამბობს, რა ქანდაკებაა ეს. სხვებმა უნდა გამოიცნონ და დაასახელონ ქანდაკება. თამაშს აგრძელებს მომდევნო ბავშვი (იხ. ილუსტრაციები ##46, 47).

4. **გამოიცანი ქანდაკება - 2**: ერთი ბავშვი აიღებს ქანდაკების ფოტოს, დანარჩენები მორიგეობით უსვამენ შეკითხვებს, რომელთა პასუხები შეიძლება იყოს "კი" ან "არა" (მაგალითად: ადამიანია? ცხოველია? კაცია? ქვისაა? ზის? თეთრია? და ა.შ.). თამაში გრძელდება მანამდე, სანამ ვინმე არ გამოიცნობს ქანდაკებას. შემდეგ ფოტოს იღებს და თამაშს აგრძელებს ის ბავშვი, რომელმაც გამოიცნო და ა.შ.

5. **დახარისხების თამაში:** მაგიდაზე დავაწყოთ ათი სხვადასხვა პატარა ნივთი; შემოვსაზღვროთ წრე ლენტის ან ძაფის საშუალებით და გავაცნოთ ბავშვებს თამაშის პირობა: ამ ჯგუფში არის მხოლოდ წითელი ნივთები, *ან* ხის ნივთები, *ან* მრგვალი ნივთები, *ან* პრიალა ნივთები. ბავშვები რიგრიგობით იღებენ ნივთს და გადაწყვეტენ, რომელ ჯგუფში უნდა გააერთიანონ ეს ნივთი. შემდეგ ბავშვები ითვლიან, რომელ ჯგუფშია უფრო მეტი ნივთი, უფრო ნაკლები და ა.შ.

6. **თევზაობა:** ერთმანეთში ავურიოთ ბარათები, რომლებზეც გამოსახულია რიცხვები ან წერტილები 1-დან 5-მდე და 6-დან 10-მდე. თითოეულმა მოთამაშემ 4 ბარათი უნდა აიღოს; დანარჩენ ბარათებს ამოვაბრუნებთ (გამოსახულებით ქვემოთ) და მაგიდაზე დავაწყობთ. პირველი მოთამაშე ირჩევს ერთ-ერთ ბარათს და ეკითხება სხვა მოთამაშეს, აქვს თუ არა მას ბარათი იმავე რიცხვით. თუ მეორე მოთამაშეს აქვს ასეთი ბარათი, იგი ამ ბარათს პირველ მოთამაშეს აძლევს. პირველი მოთამაშე ორივე ბარათს მაგიდაზე ისე აწყობს, რომ კარგად ჩანდეს ზედ გამოსახული რიცხვები/წერტილები. თუ მეორე მოთამაშეს არ აქვს ასეთი ბარათი, მაშინ „სათევზაოდ“ მიდის და დასტიდან იღებს ბარათს. გამარჯვებულია ის მოთამაშე, რომელიც პირველი გათავისუფლდება ყველა ბარათისგან.

პროექტები

პროექტი “ქანდაკება“

1. **კვლევა:** შევთავაზოთ ბავშვებს, შეადარონ ერთმანეთს სხვადასხვა მასალა: ქვა, ხე, რკინა, კერამიკა. ბავშვები მოსინჯავენ ფაქტურას, დაასველებენ, დააკვირდებიან და ისაუბრებენ, რომელია უფრო მყარი ან უფრო რბილი, რომელი არის პრიალა, რომელი - ხაოიანი და ა.შ.

2. **ქანდაკების პროექტი:** ბავშვები მოიფიქრებენ და აკეთებენ საკუთარი ქანდაკებების ჩანახატებს; საუბრობენ, თუ რისგან გააკეთებენ ქანდაკებებს.

3. **ქანდაკებების დამზადება:** ბავშვები იწყებენ სხვადასხვა მასალისგან სამგანზომილებიანი ქანდაკებების მოდელების დამზადებას (მაგ., შეუდგებიან ქანდაკების გამოძერწვას პლასტილინისგან).

როლური თამაში

სამარხების აღმოჩენა, არქეოლოგიური გათხრები: შევიტანოთ როლური თამაშების კუთხეში დიდი კონტეინერები, სავსე მიწით ან ქვიშით; დავმალოთ შიგნით პატარა კერამიკის ან თაბაშირის ფიგურები. თამაშისთვის ასევე დაგვჭირდება პატარა ნიჩბები, ფუნჯები, დაფა, ფურცლები და ფანქრები ნაპოვნი ნივთების ჩანახატების გასაკეთებლად, აგრეთვე სათამაშო ან ჯგუფში დამზადებული „ფოტოაპარატი“.

მუსიკა/საშემსრულებლო ხელოვნება

1. **თამაში ”გაშეშდი”:** ბავშვები ცეკვავენ რაიმე მუსიკის თანხლებით. გაჩერდება თუ არა მუსიკა, ბავშვები უნდა გაშეშდნენ ერთ პოზაში. თუ ვინმე გაინძრევა, გამოეთიშება თამაშს.

2. **ეგვიპტური ცეკვა:** დავათვალიერებინოთ ბავშვებს ეგვიპტური რელიეფები და ფრესკები, რომლებზეც გამოსახულია მუსიკოსები და

ცეკვის სცენები. წავახალისოთ ბავშვები, რომ მიბაძონ მოცეკვავეთა მოძრაობებს და დადგან "ეგვიპტური ცეკვები".



http://www.dreamstime.com/stock-photo-egyptian-music-instruments-image14972800

3. **ბერძნული მუსიკა და ცეკვა:** ბავშვები მოუსმენენ ჩანაწერებს, რომლებშიც ჟღერს ძველი ბერძნული ინსტრუმენტები. ისინი შეეცდებიან, რომ თავისუფლად იმოძრაონ ამ მუსიკის თანხლებით.

   https://www.youtube.com/watch?v=elERNFoEf3Y

4. **მოცეკვავე ქანდაკება:** მოვიძიოთ მოცეკვავე ადამიანების ქანდაკებები, ვაჩვენოთ ისინი ბავშვებს, მოვასმენინოთ სხვადასხვა მუსიკა, რომელზეც ბავშვები თავისუფლად იცეკვებენ.

ილუსტრაცია №1

ილუსტრაცია №2

ილუსტრაცია №3

ილუსტრაცია №4

ილუსტრაცია №5

ილუსტრაცია №6

ილუსტრაცია №7

ილუსტრაცია №8

ილუსტრაცია №9



ილუსტრაცია №10

ილუსტრაცია №11

ილუსტრაცია №12

ილუსტრაცია №13



ილუსტრაცია №13





ილუსტრაცია №15



ილუსტრაცია №16





ილუსტრაცია №17



ილუსტრაცია №18

ილუსტრაცია №19

ილუსტრაცია №20



ილუსტრაცია №21

ილუსტრაცია №22

ილუსტრაცია 23

ილუსტრაცია №24

ილუსტრაცია: №25

ილუსტრაცია 26

ილუსტრაცია 27

ილუსტრაცია №28

ილუსტრაცია №29



ილუსტრაცია № 30

ილუსტრაცია №31

ილუსტრაცია №32

ილუსტრაცია №33

ილუსტრაცია №34



ილუსტრაცია №35



ილუსტრაცია №36

ილუსტრაცია №37

ილუსტრაცია №38

ილუსტრაცია №39

ილუსტრაცია №40

ილუსტრაცია №41



ილუსტრაცია №42

ილუსტრაცია №43

ილუსტრაცია №44

ილუსტრაცია №45

ილუსტრაცია №46

ილუსტრაცია №47